

ზარი ქუთაისიდან

## ხარაბაძე, გახსოვს ქუთაისი?



გამზათოვი -85

მუხრან მაჭავარიანი

## რასულ გამზათოვთან



საქართველოს სევდა

## გოდერძი ჩოხელის თხოვნა

# #8 მამული

ასავალ დასავალის პარტნიორობით

ქართველისთვის, ქართველებისთვის

2003 წლიდან



საქართველო მარადმწვანე ხეა, რომელსაც გააჩნია ძლიერი სიცოცხლისუნარიანი ფესვები. მიუხედავად მისი მომცრო ზომისა, მასში უდიდესი წყურვებაა სიცოცხლისა. იგი ჯიშია ცხრამუხის, ხმელი წიფლის, ხოგაის მინდია მისი პატრონი და ჭირისუფალი.

როდესაც ამოვარდება ისტორიული კატაკლიზმების ქარიშხალი, გაცილებით გიგანტური ზომის ხეები აღიგვებიან პირისაგან მიწისა, რადგან მათ სიდიდის მიუხედავად ფესვები სუსტი აქვთ, რომელთა საძირკველი და სიცოცხლის მომნიჭებელი ძალა ათასი ჯურის ურჯულოებაზეა დამყარებული.

ხოლო ღვთივკურთხეული საქართველოს ხის ფესვები, რომელიც ქრისტეს სარწმუნოებაშია ფესვგამდგარი, ვერავითარმა ქარიშხალმა ვერ ამოძირკვა, რადგან მასში გაბრჯნილია მადლმოსილება უკვდავების, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ ყოფილა ეს ხე ნახევრად გამხმარი და ტოტებჩამოყრილი.

ქართული გენის და მართლმადიდებლობის სიძლიერემ გამოუსადეგარი ფიჩხივით მოისხიპა და განიშორა საკუთარ თავში უსარგებლობა, უსიცოცხლობა, უფუძობა. სარწმუნოებამ გაამყარა ჩვენი ფესვები, გააძლიერა ისინი, მიწის პოხიერი სიღრმიდან ისაზრდოვა.

სამშობლოს ნატვრის ხემ შეიძლება მოიცვალოს ტოტები და არა შტო და ფესვები. იგი მარად განახლებადია, სწორედ ამაშია მისი სიცოცხლე, ერთი მოჭრილი ტოტის ნაცვლად რომ ათი და ასი გამოიყრება გაზაფხულზე.

და ის იყოს ასე...

# გაუმარჯოს!

# ძველებურად ცხოვრება

„ისინი ბევრს შემოგთავაზებენ,
მე სულ მცირეოდენს,
მთვარის ლიცლიცი შუაღამით,
შადრევნის ფონზე,
და წყლის რაკრაკი
თვლემამომგვრელი,
გაშიშვლებული მხრები, ღიმილი,
ხან სიყვარული, ხან ღალატი,
ურთიერთს რომ სცვლიან,
სიკვდილის შიში,
სინანულის კვლავ დაბრუნება,
ყოველივე ამას გთავაზობენ თქვენ -
მე კი მოვდივარ,
მომაქვს პური მარილმოყრილი,
მძიმე ჯაფის უღელი,
დაუცხრომელი ბრძოლა,
და გეუბნებით: აჰა, აიღეთ!
შიმშილი, საფრთხე და სიძულვილი“
**კარლ სენდბერგი „არჩევანი“**
















## ნაწილი პირველი
## აირია მონასტერი

„ციხის საკანში ქურდები და ავაზაკები ბაასობენ და შფოთავენ - სხვის ავაზაკობა-ქურდობაზე. ან მხეცები შფოთავენ სხვის მხეცობის გამო“

**მ. ჯავახიშვილი**
**უბის წიგნაკიდან.**

### 1. წყალბრუნვის დამთრგუნველი ეფექტი

უცნაური რამაა ცხოვრება, უცნაური მოვლენაა თვით ცხოვრებაში ხალხი, უცნაური ზეგავლენა აქვს ცხოვრებას ხალხზე და ხალხს ცხოვრებაზე. მსოფლიო ისტორიული მოძრაობის პრინციპი კაცობრიობის აზროვნებაა პროგრესისაკენ, ხოლო თუ რაა ეს პროგრესი, მისი არსი თვით ცხოვრების ენერგიის მიმალულ და ბნელ საკუჭნაოში, ან სანაგვე ყუთებში განისვენებს, - მარგალიტი ლექშიო, - იტყვის ამ შემთხვევაში ქართველი კაცი. მარგალიტი კი თავისთავად ბრჭყვიალა კრისტალია, იშვიათი და უნიკალური, მაგრამ მისი ადგილმდებარეობის გამო ეს ნამდვილი ფასეულობა გაუფასურებულია, რადგან არავინ იცის მისი არსი, ყველას კი პირზე აკერია მისი კეთილშობილება, არ კი უნახავს და განუცდია ვინმეს ეს ნეტარი გრძნობა მსოფლიო დემოკრატიული ცივილიზაციის. მარგალიტიო, - ვამბობთ და ამ მარგალიტის ძიებაში რამდენი სისხლი დაიღვარა. ძიება ნებაყოფლობითაც იყო და ძალდატანებითაც. ვინც ნებაყოფლობით ეძებდა, მათ ენთუზიასტები შეარქვეს, ხოლო ძალდატანებულებს - მსხვერპლი გარემოებისა.

ასეა თუ ისე, მარადი ღირებულებები, რომლებიც დეკლარირებულია ათას მოაზროვნეთა ტრაქტატებსა და ზოგადად შემოქმედებაში, სხვა არაფერია, თუ არა იდეა, ანუ აბსტრაქცია, იგივე ცარიელი სივრცე, მარგალიტი კი კონკრეტული საგანია, რომელსაც მიაწერენ იმ აბსტრაქტულ ღირებულებებს, რომლისთვისაც ესოდენ თავს დებენ ეპოქები.

შეიძლება ეს იდეა განახორციელო არათუ ძნელად საშოვარ კრისტალზე, არამედ მდინარის რიყის ქვაზეც კი, გააჩნია ვის ხელში მოხვდება იგი. პროგრესული აზროვნება კი ყოველთვის ებრძვის კონსერვატიულს, ტრადიციულს, ისტორიულს. ცხოვრება წყალ-სწრაფ მდინარეს ჰგავს, რომელიც იჩქარის და დაგუბებას ვერ იტანს, ჯებირებს ხეთქავს წყალი იმ მარგალიტების მოპოვების სახელით, რათა მდინარემ გზა იპოვოს და ზღვის ნაწილი გახდეს. ეს თანამედროვე ცხოვრების ტიპიური ალეგორიაა, რომელსაც კომენტარი არ სჭირდება.

ასე რომ, ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნური ჯებირების გახეთქვა და სწრაფვა არარაობისკენ, რადგან ზღვაში შესული მდინარის მასსა რაოდენობაა და არა თვითმყოფადობა, ხოლო თვითმყოფადობას ამ შემთხვევაში წარმოქმნის ზღვის უკიდეგანო სივრცის პანორამა - სხვადასხვა ინდივიდუალური, პეიზაჟებგამოვლილი მდინარეების წყლებით შევსილი აუზი.

ეს აუზია გლობალიზაცია და ინტეგრაცია.

ვიღაც იბრძვის წყლის სიჩქარის მოსამატებლად, ვიღაც კი წყლის კალაპოტის შესაცვლელად. ასეა თუ ისე, რაღაც შემთხვევაში აუცილებლად იმღვრევა წყალი და ჩქერებში ყოველთვის ქაოსური ორომტრიალია. სწორედ ამის შემდეგ დინება ისევ წინ მიისწრაფის, მაგრამ დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევს, რომ ჩქერის მიღმა წასული წყალი რაღაც მანძილის შემდეგ ისევ უკან ბრუნდება, ანუ მდინარე აღმა იწყებს სვლას.

ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის ასეთი.

საბჭოთა კავშირის ისტორიაში დაუფარავად აღიარებდნენ კრონშტადტის 1921 წლის მარტის ბუნტის სისხლში ჩახშობის ამბავს და მას სკოლებშიც კი გვასწავლიდნენ, იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო საბჭოეთის ისტორიაში იგი. იმთავითვე იყო თვალში საცემი ეს მშრალი ინფორმაციული მონაცემები და იბადებოდა უამრავი კითხვა,

- რატომ მოხდა მუშათა ბუნტი საბჭოეთში?

- იგი ხომ მუშურ-გლეხური სახელმწიფო იყო და ხალხი ასე ბედნიერად გრძნობდა თავს (ვმღეროდით კიდეც - „Где так вольно дышит человек“-ო)?

- ანდა წითელმა არმიამ ხალხს ესროლა და დახვრიტა?

- და ეს როდის?

- ოქტომბრის რევოლუციიდან მეოთხე წელიწადს?

ჰოი, საოცრებავ!

- ჯარი ხალხს განუდგა?

- ლენინი ხომ მოსკოვში მართავდა ქვეყანას? იგი ჯერ კიდევ არ იყო ლოგინად ჩავარდნილი და არ იძახოდა გორკაში ხეზე ასული - „Кукареку!!! Я петух!!!“-ო (რა თქმა უნდა ლენინის სიგიჟის ამბავს საბჭოური ისტორიოგრაფია არ იტყოდა, არც ეცოდინებოდათ სრულყოფილად რას სჩადიოდა ჩაკეტილ სივრცეში პროლეტარიატის ბელადი, ეს ახლა გახდა ცნობილი. რომც სცოდნოდათ, არც და ვერც იტყოდნენ). ერთი რამ მაინც რჩება გასაკვირი ბრბოს ფსიქიკაში, -

- გინდოდა რევოლუცია?
- მიიღე!
- გინდოდა მეფის სიკვდილი?
- აისრულე ეს წადილიც!
- გინდოდა ბოლშევიზმი?
- ესეც ყურისძირშია.

კრონდშტადტი არ არის იმპერიის პერიფერიაში რომელიღაც გადაკარგულ ურალში თუ ციმბირში, ან იმის იქით. კრონდშტადტი ერთ ხელის გაწვდენაზეა რევოლუციის აკვანთან და ეს ქალაქი, თავისი მუშურ-გლეხური საზოგადოებით რევოლუციის ავანგარდში იყო მოქცეული და გადამწყვეტ როლსაც ასრულებდა რევოლუციის „მონაპოვართა“ შესანარჩუნებლად. ახლა კი უკმაყოფილოა ხალხი რევოლუციით და ეს არათუ ათწლეულების შემდეგ, არამედ ზუსტად სამწელიწად ნახევარში...

დიახაც, ზუსტად სამწელიწად ნახევარში!

და ამას წერენ ბოლშევიკები სსრ კავშირის ისტორიის წიგნებში და არ მალავენ, უფრო მეტიც, მოზარდ თაობას ასწავლიან ამ ამბავს ათწლეულების შემდეგ, თვით საბჭოეთის დასალიერს, მაშინ, როდესაც უამრავი სამარცხვინო ისტორიული ფაქტი მიჩქმალული ჰქონდათ. მაგრამ ეს იმდენად მძლავრი ამბოხი იყო და იმდენად საშიში, რომ თვალი ვერ დახუჭეს მასზე. ეს იყო და ეს. ასე ვსწავლობდით. მაგრამ ანალოგიური წყალბრუნვის მაგალითები საკუთარი თვალით გვანახა ცხოვრებამ და გამოგვაცდევინა იგი საკუთარ თავზე -

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შედეგად სამოცდაათწლიანი მმართველობის შემდეგ საქართველოს დაეპატრონა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ფრთა. არ გასულა თვეები და მისსავე წინააღმდეგ ჯაბა იოსელიანმა და მხედრიონის სამხედრო კრიმინალურმა დაჯგუფებამ გამართა საპროტესტო აქცია.

არ ჩავსდევ დეტალებს, მაგრამ ეროვნული აღტკინების ფონზე ეს აქცია ისე გამოიყურებოდა, როგორც კრონდშტადტის ამბოხის შესახებ მქონდა საუბარი, უბრალოდ იმხანად მასშტაბები სხვა იყო და სხვანაირივე შედეგით დასრულდა. ესაა მხოლოდ წყალბრუნვის თვალში საცემი ფენომენი აშკარად და დაუფარავად გამოტანილი იყო თვალსაწიერის არეალში - სულ რაღაც თვეებში იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც იბრძოდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და იმ ძალების მიერ, ვინც ასე თუ ისე გვერდით ედგა ზვიად გამსახურდიას. წყალბრუნვამ მასშტაბები შემდეგ მიიღო, მაგრამ ეს უკანასკნელი იმდენად იყო მოსალოდნელი, რამდენადაც მონასტერი უკვე არეული იყო და არაფერი წარმოადგენდა უკვე საკვირველების საგანს. მაშინ კი - საყოველთაო სახალხო სიხარულის ჟამს (საუბარია 1990 წელს), პროტესტი თითქოს უნდა ჩამცხრალიყო, რადგან მოვიდა ის, ვისი მოსვლაც ასე-რიგად უნდოდათ. წყალბრუნვა მთელი სიმძლავრით მოგვიანებით მოხდა, მაგრამ ეს პირველი ქვენადინების ექსტაზი შეუმჩნეველი მაინც არ დარჩენილა. თუმცაღა მნიშვნელობა ამ აქციას შემდგომ მოვლენათა განვითარების ფონზე უმნიშვნელო, არაფრისმთქმელი და არაფრისმომტანი ჰქონდა. მაგრამ წყალბრუნვა მაინც მოხდა.

ასეთივე წყალბრუნვის ეფექტი იყო გაუგებრობამდე უცნაური, თვალისთვის მეჩხერად სამზერალი რამ, ქვენაგრძნობებში გაკვირვებას რომ იწვევს. ის, რაც მოხდა „ვარდების რევოლუციური გადანაცვლების“ მეორესავე დღეს, როდესაც „კმარელი“ აქტივისტები შეცვივდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და როინ მეტრეველის გადაყენება მოითხოვეს და ამ უზრდელი საქციელით აღშფოთებული ახალგაზრდობა, რომელიც წინა დღეს ზეიმობდა შევარდნაძის წასვლას, დაუპირისპირდა სწორედ „რევოლუციურ ტრიუმვირატს“. აი, ეს არის შეგნებაში წყალბრუნვის ეფექტი, რომელიც თითქოსდა უმნიშვნელოა, მაგრამ წინასწარმაუწყებელია წყალბრუნვის მძლავრი ტალღისა.

ამ ხელისუფლებამ თავისი უგუნური და უმწიფარა, თავგასული და თავხედური მოღვაწეობის შედეგად მოახერხა ის, რაც ლენინური ბოლშევიზმისა და ჰიტლერული ნაციზმის პარანოიკულმა კასტამ თავისი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე. ახლა კი სააკაშვილის შიზოფრენულმა და უწიგნურმა ცხვირმოუხოცავმა ბალღმა მინისტრ-პარლამენტარებმა მიიღეს ქვეყანაში პრაქტიკულად რევოლუციური სიტუაცია.

სწორედ რომ ყველა კომპონენტი სახეზეა რევოლუციური სიტუაციისა!

ერთსაც დავამეტებ: საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინაბჭე აღინიშნებოდა ფასების კატასტროფული ზრდით ასტრონომიულად უმოკლეს ვადაში.

ორი ნოემბერიო, - ამბობენ ოპოზიციონერები და დასძენენ, რომ ჩვენ არ გვსურს ახალი რევოლუციებიო, პირიქითო, უნდა დასრულდეს ყველაფერი მშვიდობიანადო. ისინი ამ მღელვარე მასას ვერ გააკონტროლებენ და ისტორიის შეუქცევადობას ვერ შეცვლიან. ისინი უფრთხიან ამ სიტყვას, რადგან 2003 წლის ნოემბრის როქს „რევოლუციას“ უწოდებენ, და მიტომ. ისინი სახეზე მიიღებენ ახალ რევოლუციას 1989 წლის 9 აპრილის და არა 2003 წლის 23 ნოემბრის შემდეგ. ამ ოპოზიციის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გაორებულნი არიან, როცა სააკაშვილის აღზევებას „რევოლუციად“ ნათლავენ და კარსმომდგარ რეალურ რევოლუციას დეკლარაციებითა და ლოზუნგებით არბილებენ. ამით ისინი ხელისუფლების წისქვილზე ასხამენ წყალს.

მიხეილ ჯავახიშვილი თავის დღიურებში წერდა: „25 თებერვალს უქმე პატივახდილი დედაკაცის უქმეა, რომელიც სწორედ 25 თებერვალს იხმარეს ძალითო“ (Nota bene: ამ სტატიაში და მეტადრე პირველ ნაწილში საგანგებოდ დავიმოწმებ მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებს, რადგან მხოლოდ მის მწერლურ ფენომენს ხელეწიფება მიუსადაგოს ანალოგიები ისეთი ზედმიწევნით ისტორიიდან თანამედროვეობას, როგორადაც ვერც ერთი მწერალი ვერ შესძლებს ამას. და განსაკუთრებით უბის წიგნაკებზე იმიტომ ვაჩერებ ყურადღებას, რომ მათშია თავმოყრილი შავ-თეთრი მასალა დიდი მწერლის შემოქმედებისა, რასაც შემდეგ ჯავახიშვილისეული მადლიანი გონი სხვადასხვა ნაწარმოებებში გააბნევს და გაშლის. აქ კი ლაკონურად და მოქნილად არის მოცემული იდეა, სახე და განსახიერება, რასაც ჩვენ დღეს დიადი წყალბრუნვის ჩქერში მოქცეულები ვუმზერთ საკუთარ თავსაც და გარესამყაროსაც). ასეთი ოცდახუთი თებერვალი შეიძლება იყოს ექვსი იანვარი და თუნდაც ოცდასამი ნოემბერი (წმიდა დღესასწაულის შებილწვის დღე. ერის ამაზე მეტად გაუპატიურება იქნება??? და ამას უწოდებენ ოპოზიციონერებიც კი რევოლუციას??? როცა ეს ასეა წარმოჩენილი, მე ყველა ოპოზიციონერზე მეკარგება ისედაც მათ მიმართ ჩემი წამხდარი წარმოდგენა და მომავალ საკეთებელს იმთავითვე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ).

### 2. აირია მონასტერი

ახლა უკვე საქართველო მერამდენედ დაადგა ახალი რევოლუციის გზას, რომელსაც ასევე მერამდენედ ახშობს ოპოზიციური ძალები არჩევნების ეგიდითა და ლოზუნგით.

2003 წელს რევოლუცია არ შედგა. არშემდგარ მოვლენას, უმწიფარადშობილს უწოდეს რევოლუცია და ამიტომ ცხოვრება ისევ ძველი რეჟიმის გაკვალული გზით წავიდა. განსხვავებით შევარდნაძის ხელისუფლებისგან, სააკაშვილის ხელისუფლებამ თავისი პირველი საარჩევნო ვადის ამოწურვამდე ხალხი ხელახლა მიიყვანა რევოლუციურ სიტუაციამდე და რევოლუცია რომ არ მოხდეს ქვეყანაში (რევოლუციის საფრთხე კი ჯერაც არ ამოწურულა. ხატოვნად რომ ვთქვათ და კომუნისტური პარტიის მანიფესტს რომ დავესესხოთ, „აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი რევოლუციისა“). ამიტომ საზღვარგარეთული დირექტივებით ხელახლა შეიმოსა ოპოზიცია, ხელახლა წამოვიდა ობშორული ზონებიდან სასწრაფო მეთოდებით ფული, რათა დააცხრონ ეროვნული მღელვარება ახალ-ახალი ლოზუნგებით - ესაო და არჩევნები ჩატარდეს კონსტიტუციურ ვადებშიო, მეტს არ ვითხოვთო, მერე დაამატეს „საქართველო პრეზიდენტის გარეშეო“ და რომ არ დამგვანებოდა მდგომარეობა ოთხი წლის წინანდელს, სიტყვა „შევარდნაძე“ შეცვალეს სიტყვა „პრეზიდენტით“. ამით მიხვდნენ, ან წინასწარგამიზნულად ითქვა, რომ იცვლება არა მხოლოდ კაცი, არამედ სტრუქტურა. რევოლუციის მუხტის ჩასახშობად ოპოზიცია მიმართავს ასეთ ტაქტიკურ დემოკრატიული იმიჯისმიერ ნიღაბაფარებულ ტაქტიკას, უკეთესად რომ ვთქვათ - ფანდს. ამბობენ - მიიღოსო სააკაშვილმა მონაწილეობა ამ კონსტიტუციურ ვადებში დანიშნულ არჩევნებში და თუ გაიმარჯვებსო, ღმერთმა მშვიდობა მისცესო.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ ყველანი, რომ სააკაშვილი ისევ მოვა არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში, რადგან მან საუკეთესოდ იცის არჩევნების ჩატარების მექანიზმი, მას გააჩნია უდიდესი უპირატესობა მოწინააღმდეგესთან, რადგან მთელი სახელმწიფო მანქანები და იდეოლოგიური საშუალებები მასზე მუშაობენ. ჩვენი სახელმწიფოს უბედურება არის მის სტრუქტურულ მოწყობილობაში , -

- ხარ პრეზიდენტი?

- გაქვს კანონის დაწერის, დასჯის, გასამართლების და სხვა უფლება!

- არ ხარ პრეზიდენტი?

- არაფრის უფლება აღარ გაქვს!

ამდენად, მიტმასვნა ასეთ შემთხვევაში და კოხტად მორგებული პრივილეგიების კბილებით დაცვა ჯარით, პოლიციით, სასამართლოთი, კანონების კანტორით, სახელმწიფო ყულაბით - გაცილებით იოლია, ვიდრე ცარიელი ხელებით.

ერთის სიტყვით, საქართველო დგას რევოლუციის ზღვარზე. თუ შევარდნაძემ პოზიციები დათმო (ან უკეთ რომ ვთქვათ, გაითამაშეს შევარდნაძემ და „ტრიუმვირატმა“ ხელისუფლების წართმევის სცენა და ამით თამაშგარემდგომარეობაში დატოვეს აზვირთებული ბრბო, რის გამოც რევოლუცია სინამდვილეში არ მოხდა), სააკაშვილი პოზიციებს არ დათმობს. იგი ყოველ თავის გამოსვლაში მოჩვენებითი თვითდაჯერებით საუბრობს თავის ახალი ვადით არჩევაზე. ეს იმას ნიშნავს, არდაბადებულ ბავშვს რომ აბრაამს არქმევდნენ. აქ კი ყველაფერი წავა ხალხის აზვირთებისკენ, რევოლუციაც მოხდება, მაგრამ გაიმარჯვებს თუ არა იგი, ამის პროგნოზებს ვერავინ იტყვის დარწმუნებით. ერთი კია, რომ მთავრობაც და ოპოზიციაც დასაშვებად მიიჩნევენ რევოლუციური ტალღის აგორებას. ამით მიაღწევენ იმას, რომ სააკაშვილი დარჩება თუ არა ხელისუფლების სათავეში, ნებისმიერ შემთხვევაში გაუფასურდება, კარგა ხნით მაინც, რევოლუციის იდეა, მითუმეტეს მაშინ, თუ რევოლუცია განწირული იქნება თუ არა. ამით ხელისუფლება (ძველი თუ ახალი, ამას არა აქვს მნიშვნელობა) მიაღწევს იმას, რომ პრეზიდენტის სავარძელში შეეგებება თავისი კონსტიტუციური ვადის ამოწურვას და არა სამარეში, ან პენსიონერის სავარძელში შინაპატიმრობის პირობებში.

„მე ვშიშობ საქართველოს მომავლის შიშით, და მეშინიან ჩემივე შიშის“ (მ. ჯავახიშვილი, უბის წიგნაკებიდან 1926წ. N5). საქართველომ მართლაც საშიში ტენდენცია აითვისა - რევოლუციობანას თამაში ყოველ წვრილმან უკმაყოფილებაზე. შევარდნაძის დროს ყოველივე ამან უსისხლოდ ჩაიარა. რამდენად შესაძლებელია ეს მოხდეს სააკაშვილის დროს, ძნელი წარმოსადგენია. აქ შიშიცაა და სიხარულიც შიშზე. მართალია, ოპოზიციონერები ამბობენ თავიანთ ლოზუნგებში - არ მეშინიაო, მაგრამ ყველა ჭკუათმყოფელ კაცს შეეშინდება, - არათუ სააკაშვილის ტურების, არამედ ერის გაუკულმართებული ფსიქიკის. იმდენად ღრმაა ეს შიშის ფესვები, რომ აღარ მსურს ძირით ძირამდე ჩავყვე მას და რომ უფრო მივყვები ფიქრს და შიშს, მით უფრო მიდგება თმები ყალყზე შიშისაგან. და აი, რაში მდგომარეობს შიში:

რევოლუციური სიტუაცია საქართველოში რეალურად არსებობს და იგი ან შეიძლება გადაიზარდოს, ან არა რევოლუციაში. გზისგასაყარი აქვეა, რომელ გზასაც არ უნდა დაადგე, ორთავე მომაკვდინებლად საშიშია. არ ვამბობ და არც ვამახვილებ ყურადღებას, მოხდება თუ არა ეს უბედურება კიდევ ერთხელ. კითხვა უნდა დაისვას სხვანაირად, რომელსაც არავინ სვამს და არც არავის სურს დასვას იგი (პირველი შიში ამ მოყრუებაშია). და აი, კითხვაც - სჭირდება თუ არა საქართველოს რევოლუცია? სხვა საკითხია რას მოუტანს და რას არა. რომ ვთქვათ, არაო, თავისთავად გაახალგაზრდებულ შევარდნაძიზმში ჩავიხრჩობით; რომ ვთქვათ, კიო, ეს უკვე რასაც ნიშნავს ყველამ ვიცით. პირველყოვლისა ეს ნიშნავს სისხლსა და ნგრევას. მერე ყველაფერ დანარჩენს, რაც უკვე გამოვლილია.

სხვა არჩევანი საქართველოს არ დაუტოვა ამ ხელისუფლებამ, იგი თავისი არსებობის ათვლის წერტილში დაბრუნდა. აი, აქ გამოჩნდა წყალბრუნვის მჩაკვრული ორომტრიალი. ასეთ საქართველოზე მიხეილ ჯავახიშვილი წუხდა, რომ „დამარცხებული და განადგურებული საქართველო დაემსგავსა ქეციანს, დაღრეჯილს, დაშინებულ და კბილებალესილ მგელსო“ (უბის წიგნაკები 1924წ. N1).

თუ სჭირდება რევოლუცია, ვის სჭირდება იგი?

ერთი რომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რევოლუცია არ სჭირდება არც მთავრობას და არც ოპოზიციას, მაგრამ აუცილებლად გარდაუვალობის შემთხვევაში ერთიც თანახმაა წავიდეს პროვოკაციაზე და მეორეც, რათა თავიანთი პოზიციები გაიმყარონ. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი მოთამაშე რა სტრატეგიას და ტაქტიკურ სვლებს აირჩევს. ამ კითხვაზე სადღეისოდ ვერავინ გასცემს პასუხს, რადგან ვიცით, რომ რევოლუცია თავის ნაყოფებს გვიან იღებს და ამ ნაყოფებისდამიხედვით გახდება თვალსაწიერში რეალურად დამდგარი რევოლუციის საჭიროება-არსაჭიროების საკითხი. ლეიტმოტივი კი ყველაფერ ამის არის ისევ მიხეილ ჯავახიშვილის მსოფმხედველობა იმავე 1924 წლის N1 უბის წიგნაკში ჩაწერილი:

„თუნდ მარცხნივ წადი, თუნდ მარჯვნივ, - სულ ერთია, მაინც შესცდები და ინანებ“. შეუმცდარი რომ იყო, დრომ უნდა დაწმინ-

დოს ლექი და თხლე, საჭაშნიკოდ გამზადებული კი ყოველთვის მზადაა პირუთვნელი და უშეცდომო დასკვნების გამოსატანად.

თუ რევოლუცია მოხდება, იგი უსისხლო არ იქნება, აუცილებლად მსხვერპლის ფასად დაუჯდება საქართველოს ეს აზვირთება. იქნებ რევოლუციამ იცვალოს კალაპოტი და გაჭრას მაგიური წრე, გააჩნია რა მიმართულება მიეცემა მას. ერთია, რომ ყველა სახის რევოლუციას გააჩნია კეთილშობილი იდეები. ლევ ტოლსტოი პიერ ბეზუხოვის პირით აფასებს ნაპოლეონს რევოლუციაში, სადაც ამბობს, რომ „ნაპოლეონი დიადიაო, იგი რევოლუციაზე მაღლა დადგა, ჩაახშო რა მისი ბოროტეული გამოყენება და შეინარჩუნა ყველა სიკეთე - თანასწორობა მოქალაქეთა, და თავისუფლება სიტყვისა და ბეჭდვისაო, - და მხოლოდ ამისათვის მოიპოვა მან ხელისუფლება".

მარცხებად უნდა ჩაითვალოსო". სხვა არაფერია, თუ არა დამარცხება, როცა აშკარაა იმედგაცრუება, როცა შენ მასსად ქცეულ ინდივიდუუმებს გხდიან თავ-თავიანთი მიზნების განხორციელების საშუალებად, როდესაც შენ უკვე იკარგები მასსაში და ხდები ბრბო (მართვადი თუ უმართავი, ეს სხვა საკითხია, თუმცა ორივე შემთხვევაში შენი პიროვნული ტრაგედია სახეზეა). შენ გსურს ყველაზე გადამჭრელი ზომებით, თუნდაც სისხლის ფასად ჩამოირეცხო შენი სინდისიდან ეს ხელისუფლება, ამის საშუალებას კი არ გაძლევს სწორედ ის, ვინც დაგიძახა და მოგიწვია. მოსახლეობისთვის სათუო და საეჭვოა ოპოზიციის პირველი მოთხოვნა - გადანიშნული არჩევნების ისევ უკან გადმონიშვნა და ამის საფუძველზე დანარჩენი მოთხოვნების ულტიმატუმით წარდგენა ხელისუფ-

მაშინაც ავტოკორტეჟი იყო ღამით და ახლაც, მაშინაც ოპოზიციამ ჩამოიყვანა თბილისში ხალხი რაიონებიდან და ახლაც, მაშინაც გადაიზარდა საარჩევნო მოთხოვნათა ფარსი პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნად და ახლაც (მოვლენები ჯერ კიდევ არ დამთავრებულა). ანალოგიები ბევრი იქნება, რადგან ჯერ კიდევ მიუხედავად ოპოზიციის ფორმალური ერთიანობისა, ისინი მაინც მსოფლმხედველობით ყველანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და მათი შეერთება დაემგვანება მიხეილ ჯავახიშვილის იგავს - „სპილომ კრუხი გაჭყლიტაო, წიწილები მოაგროვა, ზედ დააჯდა და უთხრა: ნუ გეშინიათ, პატარებო, ეხლა მე გაგიწევთ დედობასო" (1924 წლის N1 უბის წიგნაკიდან).

ყველანი ერთად შეკრიბა ერთმა მიზანმა, სხვამ არაფერმა. ეს მიზანი ასრულდება და ყველა

კონსტიტუციის გადამწერს. ამის იქით ან ომია, ან რევოლუცია, ან სამოქალაქო შერიგება, ან კიდევ ამათზე უფრო უარესი: ეს არის და ეს კონსტიტუციის მოხმობა, არც მეტი და არც ნაკლები.

და კიდევ ერთი და აუცილებელი საკითხი - მე მაღელვებს იმათი ბედი, ვინც დღეს გულწრფელად და ალალად ერთგულობს სააკაშვილს და მის ხელისუფლებას (ან უამისოდ). რას უქადდის მათ რევულუცია, თუ მან გაიმარჯვა? იმ პატრიოტებზე მაქვს საუბარი, სააკაშვილმა რომ ბუჩქისტებად აქცია. აუცილებლად იქნება ყვედრება, გულაცრუება, ერთმანეთის მიმართ კოჭებში ყურება, თუ როდის და რა წარმატებით დამარცხდება ახალი მთავრობა. მე იმ უბრალო ადამიანების ფსიქოლოგიური კატაკლიზმები და გარდატეხათა ტკივილიანი მრუდე გზები მაწუხებს, ვინც რაიმე გამორჩენის

# შთაბეჭდილებები ცხელ-ცხელი ამბებისა, იმისი, რაც ამ სტრიქონების კვალდაკვალ ხდება საქართველოში

რა შეიძლება ითქვას სააკაშვილზე ამ მოდელის მიხედვით - ნაპოლეონისგან განსხვავებით რევოლუცია ამაღლდა მასზე თავისი კეთილშობილი იდეებით, ხოლო რევოლუციის ბოროტ განზრახვას სააკაშვილი თავად ატარებს საკუთარი პერსონითა და თავისი გარემოცვით. ამიტომ რევოლუცია გარდაუვალია საქართველოში, თუ, როგორც უკვე აღვნიშნე, ოპოზიციურმა ძალამ არ ჩაახშო აზვირთება ეროვნული აღტკინებისა და აღვირები არ ამოსდეს გაქანებულ და აწყვეტილ რაშებს. სააკაშვილმა რევოლუციური აღტკინება ჩაახშო, მოპარა ხალხს რევოლუცია. საქართველოს ბედისწერაში ჩვენი ბედით თუ უბედობით მაინც კოდირებულია რევოლუცია და ამიტომ დაუბრუნდა ქვეყანა იმ რევოლუციურ ათვლის წერტილს, რომელიც შევარდნაძისმიერმა ტრიუმვირატმა დასტყუა და დასტაცა ხალხს და მერე საიმედოდ გადაუმალა. ამიტომ ვამბობ, რომ თავის გზას გაიკვლევს ისტორიული აუცილებლობა. ლენინი ამბობდა - „რევოლუცია შეიძლება შეაფერხო და არა თავიდან აიცილოო".

ასეცაა ახლაც.

რევოლუციათა შეფასებისა და პროგნოზების დიდოსტატი არც ამჯერად ცდება მთელი ასი წლის შემდეგ. აი, ამ რეალობის წინაშე ვიდექით 2003 წლის ნოემბერში, მაშინ მოახერხეს მაშინდელმა ე.წ. ოპოზიციურმა ძალებმა რევოლუციის შეფერხება. ამ რეალობის წინაშე ვდგავართ დღესაც, ხოლო დიდი მცდელობის მიუხედავად მოახერხებს თუ არა ახლანდელი ოპოზიცია შეაფერხოს რევოლუცია, ამას სულ მალე შევიტყობთ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დუელის დღე დანიშნულია!

სეკუნდანტები მოწვეულნი არიან!

## 3. ბუმერანგის პრინციპი ქართულ რევოლუციათა იმპროვიზაციაში

რევოლუციის დროს ე.წ. „პაბლაშკები" არ ხდება. ყველა დაპირისპირებული მხარე საკუთარ პრინციპებს და პოზიციებს კბილებით იცავს და მიზნის მისაღწევად ყველაზე რადიკალურ, და იქამდე პროვოკაციულად რადიკალურ მოთხოვნებს აყენებს, რათა მოწინააღმდეგეები წამოაგონ ანკესზე. ჩვენში კი აშკარაა „პაბლაშკები" დაპირისპირებულ მხარეთა შორის, რათა ერთმა უმტკივნეულოდ შეცვალოს მეორე იმისთვის, რომ წინამორბედის გზა ასე თუ ისე განაგრძოს მემკვიდრემ. რევოლუცია კი ყველას ჰპირდება ცხოვრების წესის ძირეულ ცვლილებას, უკეთესობისკენ თუ უარესობისკენ, ამას დაბეჯითებით ვერავინ იტყვის. დღეს ვხედავთ ერთი როგორ იმეორებს მეორის მეთოდებს. მე ამას დავარქმევდი ბუმერანგის პრინციპს - ღამისეული ავტოკოლონა, ქვეყნის პერიფერიებიდან მოსახლეობის მეტროპოლიაში თავმოყრა, არჩევნებით მანიპულაცია, მხილება ერთმანეთისა, ბრბოს არანორმალური ზიზღი მის მიერვე ხელდასმული ხელისუფლების მიმართ.

„ფრანგები ამბობენო, - წერს მ. ჯავახიშვილი თავის 1929-30 წლების უბის წიგნაკში, - გამარჯვების რწმენა ნახევარ გამარჯვებას უდრისო. მე დავამატებ: დამარცხების რწმენა სრულ დალებისთვის, და ეს მაშინ, როცა მოუწოდებენ მთავრობას კომპრომისისაკენ. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ვინ არის გარანტირებული იმაში, რომ გადმონიშნულ არჩევნებში ხელისუფლება ძველებურად „მოწოდების სიმაღლეზე" არ იქნება და არ ჩაეფუშებათ იდეა სააკაშვილის ბანდის კონსტიტუციურად ჩამოცილებისა. და ეს იმ ფონზე, როცა ხმამაღლა აცხადებენ ოპოზიციონერები, თუ წავა მთავრობა კომპრომისებზე, ჩვენც წავალთო. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მათ მოუწევთ უარის თქმა ზოგიერთ სხვა საულტიმატუმო მოთხოვნებზე, რომლის გარეშეც იმ პირველ მოთხოვნას აზრი და ფასი ეკარგება.

დიახ, დაინიშნება არჩევნები აპრილში, და დიახ, ამ არჩევნებში „ბრწყინვალედ" გაიმარჯვებს სააკაშვილი, რადგან აქ კომპრომისი ითამაშებს გადამწყვეტ როლს, ის კომპრომისი, რომელსაც დაათმობინებენ ოპოზიციონერებს. ამით ყველაფერი წყალში ჩაიყრება. ამის წინაშე დგას დღეს ქართული ოპოზიცია, რადგან არ აყენებს ერთადერთ მოთხოვნას სააკაშვილის დაუყონებლივ გადადგომისა.

ვითომ მან არ დაიმსახურა ეს მოთხოვნა?

დაიმსახურა და მერე როგორ!

მაგრამ -

ისევ მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებში ვეძიოთ ახსნაგანმარტება ყოველივე ამისა: „ქართველს იმდენადა ჰყოფნის პოტენცია, რომ წელიწადში ორიოდე ლექსი შეთხზას და დიდი პათოსი ჩაასხას, ან პოლიტიკური სიტყვა სთქვას, წერილი დასწეროს, სადღეგრძელო მოიგონოს - ისევ დიდის აღმაფრენით და აღფრთოვანებით, მაგრამ იმდენი ძალა აღარ აქვს, რომ გროშის საქმე აკეთოს - სისტემატიურად, გამტანლობით და შეუპოვრობით. პათოსი - დაწრეტილი გუბეა, შეუპოვრობა კი - პირსავსე ზღვაა. (და იქვე:) სამშობლოს ღალატი ბუნებრივი და განუყრელი რამ არის ქართველთათვის. და ჩვენი ისტორიაც განუწყვეტილი ჯაჭვია საკუთარი თავის უარყოფის, მუხანათობის" (1927წ. N8)

საბოლოო ჯამში შეიძლება ერთი უტყუარი დასკვნის გამოტანა: ოპოზიციას სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა გამარჯვებისა, იქამდე ნებისმიერი ხერხითა და მეთოდით. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისინი საბოლოო ჯამში მზად არიან საკუთარ თავზე აიღონ რევოლუცია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მათ აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ. რა თქმა უნდა, საორნოემბრო მანიფესტაცია გრანდიოზული იქნება და პომპეზურიც, მაგრამ მშვიდობიანი და გაწონასწორებული. ხელისუფლება რაც უფრო დააგვიანებს დიალოგს, ან გადამჭრელი ზომების მიღებას, მით უფრო გამწვავდება მოთხოვნები და რუსთველის გამზირი კონფრონტაციათა საბუდარი გახდება როგორც ერთი, ასევე მეორე მხარისათვის. ოპოზიციის დამარცხება გამოიწვევს სახელმწიფო ტერორს როგორც ოპოზიციაზე, ასევე მოსახლეობაზე. ყოველ შემთხვევაში, მთავრობას ისე მოაქვს ჯერ-ჯერობით თავი, თითქოს არაფერი საგანგაშო არ ხდებოდეს.

ყველაფერი ეს გასაოცრად ჰგავს ოთხი წლის წინანდელ ამბებს. მაშინაც ორი ნოემბერი იყო და ახლაც, მაშინაც არჩევნების იმიტაცია იყო და ახლაც, თავის გზას ნახავს, ეს გზა კი ერთმანეთს არ დაემთხვევა. ეს საუკეთესოდ იცის ჩვენმა მტერმა, რომელსაც ზედმიწევნით ვყავართ შესწავლილი. იგი არჩევანშია, რომელი უფრო საშიშია, ან გამოსადეგი - ერთი გულბოროტი მეფე, თუ შვიდი ხევისბერი (ეს ხატოვნად კონსტანტინე (არა კოკო) გამსახურდიას „დიდოსტატიდან").

ამასობაში კი საქართველოში რევოლუციური აღმაფრენა თავის სიმაღლეზე ადის. საკმარისია ფეხი დაუცდეს ამ გზაზე, რომ ხელისუფლებაც და ხალხიც მათ არ აპატიებს ამ შეცდომას - ერთი თავისებურად, მეორე კი თავისებურად. ესეც ისტორიული კანონზომიერებაა. თუ მთავრობამ თავიდან აიცილა რევოლუცია, ის გაათმაგებულად ულმობელი გახდება ყველას მიმართ, თვით საკუთარი თავის მიმართაც. იქნება სადამსჯელო ეგზეკუციები და რეპრესიები. ახლა თუ თითო ოროლა მკვლელობა ხდება, მალე ეს პროცესი მასიურ ხასიათს მიიღებს. ხალხი ჩავარდება კოლაფსში, მასში დაისადგურებს უნდობლობა ოპოზიციის მიმართ და თავისთავად ფარული ზიზღი გაგრძელდება ხელისუფლების მიმართაც. ისინი საკუთარ ტყავზე იწვნევენ თავიანთი გამბედაობის ნაყოფს. წავა ურთიერთბრალდების კორიანტელი. ამით ისარგებლებს მთავრობა და ლაგამს უფრო მეტად ამოსდებს მოსახლეობას. ოპოზიცია შოკირებული იქნება და სანამ ის ამ მდგომარეობიდან გამოვა, ერთიანობა აღარ იქნება, კაცს ვერ ნახავენ თავიანთ გვერდით მდგომს. ყველას შეეშინდება მათ გვერდით დგომა, კეთროვანებივით მოერიდებიან მათ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ზოგადად დამარცხებული რევოლუციების შედეგად საზოგადოებრივი მდგომარეობის გარდაუვალობა, რომელიც არაერთხელ დაუდასტურებია ისტორიას, და კიდეც ამის თქმის უფლებას მაძლევს ქართველი კაცის ბუნება, რომელიც განსაკუთრებით მგრძნობელია ასეთი სიტუაციებისა. აი, ჟან შარდენის ციტატა მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებიდან ამოკითხული: „ქართველებს დიდი ბუნებრივი ჭკუა აქვთ. მათგან შეიძლება დიდი მოღვაწენი გამოსულიყვნენ, მათთვის მეცნიერება და ხელოვნება რომ ესწავლებინათ, მაგრამ... თითქმის ყველა თაღლითები, უსაქმურები, უმადურები და ამპარტავნები არიან" (1935წ. N2).

ყველანი ამბობენ, რომ კონსტიტუციური გზა, კონსტიტუცია არ დავარღვიოთ და მსგავსი რამ. ვითომ რაა კონსტიტუცია, თუ არა სახელმწიფოებრივი სატყუარა, რომელიც შეიძლება ასეც გადაწერო და ისეც, ან საერთოდ გადაახიო თავზე მის დამწერ-გადამწერს. ვითომ ცოტა შემთხვევაა კონსტიტუციათა აშკარა უგულებელყოფის, არათუ ჩვენთან მხოლოდ, თვით დემოკრატიის მედროშე ქვეყნებშიც კი, ანუ სახელმწიფოებრივი ღალატი საკუთარივე პრინციპების. კონსტიტუცია მოლაყბეთა ერთგვარი ფარია სამართლიანობის ნიღბის ასაფარებლად. ამ წიგნში თუ წაგიკითხავენ შენს საწინააღმდეგოს, პასუხად შენც შეგიძლია წაუკითხო შენს მოწინააღმდეგეს იქვე იმავე წიგნიდან მათივე საწინააღმდეგო დებულებები. საკონსტიტუციო დუელში ყოველთვის რჩება გამარჯვება გამო კი არ ერთგულობს სააკაშვილს, არამედ იდეისთვის და იმედისთვის, - პენსიონერების, რეზერვისტების, ახალგაზრდული ორგანიზაციების და სხვათა და სხვათა; მე არაფერს ვამბობ პარტიულ და სამთავრობო ფუნქციონერებზე.

მე მაწუხებს სააკაშვილის შვილების ფსიქიკის შერყევა, როგორი გაიზრდებიან ისინი ახალ საზოგადოებაში და რა ადგილი ექნება ყველა ამ ხალხს ცხოვრებაში. ამის შესახებ ოპოზიციონერები არაფერს ამბობენ, არადა ესენიც ისეთივე ქართველები არიან, როგორც მათი მომხრეები, მათგან უმეტესს ისევე უყვარს სამშობლო, როგორც მთავრობის სასახლის წინ გამომსვლელ ნებისმიერ ორატორს და შეიძლება ზოგიერთებზე უფრო მეტადაც კი. ისინი გზააბნეულნი არიან ამ პარანოიული ხელისუფლებისაგან. მათ სრული უფლება აქვთ ყოველგვარი დაყვედრების გარეშე იცხოვრონ და იღვაწონ თავიანთ სამშობლოში. რევოლუციამ არ უნდა შექმნას მათში დამარცხების კომპლექსი, როგორც ეს ზვიადისტებს დამართა. ცხოვრება და კარიერა მათთვის არ უნდა დამთავრდეს იმით, რომ ისინი ოდესღაც პატრიოტთა ბანაკებში ისვენებდნენ, რეზერვისტებში იყვნენ, მთავრობისგან ვაუჩერები აიღეს, იყვნენ სააკაშვილის პარტიის წევრები და პატიოსნად მოვიდნენ აქამდე ისე, რომ ჭიანჭველაც კი არ გაუსრესიათ. როდესაც საზოგადოების ამ ფენაზე ვფიქრობ, ძალუმად მახსენდება ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა", სადაც საუბარია მორჩილებაზე - „იგი (მოხუცი სანტიაგო, - მ.კ.) ძალზედ გულუბრყვილო იყო, რათა ჩაფიქრებულიყო მასზე, თუ როდის შესახლდა მასში მორჩილება. მაგრამ მან იცოდა, რომ მორჩილება მასში შემოვიდა ისე, რომ ამასთან ერთად არ მოუტანია მისთვის სირცხვილი, არც ადამიანური ღირსების დაკარგვა".

ამაზე უნდა დავფიქრდეთ, სანამ რევოლუციაზე დავიწყებთ ფიქრს და ოცნებას.

## 4. წყალბრუნვის სასტიკი ქრონიკები

და მაინც, ეს რევოლუციური წყალბრუნვა დაიწყო სკანდალით:

პოლიტიკაში დაბრუნდა ერთ დროს სააკაშვილის მარჯვენა ხელი და ყველა შავი საქმის აღმსრულებელი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც რამდენიმე ხანია ჩამოცილებული იყო აქტიურ პოლიტიკას. სწორედ რომ მისი პოლიტიკაში დაბრუნება იყო სკანდალური, რადგან ყოფილი გენ-პროკურორი, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრი გადაბარგდა ოპოზიციურ ბანაკში. ესეც არ კმაროდა და მან პირი დააღო, დააღო და მერე როგორ... ვულკანის ლავასავით ამოფრქვა ამ ხელისუფლების შავ-ბნელი საქმეები. მართალია, რაც ოქრუაშვილმა ბრალდებად წაუყენა ხელისუფლებას, ასე თუ ისე ვარაუდებითა და მიხვედრებით ცნობილი იყო ხალხისთვის, ან სულაც ასეთი დამოკიდებულება არსებობდა - ეს მთავრობა ხომ ყველაფერზე წამსვლელიაო; ამდენად ოქრუაშვილისაგან ანალოგიურის მოსმენა მიღებულ იქნა, როგორც პირდაპირი მტკიცებულება. საამისოდ ხელისუფლება საგანგებოდ ემზადებოდა - აპატიმრებს ოქრუაშვილის მეგობრებსა და თანამზრახველებს გაფლანგვისა და მსგავსთა მისთა ბრალდებებით და ითხოვდნენ მათგან მხილებას ოქრუაშვილისას. ამის შემდეგ მოვლენები ელვის უსწრაფესად ვითარდება - ოქრუაშვილი გამოდის ტელეკომპანია „იმედის" ეთერში ხელისუფლების მხილებით. ეს უკანასკნელი მეორესავე ღამეს აპატიმრებს ნამინისტრალნაპროკურორალს. აი, მესამე დღიდან უკვე ოპოზიცია იღებს სიტუაციის მართვის სადავეებს ხელში. იმართება საპროტესტო აქციები და მანიფესტაციები, რომელიც პერმანენტულ ხასიათს იღებს. ოპოზიციის მოთავეები ერთიანდებიან სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ოქრუაშვილს წარმოსახავენ როგორც გმირსა და თავდადებულს. აუცილებლობისათვის უნდა ითქვას, რომ ოქრუაშვილის გმირის რანგში აღზევება აწყობდა როგორც ოპოზიციას, ასევე ხელისუფლებას. ერთისთვის იგი საბოლოო ჯამში გახდებოდა მსხვერპლი, მეორესათვის კი გმირისა და მსხვერპლის ყალბი სახე, რომელიც საბოლოო ჯამში როგორც ბომბი, არასანდო გახდებოდა თვით ოპოზიციისათვის შელახული რეპუტაციით (და ეს უკვე მერამდენედ). ოქრუაშვილმა გააკეთა ტელეაღიარება დაპატიმრებიდან სულ რაღაც ერთ კვირაში. ამას ახალი მღელვარების ტალღა მოჰყვა, მაგრამ ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ოქრუაშვილი საბოლოოდ და სამუდამოდ ჩამოაცილეს პოლიტიკას ნდობის ფაქტორის გამო, მისგან გაბზარული თუ გატეხილი გმირის იდეალის გამო. ასეა თუ ისე, პოლიტიკური ვნებათაღელვა ოქრუაშვილის „ჩამოწერით" არ დამცხრალა. ბევრს აღარ გავაგრძელებ ოქრუაშვილზე მსჯელობით, ერთს კი ვიტყვი: მან სავსებით დაიმსახურა ის, რაც მის თავს გადახდა, რადგან იყო დრო, როცა თავადაც ასევე ანალოგიური შეთითხნილი, ან დაუსაბუთებელი ბრალდებებით ახდენდა ტელედაპატიმრებებს. მას ბუმერანგივით შემოუტრიალდა მის მიერვე შექმნილი სადამსჯელო მანქანა. ანალოგია შეიძლება მოვიტანოთ იაგოდა, ეჟოვსა და ბერიასთან. ისინიც ანალოგიურად დასაჯა თავიანთმავე შექმნილმა, ნასათუთევმა და ნალოლიავებმა მექანიზმმა, არათუ მატერიალურად ხილვადმა საგანმა, არამედ აბსტრაქციამ ეფემერული იდეის განსახორციელებლად, ერთის განსხვავებით - სტალინის შინსახკომები განადგურდნენ ფიზიკურად, სააკაშვილის რკინის მინისტრ-პროკურორი კი მორალურად და სულიერად. ძალუმად მახსენდება ოსტაპ ბენდერის მიერ საზოგადოებისათვის „კისას" წარდგინება - „Отец Русской" (აქ შეიძლება შევანაცვლოთ ეროვნული კუთვნილება - მ.კ.) демократии!: Особо приближенный к Императору... (დავიხსომოთ, особо приближенный к Императору). ოქრუაშვილი, გინდა, არ გინდა, გმირი ვეღარ გახდება თავისი გატეხილი ნებისყოფის გამო. სამაგიეროდ, აი, გმირი... (უკომენტაროდ).

„ერთი ქართველის თავი უნდა მოეკვეთნათ. უკანასკნელი სათხოვარი ჰკითხეს. მოითხოვა წვერის გაპარსვა, აბანო, საცვალი, ყალიონი. უკანასკნელ სათქმელს მერე ვიტყვიო. ბოლოს იგი სთქვა: „საქართველოს გაუმარჯოს" და თავი ჯალათს გაუშვირა" (მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებიდან 1924წ. N1, შედარებისა და კონტრასტის ჯავახიშვილისეული თვალსაწიერიდან დასანახად, რათა შევიგრძნოთ სრულმომცველობით ოქრუაშვილის როლის იანუსური სახე, გთავაზობთ 1926-27წწ. N7 უბის წიგნაკის ჩანაწერს მიხეილ ჯავახიშვილისას:

„შაჰ აბასის ჯალათი დაიჭირეს კახელებმა. ქართველების დახოცვას აბრალებენ.

- მე ბრძანება შევასრულე.

- მეც ბრძანებას ვასრულებ, - უპასუხებს ქართველი ჯალათი, რომელსაც პირველმა ძმა მოუკლა.

- მე მოვალეობა (სამსახური) შევასრულე.

- მეც ვასრულებ!

თავი მოჰკვეთეს, სპარსმა ქართველისა ვერა გაიგო რა."

ოქრუაშვილი იყო როგორც დამსჯელი, ასევე დასჯილი, - დასჯილი სამართლიანადაც და ალბათ უსამართლოდაც (ამით ამოვწუროთ ოქრუაშვილის თემა, რადგან რაც მის თავზე მოხდება ამას იქით, ეს უკვე უბრალო სტატისტიკაა და მეტი არაფერი, - მ.კ.).

შემოდგომაა ახლაც (მაშინ, როცა ეს სტატია იწერება) და შემოდგომა იყო მაშინაც, როცა ეს მოხდა: კახელმა გლეხმა ვენახი აჩეხა, ეს იყო და ეს. ეს არც შარშან მომხდარა და არც იმის წინ, არც შორეულ წარსულში, იგი წლეულს მოხდა. მოხდა მწვავე პოლიტიკურ ფონზე. ეს საპროტესტო აქტი განხორციელდა ტელეტრანსლაციით და































პოლიტიკური განცხადებით. ეს მაშინ, როცა მთავრობა გაიძახის, რომ წლევანდელ წელს რთველი წარმატებულად დამთავრდაო, და მაინც ქართულ ღვინოზე რუსული გამძაფრებული ემბარგოს ფონზე. ლეიტმოტივი ვაზის აჩეხვისა იყო ის, რომ „აი, როგორ გვეპყრობა მთავრობა, რომ იძულებული გავხდით პროტესტის უკიდურესი ზომებისთვის მიგვემართაო“. შესაბამისად, მთავრობის მხრიდან პასუხად რისხვის ნიაღვარი დაატყდა ტელეკომპანია „იმედს“ და მის შემოქმედებით ჯგუფს, ესაო-და გლეხს ფული გადაუხადეს, რათა მას ვენახი აეჩეხა და მათ ექსლუზიური უფლებით გაეშუქებინათ ეს ამბავი და აეტეხათ საქვეყნო განგაში. დაპატიმრებით დაემუქრნენ როგორც გლეხს, ასევე ტელეკომპანია „იმედის“ ტელეჟურნალისტს. მუქარა მუქარად დარჩა, მაგრამ წადილი? ამ ინციდენტში, რა თქმა უნდა, დამნაშავეა მთავრობა, მაგრამ დამნაშავეა გლეხიც. მთავრობამ მისცა გლეხს საბაბი იმისთვის, რომ პროტესტის ასეთი უკიდურესი ფორმისთვის მიემართა. მან სოფლის მეურნეობის დარგშიც, ისევე როგორც საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა სფეროებში, სრული უნიათობა, უჭკუობა და მოღალატეობა გამოავლინა. ამის შესახებ უკვე ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა. სამაგიეროდ მართალი არ არის ის გლეხიც, რადგან ყოვლად გაუმართლებელია კახელი გლეხიკაცის ასეთი საქციელი. ტიციან ტაბიძე აღფრთოვანებით ამბობდა -

„ნეტა სადა აქვს
ამ ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად
ამდენი ვაზი“-ო.

სააკაშვილის უგვანო პერსონის გამო არ უნდა დადებოდა ამ ზვარებს ბოლო!

კარგი, ბატონო, იმდენად ხეპრეა ეს მთავრობა, რომ მოსავალს არ იბარებს, ან იბარებს გლეხისთვის კაბალურ ფასად. შენც, გლეხმა, ადექი და საერთოდ არ ჩააბარო მთავრობას ყურძენი, ჩაუშალე მას რთველის სიამოვნება, მაგრამ მას მეტი გამჭრიახობა არა აქვს, გლეხია და მიტომ. შენ თვითონ განკარგე შენივე მოსავალი. განა ქარხნებისა და ფაბრიკების გაჩენამდე გლეხი მოსავალს არ იღებდა? რაც თავადებთან მიჰქონდათ, არანაკლები რჩებოდა თავადაც. არც თავადი ელოდა ჩამბარებლებს და არც გლეხი ზრუნავდა ხელი იოლად და იაფად დაეცალა. ეს ერთგვარი სიზარმაცეა იმიტომ, რომ მოსავალს, რაგინდ ბევრი არ უნდა იყოს, დაბინავება სჭირდება და არა ვენახის აჭრა. მე ამას ნამდვილად ვერ დავაბრალებ ტ/კ „იმედის“ პიარ-აქციას, რადგან ამ ტელევიზიის გარდა სხვა ტელე და რადიოკომპანიები აშუქებდნენ ამ ამბავს, - და როგორც ეს ამ გლეხმა შემდეგ და შემდეგ თქვა, თავად მოიწვია მასმედიის წარმომადგენლები, რათა გახმაურებულიყო ეს პროტესტი.

ამ გლეხშია პრობლემა და არა ჟურნალისტებში!

მთავრობა კი იმდენადაა ნარცისივით თვითკმაყოფილი და თავიყვარია, რომ ყველაფერ ამას სირაქლემას თვალსაწიერიდან უმზერს. თავისთავად, იგი დამნაშავეს ეძებს ამ „პროვოკაციისას“, იოლად პოულობს:

„- ვინ გადაიღო და გააშუქა ეს ამბავი?

- ტელეკომპანია „იმედმა“!

ახლა კომიქსი,თუ როგორ იპოვა მთავრობამ „შეთქმულები“ და გამოააშკარავა ისინი:

- „იმედო“ ვისი ხარ?

- ბადრისი.

- ბადრი რა კაცია?

- ბადრი ის კაცია, ფულებს თლის, ბანკში აწყობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხებს.“

ეს ხუმრობით, მაგრამ სწორედ ამ პრინციპით იქნა ნაპოვნი „განტევების ვაცი“. ხელსაყრელიც გამოდგა, რადგან პოლიტიკურ ოპონენტებს მისმა და მხოლოდ მისმა ტელევიზიამ გაუღო ფართოდ კარი. ოქრუაშვილის ინციდენტთან მიმართებაშიც გასვარეს ბადრი პატარკაციშვილი, რადგან მხოლოდ ტ/კ „იმედის“ ტელეეკრანებიდან ამხილა ოქრუაშვილმა სააკაშვილი რიგ სისხლისსამართლებრივ დანაშაულებში. ფულიც თურმე პატარკაციშვილს გადაუხდია იმ გლეხისთვის. სწორედ ეს ინციდენტი გახდა მთავრობისთვის ის საკვანძო ხრტილად, რამაც წარმოსახვაში თავისი მტრები ერთად თავმოყრილი დაინახა - ტელევიზია, გლეხი, პატარკაციშვილი. ამას უნდა დამატებოდა კიდევ ერთი ცხელი წერტილი პოლიტიკურ რეალობაში წარმოქმნილი - ირაკლი ოქრუაშვილი.

„კავშირი გულთა შორის“, - გალაკტიონის სიტყვებით დააკავშირებდა გონიერი კაცი, მაგრამ სამჭკუაშვილთა მთავრობამ პატარკაციშვილი ამოიღო მიზანში ამ „კავშირის“ ღერძად: გლეხს უხდის ფულს პატარკაციშვილი, ოქრუაშვილის მეშვეობით პატარკაციშვილი აწყობს შეთქმულებებს. აი, ბუნტიო, - თქვა საქართველოში უმცირესმა უმრავლესობამ. ტელევიზიას და პატარკაციშვილს ცალკე შევეხები, ახლა გლეხის ფსიქიკას დავაკვირდეთ. მიხეილ ჯავახიშვილმა გაცილებით უფრო დახვეწილად, უფრო ტრაგიკულად და გულის შემძვრელად დახატა განსხვავებულ სიტუაციაში სწორედ ასეთი გლეხის პორტრეტი:

„ერთმა გლეხმა ძვირფასი არქეოლოგიური განძი იპოვა და მთავრობას მიართვა. ჯილდოდ 10 000 მანეთი მისცეს. იანგარიშა, გავკეთდიო, მაგრამ საქონელი რომ ეყიდა და ბაღ-ვენახი გაეშენებინა, კულაკად გადაიქცეოდა და ახალსაც წაართმევდნენ და ძველსაც ზედ მიაყოლებდნენ. სხვაფრივ რომ ვეღარ გამოიყენა, ქეიფს მიჰყო ხელი. გალოთდა, ეს ფულიც დახარჯა და ოჯახიც გაანიავა“ (უბის წიგნაკებიდან 1930-31წწ.).

კოლექტივიზაციის ეპოქაში ეს გლეხი სწორედ ისე მოიქცეოდა, როგორც ჯავახიშვილს აქვს აღწერილი, ხოლო ის ჯავახიშვილისეული გლეხი ამ სიტუაციაში სწორედ რომ ვენახს გაჩეხავდა - ვენახს - დედა ღვთისმშობლის განსახიერებას („შენ ხარ ვენახიო“, - ვუგალობთ მარადი ქალწულ დედა მარიამს); ვენახს - წმიდა ნინოს - მოციქულთა სწორის ნაწნავებით შეკრულ ჯვარს, სხვა უკეთესს იგი ვერ გააკეთებდა, რადგან გლეხში მომსპარია მშრომელის, მომმუშაკებლის საღვთო მისია.

მე როცა გლეხი ვარ და ვიცი ჭარბი პროდუქტი მომდის, ამ მთავრობის შემხედვარე არ ვიქნები არასოდეს და არაფერში. არც გრანტი მინდა მისი, არც სესხი. თავად გავუძღვები მეურნეობას, ღმერთი საშველს გამიჩენს.

აი, ეს რწმენა არ იყო ამ გლეხში, მას ურჩევნია ვაზი აჩეხოს იმის გამო, რომ არ იბარებენ მის ყურძენს ფაბრიკა-ქარხნები საერთოდ, ან იმ ფასად, რადაც იგი მას უღირს, ვიდრე ზედმეტად გაისარჯოს და ერთი მარანი თუ აქვს, სამი და ოთხი ზედ მიამატოს, უკეთეს შემთხვევაში ყურძნის წვენი გაიტანოს ბაზარზე, ან ღვინითა და არყით მოამარაგოს მყიდველები და ამით მეტი შემოსავალი მიიღოს. იოლად გადადის ყველაფერი, როცა ფაბრიკა-ქარხნები იბარებენ ყურძენს - ხელის დაცლა გამოდის. სწორედ ასე დაიცალა ხელი ჯავახიშვილის გლეხმა 10 000 მანეთისგან გაკულაკების შიშით, ამ შემთხვევაში კი ზედმეტი შრომის გაწევის შიშით. იქაც და აქაც შიშია ზედმეტი შრომის, ვაი თუ წამერთვასო. იმ და ამ გლეხების ფიქრი მეტად ვერ ჭრის გონიერ სიღრმეებს. ამიტომ უნდა იშრომოს მან და მიიღოს მცირედი, სამაგიეროდ ისარგებლოს სხვამ უშრომელად, ვისაც ხელში ჩაუვარდება ეს განძი კაპიკებში და კაპიკებს დოლარებად აქცევს, მერე კი ჩვენ ვღიზიანდებით რატომა აქვს ამ კაცს ამდენი ფულიო, როცა არ შრომობს და ოფლსაც არ ღვრის, ზის კაბინეტში კომპიუტერთან მობილურით ხელში და ითვლის და ითვლის თავის ახალ-ახალ მოგებებსო. შენ კი, ვისაც ტყავი გაგძვრა შრომისგან (ისევ ჯავახიშვილს დავესესხები) „შიმშილისგან ყელში ხავსი ამოგივიდა“, მოდიხარ მერე და გაბოროტებული ვენახს აჩეხავ. ნამდვილად საგანგაშო ამბავია, ღმერთმანი.

პოლიტიკური ოპოზიცია კი ამას სოლიდარობას უცხადებს, რათა სათქმელი ექნეს - „ქვედაფენებს (ხალხს) აღარ შეუძლიათ და აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება. ამიტომ კი იცი, რაც უნდა ჰქნაო...“

ასეც მოხდა. პოლიტიკოსებმა (ყველას ვგულისხმობ ამ სიტყვაში) გლეხის ეს ტრაგედია სიტყვის მასალად გამოიყენეს. ერთმა - ისე, როგორც მას აწყობდა (ანუ პატარკაციშვილმა ფული გადაუხადა გლეხს ვენახის აჩეხვაშიო), მეორემაც - ისევ ისე, როგორც ეს მას აწყობდა (ანუ ხალხისთვის რომ ეთქვა - „შეხედეთ, ხალხო, თქვენს თავს, რას დაგამგვანათ მამაძაღლმა აბელა სეთურმა და მოსასპობმა თაბაგარმაო“). გლეხის პრობლემის რეალურ არსზე სამწუხაროდ არავინ დაფიქრებულა. გლეხმა უნდა შეიცვალოს მენტალიტეტი და არა მთავრობა. გლეხი გიორგი ბრწყინვალის დროსაც გლეხი იყო და ავ-გიორგის დროსაც. იგი ყოველთვის თავის საქმეს აკეთებდა, იცოდა რა უნდა ეკეთებინა, და მიტომ. ვენახს მხოლოდ შაჰ-აბასელი სარკინოზები ჩეხავდნენ და არა ქართველ მეფეზე, ან თავადზე გადამტერებული გლეხები.

„არჩილ ჯორჯაძე მართალიაო, - წერდა მ. ჯავახიშვილი 1926 წლის N6 უბის წიგნაკში, - ოპტიმიზმით უნდა გაიჟღინთოს მთელი საქართველოო. მაგრამ... ოპტიმიზმიც ნარკოზია, დაილევა, გაჰქრება“.

მართლაც იყო ნარკოტიკივით მათრობელი ოპტიმიზმი, ამიტომ ვერ შევიცანით „რევოლუციური ტრიუმვირატი“. ახლა გაქრა და დაილია იგი. ერთი დაასკვნის, ან თუნდაც აღმოჩენის წინაშე დავდექი, რასაც ძველებური ცხოვრების ფურმულა ჰქვია: „ხალხს არასოდეს არ სურს ძველებურად ცხოვრება იმის მიუხედავად, შეუძლიათ მათ თუ არა ძველებურად ცხოვრება. მაგრამ ხალხი ყოველთვის მიილტვის ძველებურად ცხოვრების მოჩვენებითი იდილიისაკენ, რადგან არ შეუძლიათ ახლებურად ცხოვრება იმის მიუხედავად შეუძლიათ თუ არა მათ ახლებურად ცხოვრება“. ეს არის ცხოვრების კანონი, რომელიც დამანახა იმ გარემოებამ და გარემომ, რასაც ვხედავ. სწორედ ეს ფორმულები ერთმანეთთან შეუკავშირებლად და ერთიანი ჰიბრიდის მიუღებლად მოგვცა მიხეილ ჯავახიშვილმა 1935 წლის N10 უბის წიგნაკში, სადაც მოცემულია დიალოგი:

„- როგორა ხარ?

- უარესად, ვიდრე გუშინ, მაგრამ უკეთესად, ვიდრე ხვალ. შენ როგორა ხარ?

- უკეთესად, ვიდრე გუშინ, და უარესად, ვიდრე ხვალ“.

თუმცაღა აქ არ არის ფორმულირებული სურვილისა და შესაძლებლობის ბალანსი როგორ არის გადანაწილებული და ეს ალბათ სპეციალურად იქნა უგულებელყოფილი საშიში დროის გამო.

ახლა ორიოდ სიტყვით მსურს შევაჩერო ყურადღება თვინიერ და კრიტიკულ მასსაზე, იმ გლეხის კრებით სახეზე, რომელმაც ვენახი აჩეხა და იმაზე, ვინც დაუწუნა ეს საქციელი. აქ საუბარი არ მექნება ინდივიდებზე, აქ ყურადღების ცენტრში მეყოლება გაბევრებული სახე ერთი კაცისა და ამ გაბევრებაში ის ერთი კაცი რა თვისებებს იძენს და რას კარგავს კრიტიკულ სიტუაციებში.

ამ საკითხებზე მსჯელობა გაგვიადვილდება, თუ დავაკვირდებით ერთ მნიშვნელოვან ფაქტს - როდის ხდება ინდივიდი მასსის ნაწილი და აქედან გამომდინარე - უკვე შემდგარი მასსა ბრბოა, თუ ზოგადად ინდივიდთა მასიური თავყრილობა, ანუ ხალხის კრებული, თუ ამათ შორის შუალედი, ანუ რჩება მასსად, რაოდენობრივად ჭარბ თუ ნაკლულ საზოგადოების ნაწილად. ინდივიდი სწორედ მაშინ ხდება მასსის ნაწილი, როდესაც იგი გამოხატავს თავის ნებას ჩაერთოს მასიურ თავყრილობებში მხოლოდ მას შემდეგ, რაც რომელიღაც დომინირებული პოზიცია მისთვის მისაღები გახდება, ანუ „იყვიროს სხვამ და ვიყვირებ მეცო“, - გასაგებად რომ ვთქვათ. ინდივიდი ყოველთვის ელოდება სხვის „ყვირილს“, თვითონ არ არის ამ „ყვირილის“ მოთავე, პირიქით, იგი ყოველმხრივ ცდილობს გააჭიანუროს და გადადოს შორეული პერსპექტივებისათვის ეს „ყვირილი“. მაგრამ როდესაც გარდაუვლად მოახლოებულია ეს პროცესი და ვიღაც უკვე ყვირის, იგი ბუნებრივია ხდება ამ ყვირილის გამაძლიერებელი. არა აქვს მნიშვნელობა ეს ინდივიდი მასსას შეუერთდება თუ არა. იგი მაინც იმ თავშეყრილთა ნაწილად რჩება ქვეშეცნეულად, რადგან ისიც პოტენციურად მასსის თვისების მატარებელია ყოველი თვისებით. შენ რჩები ინდივიდუუმის სახედ მანამ, სანამ მოსაზრებით ხარ პერსონიფიცერებული, საკმარისია ეს მოსაზრება რაღაც ნაწილში მაინც შეუერთდეს მასსას, უკვე მთლიანად გაიზიარებ მის მთელ ხვედრს. თავდაპირველად გსურს ინდივიდუალური სახე შეინარჩუნო სრულად, მაგრამ ძალაუნებურად მრავალთა ნება შთანთქავს შენს განკერძოებას, - მითუმეტეს მაშინ, თუ შენი და მასსის ნება თანხვედრილია. მაშინ შენც ისევე იქცევი, როგორც ყველა სხვა დანარჩენი და ხდები ერთიანი ორგანიზმის ნაწილი.

შესადარებლად მოვიტან მაგალითს: მიდიხარ სტუმრად, ხვდები ხალხმრავლობაში, მაგრამ ეს არ არის მასსა. იქ შენეული ქმედება გაქვს, სხვას სხვა. აქ პერსონიფიცირების ბალანსი დაცულია. მაგრამ ხარ სტადიონზე, შენი მღელვარება და აზარტი თავისთავად პირდაპირპროპორციულია იქ თავმოყრილი სხვა ხალხისა, როცა ყვირიან ისინი, ყვირი შენც, როცა წყნარად ხარ შენ, წყნარად არიან ისიც, როცა იძაბებიან ისინი, იძაბები შენც. ე.ი. უმეტესწილად შენი და მასსის ქმედებები ერთნაირია. განსხვავება მხოლოდ წვრილმანებშია - შეიძლება ვიღაც მზესუმზირას ჭამდეს, შენ თამბაქოს ეწეოდე, კიდევ ვიღაც ტაშს უკრავდეს და ა.შ. ანუ ხდება ინდივიდის შესხეულება მასსასთან.

ასევეა მიტინგებზეც.

კიდევ ერთი თვისება ინდივიდისა მასსაში - შეიძლება პერსონიფიცირების რაღაც ქმედება არ განახორციელო, რაც შენს მრწამსთან შეუთავსებელია, მაგ. კაცის გალახვა, შეგინება, ყვირილი და სხვ., ხოლო მასსასთან შესხეულებისას შენთვის ეთიკის ნორმების დარღვევა ჩვეულებრივი რამ არის, რადგან ასეთ დროს შენ არა ხარ ინდივიდი. თუ სხვა იგინება, ძალაუნებურად შენც იგინები, თუ სხვა სტვენს, შენც სტვენ, თუ სხვა ურტყამს, შენც ურტყამ.

არის კიდევ ასეთი რამ, ინდივიდის ექსცესი. ეს ნიშნავს იმას, რომ მასსის ზოგადი ქმედებიდან ეგზალტირებული ამოვარდე ზოგადი განწყობისაგან და სრულიად გაუთვალისწინებელი რამ ჩაიდინო, მაშინ, როცა ამას არავინ სჩადის, მაგრამ მასსიური აგრესიის ენერგია გადმოდის შენში და მაგალითს აძლევ სხვებს უმაგალითო საქმეთა ჩასადენად. ამ დროს შენს საქციელს ვერ აკონტროლებ და პასუხსაც ვერ აგებ ნამოქმედარზე, მაშინ, როცა პერსონიფიცირებული ინდივიდი შესაბამის ქმედებას არასოდეს ჩაიდენ. მასსას სჭირდება გონივრული მართვა, აქტიურია იგი თუ პასიური თავის მონაწილეობაში, ე.ი. შეიძლება აქციაში მიიღო მონაწილეობა ისე, რომ შენთვის იყო წყნარად და ხმაც არ ამოიღო, და შეიძლება შენი ემოციით ზეგავლენა მოახდინო გვერდით მყოფებზე და ადვილად აიყოლიო მათი სკანდირება იქნება ეს, თუ სხვა რამ დასაშვები, თუნდაც დაუშვებელი ხერხები. მასსას მოწყვეტილი კი ისევ იბრუნებ ინდივიდუალურ სახეს, მაგრამ შეიძლება ემოციურად გაგყვეს მასსის აღტკინება.

რაც ზემოთ აღვნიშნე, ეს თვისებები შეიძლება ატაროს როგორც კრიტიკულმა, ასევე თვინიერმა მასსამ. კრიტიკული მასსა თავის თავში ატარებს პროტესტს და აგრესიის რაღაც დოზას მოწინააღმდეგე მხარის მიმართ. ხოლო თვინიერი მასსა იმთავითვე ინდიფერენტულია სიტუაციის მიმართ მანამ, სანამ მათი გამოყენების საჭიროება არ დადგება. აი, მაშინ ხდება თვინიერი მასსა მხოლოდ აგრესიული (და არა კრიტიკული) და იგი ხდება საშიშ ძალად, რომელიც ყოველ წუთში შეიძლება გახდეს უმართავი.

„ბერწი ძროხა მაკეზე მუდამ უფრო ანჩხლია და მრჩოლავიო“, - წერდა მ. ჯავახიშვილი 1927 წლის N8 უბის წიგნაკში.

რატომ შეიძლება ვუწოდოთ ბერწი თვინიერ მასსას?

იმიტომ, რომ მისი ინდიფერენტული ბუნება არაა სხვაზე გადამდები თვისება, იგი თავის მრწამსში ვერ განიცდის მატებას განსხვავებით კრიტიკული მასსისაგან, რომელსაც ძალა შესწევს თავისი რადიკალიზმით მოიცვას ადამიანთა ფართო წრე მსოფლმხედველობის, წარმომავლობის, სქესის, აღმსარებლობის და სხვა კომპონენტების მიუხედავად. თვინიერ მასსას არ სჭირდება დევიზი - „იყვიროს სხვამ და ვიყვირებ მეცო“. მასში ბუნებითი მოთხოვნილებაა ყვირილის, რათა დაშლა და რღვევა არ განიცადოს მისმა ყოფამ (კმაყოფილმა თუ უკმაყოფილომ, სულ ერთია), რადგან თავის ყოფას ის შეჩვეულია და აგრესიულადაა განწყობილი ყოველგვარ ძვრებსა და ცვლილებებზე, მისდა სასიკეთოზეც კი, იგი ბუნებით კონსერვატორია, და მიტომ. მისთვის სულ ერთია სურს თუ არა, ან შეუძლია თუ არა ძველებურად ცხოვრება, მისთვის მთავარია უზრუნველყოფილი აწმყო არსებული რეალობით. სწორედ ამათზე იტყვიან - შეშინებულმა თხამ მგელი შეჭამაო.

და მაინც, ვინ იყო მისული საორნოემბრო მანიფესტაციაზე თბილისში მთავრობის სასახლესთან - ბრბო, მასსა თუ ხალხი?

ცალსახად რომ ვთქვა, მანიფესტაციაზე ბრბო იყო მისულიო, არ ვიქნები მართალი ასიათასიან საზოგადოებასთან, ხალხი იყო მისულიო; რომ ვთქვა, საკუთარ თავთან არ ვიქნები მართალი; ხოლო მასსა იყო მისულიო, ასე რომ ვთქვა, ჩემი ერის წინაშე არ ვიქნები მართალი.

ჭრელი იყო საზოგადოება, ეს შემდეგ და შემდეგ შეთხელებული პროტესტანტების რიგებმა დაამოწმა. იყო ბრბოც, რომელიც აშკარად სეირის საყურებლად იყო მისული და უფრო მეტად სიამოვნებდათ იმ პროცესში მონაწილეობა. მასსის ეს განშტოება ელოდა მოთხოვნათა რადიკალიზაციას, რათა შემდეგ მომხდარიყო სიტუაციის დაძაბვა. ამით არ უნდა გამხდარიყო მოსაწყენი სანახაობა. მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა არჩევნები გაზაფხულზე ჩატარდებოდა თუ შემოდგომაზე, მათთვის მთავარი იყო ყველაფერი მომხდარიყო მომენტალურად. ზოგიერთი ვერც აცნობიერებდა, თუ არჩევნების გადატანა-გადმოტანისათვის იყვნენ მისულები თუ სააკაშვილის კაბინეტიდან გამოტანისთვის. მნიშვნელობაც არ ესმოდათ ყოველივესი. მთავარი იყო თეატრალიზება პროცესის, რათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი მათაც ეთამაშნათ. ოპოზიციამ კი შესთავაზა მათ სხვანაირი თამაშის წესები, რამაც დააფრთხო ბრბო, ერთის სიტყვით იმედები გაუცრუვდა უმეტესობას და ერთხანს პასიურ მონაწილეებად იქცნენ მანიფესტაციისა, შემდეგ კი საერთოდ დაიშალნენ. მეორე დღიდან მომიტინგეებს ჩამოსცილდა ბრბო. ყველაფერი ეს ძალიან კარგად ესმოდა ხელისუფლებას და ამიტომ იყვნენ ასე „არხეინები“ და დღემდე განაგრძობენ „არხეინობას“.

„შენს გულს ლაგამი ამოსდე და თავი მაგრად დაუჭირე. თავგამწევია და ნუ მიუშვებ, თორემ ხრამში გადაგაგდებს. დინჯად ატარე და თუ გარემოებამ მოითხოვოს, ისე მოსწიე, რომ დაიჩოქოს და თავი ვეღარ ასწიოს...“ (მ. ჯავახიშვილი. უბის წიგნაკებიდან 1935წ. N10), სწორედ რომ გულს მოდებული ლაგამი გაექცა ბრბოს და გადაიჩეხა კიდეც. მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ასიათასიან ხალხში სხვადასხვა იქნებოდა ხარისხი და ენთუზიაზმი იდეისადმი თავგანწირვისა. ამიტომ, თავისი მოჩვენებითი სიმშვიდით ზემოქმედება იქონია პირველყოვლისა ბრბოზე, რომელსაც დაანახა თავისი „უძლეველობა“ სიტუაციისადმი ინდიფერენტული განწყობით. მიჰყვა ბრბოს გული ჯერ ერთს, იქ რომ ვერ იპოვა თავისი სულიერი საზრდო, მერე მეორეს მიჰყვა, აქ რომ დაინახა უშიში დამოკიდებულება, თავად შეეშინდა ქვეშეცნეულად, გაუაზრებლად და გაუთვითცნობიერებლად. გულზე მაგრად დაჭერილმა ლაგამმა შეაწუხა და მიუშვა... მიუშვა და თვითონაც მიჰყვა.

დარჩა მასსა რუსთაველზე, მასსა, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში რაოდენობრივ ბალანსს ასე თუ ისე ინარჩუნებდა და ელოდა დასმული საკითხების დროულ გადაწყვეტას, რადგან ეგონათ ყველაფერი ისე განვითარდებოდა, როგორც ოთხი წლის წინ. მასსაზე კეთდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა აბსტრაქტული თვალსაზრისით - ერთის მხრივ ოპოზიციის მოწოდებები, რომ გავიმარჯვებთო და სანაგვე ყუთში მოვისროლით სააკაშვილშჩინას, მეორეს მხრივ კი სააკაშვილისტების ოლიმპიური სიმშვიდე თრგუნავდა მასსას.

მასსა გატყდა სულ რაღაც ოთხ-ხუთ დღეში დემონსტრაციების დასაწყისიდან. სწორედ ამას ელოდნენ სააკაშვილის „ტურები“ (არათუ „ძაღლები“, როგორც ამას ჟარგონებით უწოდებენ სამართალდამცავ ორგანოებს, სწორედ რომ „ტურები“, რადგან ტურების თვისება შესძინა პატრულსა და „ომონს“ სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომელთათვისაც მოქმედებს კანონი ხროვის, როდესაც დაიმარტოხელებენ დასუსტებულ მეტოქეს და ჯგროდ დაერევიან და გაანადგურებენ ყველაზე დაუნდობელი მეთოდებით და ცივი გონებით). მასსამ ვეღარ გასწია რაოდენობის სისავსის მისია და მათი უმრავლესობა შემოეცალა მომიტინგეებს. ამას ხედავდა ოპოზიცია, ხედავდა, თუ როგორ თვალსა და ხელს შუა ეცლებოდა აუდიტორია და სასწრაფოდ ახალი ტაქტიკა უნდა შეემუშავებინათ, რათა სრული კრახისაგან და სირცხვილისაგან გადაერჩინა მდგომარეობა და ამასთან ერთად საკუთარი თავები. მიუხედავად რადიკალური მოთხოვნებისა ხელისუფლების გადადგომის შესახებ, რასაც ამდენი ხანი ითხოვდა ხალხი მათგან, მაინც პოლიტიკურ სცენაზე ახალი „თეატრალიზებული“ სანახაობა იყო საჭირო და იგი შედგა - უვადო შიმშილობა მოთხოვნათა დაკმაყოფილებამდე. მოთხოვნები კი დეკლარირებული იყო არჩევნებით და არა ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით. მანიფესტაციების ბოლო დღეებში მთავრობის სასახლის წინ აღარ იდგა აღარც ბრბო და აღარც მასსა. აქ თავშეყრილი იყო მთელი ბირთვი აქტიურად მოაზროვნე ერისა, აქ არ იდგა გაუთვიცნობიერებელი მასსა და ბრბო. მათ ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა და შეგნებულიც ჰქონდათ ის, რასაც აკეთებდნენ, მოტივირებული ჰქონდათ თავიანთი პროტესტის გრძნობა და ისინი პოლიტიკურად დახვეწილად მოქმედებდნენ. კარვების დადგმა ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსთველის პროსპექტზე ეს საპროტესტო აქცია განუსაზღვრელი დროით გაგრძელდებოდა თუნდაც რაოდენობრივად მცირე ხალხი ყოფილიყო. ამით პროცესი არ ჩაიშლებოდა და სრული კრახისაგან ერთადერთი თავის დახსნა ეს იქნებოდა, ე.ი. არ მოდის ხალხი, მაგრამ დაფიქსირებულია ათეულობით მოშიმშილე კონკრეტული მოთხოვნით. შესაძლებელი იყო მოშიმშილეთა რიცხვი გეომეტრიული პროგრესით გაზრდილიყო და ამასთანავე დაცემულიყო რაღაც დღეების შემდეგ. ერთია, რომ სააკაშვილიშჩინა ამ აქციას უკვე ვეღარ დაარბევდა, რადგან საერთაშორისო სკანდალში გაეხვეოდა და ერთბაშად დაიმსხვრეოდა ისედაც საეჭვო მითი დემოკრატი სააკაშვილისა. საჭირო იყო ამ საშიშროების თავშივე მოშთობა, სანამ აზარტში შევიდოდა შიმშილობის აქცია და ხალხი შეემა-

## ძველებურად ცხოვრება

ტებოდა მოშიშილეებს. კარტბლანში და დაფინანსება პატრონისგან მიღებული ჰქონდათ. ამ შემთხვევაში ორთავე პოლიტიკურად ბეცები გამოდგნენ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფრის გამოსწორება მოუწიათ ასევე ნაძალადევი სიმშვიდით.

შემდეგ მოსახდენი მოხდა - სატახტო ქალაქში გათენდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 90 წლისთავი. ანალოგიით ეს დღე სარევოლუციოს არ ჰგავდა. იგი პარიზულ წმიდა ბართლომეს ღამეს, ან მიუნხენურ და ბერლინურ გრძელი დაშნების ღამეს უფრო ჰგავდა, ვიდრე რევოლუციას და რევოლუციურ აღტკინებას.

ბევრს ამ საკითხზე აღარ შევჩერდები, ერთს ვიტყვი მხოლოდ - სააკაშვილი დამნაშავეა იმაში, რომ მან ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირისპირა შეიარაღებული მართვადი ბრბო, რომელსაც იურიდიულ ენაზე „სამართალდამცავები“ ეწოდება და უიარაღო უმართავი ბრბო, რომელსაც ქართულ ენაზე „ხალხი“ და „ერი“ ეწოდება. ამ რბევებში ჩართული იყო მთელი საქართველო, მთელი მსოფლიო. მე ვუყურებდი უთანასწორო ბრძოლას ბრბოსი, და ისე ვიყავი ჩართული ამ დანაშაულის მდინარის წყალბრუნვაში, რომ მეც ვიქეცი იმ ბრბოს ნაწილად, რომელსაც ურტყამდნენ ხელკეტებს დაუზოგავად. მე გააფთრებით ვყვიროდი და მიხაროდა, როდესაც უიარაღო უმართავი ბრბო რიყეზე იერიშით გადავიდა შეიარაღებულ მართვად ბრბოზე და არაადამიანური ხმით ვიოკებდი ბოღმას სიხარულისას, როდესაც გამხეცებულმა ბრბომ ალყაში მოაქცია და ხელში ჩაიგდო ვიღაც დამრბევი ომონელი და თავ-პირის დასისხლიანებამდე ცემდა და მანაც ძლივს გაასწრო იქაურობას. ანუ რომ გადმოვთარგმნოთ, მე მიხაროდა და უფრო მეტად, მე მიხაროდა არაადამიანური სიხარულით ქართველი ქართველს რომ დაუზოგავად ურტყამდა მიუხედავად იმისა, რომ დაჩაგრული ამ შემთხვევაში თავდამსხმელი იყო. მე ვგრძნობდი, რომ იმ ომონელს მე ვურტყამდი და მის სახეზე სისხლის თქორი რომ დავინახე, როგორც ლეშით გამძღარი და ამ ლეშის სისხლით წყურვილმოკლული მხეცი, ისე დავწყნარდი.

ამაზე მეტი საშინელება რა უნდა ჩაედინა სააკაშვილს ნეტა???

როდესაც ვიხსენებ ამ სურათებს ისევ და ისევ, ტანში გამაჟრჟოლებს და ისევ მივიწევ გონებით იმ ომონელისკენ.

სადაა ამ დროს დემოკრატია და ზოგადკაცობრიული ღირებულებები!!!

მეც არ დამინდო სააკაშვილმა, ცხრა მთას იქით გადახვეწილი ქართველი.

რომელი სჯობს ცხოვრებაში უკვე ვეღარ გავიგე - გიჟთა შორის ჭკვიანი რომ იყო, თუ ჭკვიანთა შორის გიჟი?

და კიდევ ერთი, ფრიად სამწუხარო რეალობაა ის, რომ ამ ვაკხანალიაში ტოტლებენის მისია შეასრულა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის რომელიღაც მოადგილის თანაშემწე მეთიუ ბრაიზამ. სწორედ მან და მხოლოდ მან თავისი ბოროტი და ცინიკური ღიმილით წაახალისა სააკაშვილშჩინა, თვითონ კი განზე გადგა ყველაფრის პასუხისმგებლობისაგან და ეს შეურაცხადი ხელისუფლება შეუსია ხალხს დემოკრატიის დროშით.

ასევე წააქეზა ერეკლე და მისი მცირერიცხოვანი რაზმი რუსთ ხელმწიფის მაშველთა კორპუსის მეთაურმა ტოტლებენმა აწყურის ციხესთან, რათა ერეკლეს ელაშქრა ასპინძაზე რუსთა არმიის მხარდამხარ. ერეკლე მოატყუა ტოტლებენმა დაპირება-იმედებით, ასევე მოიქცა მეთიუ ბრაიზა (ზუსტი კალკირებული ანალოგიით. მეთიუ ბრაიზასაგან განსხვავებით, ტოტლებენის პარტნიორმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა ასპინძის ბრძოლაში მოკავშირის დახმარების გარეშე, რადგან ერეკლეს წინაშე მტერი იდგა გადამთიელი), მისი დახმარება გამოიხატებოდა წაქეზებასა და საერთაშორისო მხარდაჭერაში, ესაა რომ, მხარდაჭერის ნაცვლად მსოფლიოს განაწყენება გამოიწვია და წაქეზება კი წაქეზებად დარჩა, მითუმეტეს ყალბი და უაზრო სამხილებით ისედაც გადამტერებული რუსეთი მეტად და მეტად გადაიმტერა. რუსეთს თავისი ცოდვები ყოფნის საქართველოს წინაშე, ახლა სააკაშვილის ბეცი პოლიტიკის შედეგებზე განაწყენებული ხალხის რისხვაც რომ არ მივაწეროთ მას.

და ისევ გასაოცარი შეფასება მიხეილ ჯავახიშვილისა: „რუსეთი სალოსების კლასიკური ქვეყანაა. მუდამ უხვად იყვნენ კუზმები, მიტკები, საროველები, კრონშტატელები და რასპუტინები. ეს ღვთის მონები და დავრდომილი ქადაგები ხშირად განაგებდნენ მთავრობასაც კი, და სამივენი, სალოსებიც და ხალხიც მუდამ სასწაულის მოლოდინით სცხოვრობდა. ეხლაც იგივეა: იყო ლენინი და დარჩა სოციალიზმის სასწაული" (უბის წიგნაკებიდან 1927წ. N8).

### 5. ტელეკომპანიათა ცივი ომი

წინა თავებში მქონდა გაკვრით მიმოხილული ტ/კ „იმედის“ როლის შესახებ გლეხის მიერ ვენახის საპროტესტო აჩეხვის გაშუქების საკითხში. ახლა კი მსურს გავაანალიზო საინფორმაციო ომის წარმოება ამ ტელეკომპანიასა და სამთავრობო ტელეკომპანიებს შორის და უმთავრესად ხალხზე გამარჯვებულ ტ/კ „რუსთავი-2“-ს შორის.

უნდა ითქვას, რომ ტელევიზიებზე შეტევა შევარდნაძის ხელისუფლებიდან დაიწყო. თუ „ვარდების“ როქირებამდე თავისი აბსოლუტური სიმწვავით გამოირჩეოდა ტ/კ „რუსთავი2“, ტ/კ „იმედი“ ზომიერ პოლიტიკას ატარებდა და იგი იყო არააგრესიული და არატენდენციური ტელეარხი, განსხვავებით „რევოლუციური“ ტელევიზიისაგან, რომელზეც განხორციელდა აგრესიის ინსპირირება შევარდნაძის ხელისუფლების მხრიდან. მაშინ ეს მაუწყებლობა დახურვას გადაურჩა საპროტესტო მანიფესტაციებით და პარლამენტის თავმჯდომარის ზ. ჟვანიას, შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძის და რიგ ძალოვან სტრუქტურათა მინისტრ-დეპარტამენტთა თავმჯდომარეთა თანამდებობიდან გადაყენება-გადადგომებით, რის შემდეგაც ჟვანიამ თავისი ტახტი დაუთმო ნინო ბურჯანაძეს და ამით შეინარჩუნა კონტროლი პარლამენტზე და მიმდინარე მოვლენებზე. ამით სახელმწიფომ ხელი აიღო ტ/კ „რუსთავი2“-ის დარბევისაგან. ამ ტელევიზიას სრულად აკონტროლებდა მაშინდელი ელიტარული ოპოზიცია ჟვანია-სააკაშვილის მეთაურობით.

შემდეგ სულ მალე დადგა „ვარდების“ როქირების პერიოდი. უნდა ითქვას, რომ აშკარად თვალშისაცემი იყო ტ/კ „რუსთავი2“-ის ტენდენციური დამოკიდებულება მოვლენათა და პიროვნებათა მიმართ. შიგადაშიგ აშკარა აგრესიულობით გამოირჩეოდა ჟურნალისტების გამოსვლები და კომენტარები. ამ ტელევიზიაში არ იყო დაცული დემოკრატიის ერთი თვისება - პლურალიზმი. ამაში პატრონი ასრულებდა გადამწყვეტ როლს და არა ჟურნალისტების ინდივიდუალური ქმედება. მიუხედავად ყველაფრისა, მაშინდელ მთავრობას არ გამოუცხადებია ბოიკოტი ამ არხისათვის და მთავრობის წარმომადგენლები ხშირად სტუმრობდნენ მას. საინფორმაციო ომი კი მაშინ წარმოებდა „რუსთავი2“-სა და „პირველ არხს“ შორის. ტ/კ „იმედი“ მაშინ განზე იდგა, მას არ გამოუხატავს მიკერძოება ამ „ომში“ რომელიმე მხარისადმი. სამაგიეროდ იგი ელოდა თავის დროს. თავისი დროც მალე დაუდგა -

ეს მოხდა მაშინ, როდესაც ხალხზე გამარჯვებული ტელევიზიის მესაკუთრეები მეტეორული სისწრაფით იცვლებოდნენ მანამ, სანამ ობშორული ზონებიდან გათეთრებული, გაპატიოსნებული და გადმოქაჩული სამთავრობო ფულების წყალობით არ გახდა თვით მთავრობა ამ ტელევიზიის სრული ბატონ-პატრონი. მართალია, ტ/კ „რუსთავი2“ ყოველთვის იყო ტენდენციური და აგრესიული მოწინააღმდეგეთა მიმართ, მაგრამ მას ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდა თავის კონკურენტებთან მანამ, სანამ ქვეყანაში არ შეიქმნა აუტანელი პირობები და არ გამძინვარდა ტერორი, სანამ თბილისის ქუჩებში ყოველდღიურად არ კლავდნენ ახალგაზრდები ერთმანეთს, ან პოლიციელები ახალგაზრდებს... და ა.შ. და ამ უმსგავსო ვითარებაზე სანამ არ აღიმაღლა ხმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ და მასთან ერთად ტელეკომპანიებმა და განსაკუთრებული სიმწვავით ტ/კ „იმედმა“.

მიუხედავად იმისა, რომ ტ/კ „რუსთავი2“ მიკერძოებული არხი იყო და ყოველთვის ერთგულებდა თავის პატრონს, იგი საშიშ მოვლენად გადაიქცა იმის შემდეგ, რაც მისი პატრონები გააგრესიულდნენ. ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებს „რუსთავის2“-ს, საპასუხოდ ხელისუფლება ბოიკოტს უცხადებს „იმედს“. ამ ნაბიჯით ტელევიზიებში დამკვიდრდა ტენდენციური მიმართულებები. ოპოზიციამ ბოიკოტი მალე დათმო, თუმცაღა იგი მთავრობის ტელევიზიას მაინც არ ენდობოდა, სამაგიეროდ მთავრობა იყო შეუვალი და ბოიკოტი „იმედის“ მიმართ არ მოხსნა და თავის ღვარძლიან დამოკიდებულებას არ მალავდა. ტ/კ „იმედმაც“ აითვისა ტენდენციურობის პრინციპი, რითაც საბოლოო ჯამში რეპუტაცია შეულახა თვით ტელევიზიას. ეს არ წაადგა არც მთავრობას, რადგან მთელი ოპოზიციური სპექტრი ამ არხს იყენებდა თავისი მიზნებისათვის.

მიზანმა გაამართლა საშუალება, - დაიწყო ტელეკომპანიების ჟურნალისტების ერთი არხიდან მეორეზე გადასვლა პოლიტიკური მოსაზრებებით. ერთ-ერთი ასეთი სკანდალი იყო ტ/კ „რუსთავი2“-ის დატოვება ტელეჟურნალისტ ეკა ხოფერიას მიერ. რამდენიმე ხანი იგი უმუშევარი იყო, სანამ „იმედმა“ ისევ პოლიტიკური მოსაზრებით არ შეიფარა დევნილი ჟურნალისტი.

ამ ომმა პიკს მიაღწია ირაკლი ოქრუაშვილის შოკისმომგვრელი გამოსვლის შემდეგ. მთავრობამ ყველა და ყველაფერი ერთმანეთს დაუკავშირა, - ხუმრობით რომ გავრითმოთ ასეა ეს - дедка за девку, девка за дедку. ეს მაშინ, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილი 1924 წლის N1 უბის წიგნაკში წერდა:

„პოლიტიკა და პარტიობა ქალისთვის? პოლიტლოზუნგებს და პარტიულ ბილეთს ქალი ჰკარგავს პირველივე ღამეს, ოდეს... იგემებს“. ხოლო 1935 წლის N10 უბის წიგნაკში აღნიშნავს ანალოგიურს, ოღონდ სხვა რაკურსით - „ქალ-ვაჟის გათანასწორებისათვის საჭიროა, რომ ვაჟი გაქალაჩუნდეს, ხოლო ქალი გავაჟდეს. ერთიც წააგებს და მეორეც“.

ერთის სიტყვით, ყოველმხრივ აირია მონასტერი. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან ქალებიც. აღარ დარჩა ხელშეუხებელი რაიმე სათუთი და წმიდა. ცხოვრება საინტერესო გახდა. პროტესტმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ტელეკომპანიები აშუქებდნენ მხოლოდ მას, რაც პატრონს ამებდა, პატრონები კი განზე იდგნენ. მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა წყობიდან გამოეყვანა ტ/კ „იმედის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ბადრი პატარკაციშვილი. იგი გადააყენეს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თანამდებობიდან, თვითონ განერიდა ბიზნესმენთა ფედერაციას. არ წყდებოდა დამატებითი პროვოკაციები მის მიმართ, რათა იგი თავით ფეხებამდე გადაშვებულიყო პოლიტიკის მორევსა და ორომტრიალში. გამოწვევა აქაც მიღებული იქნა და საჯაროდ განაცხადა პატარკაციშვილმა, რომ ღიად დავაფინანსებ ოპოზიციურ პარტიებსო. ამავე დროს მან თავისი წილი ტელეკომპანიისა სამართავად გადასცა ამერიკულ კორპორაცია „ნიუს კორპორეიშენს“.

საქართველოში გამეფებულიყო „ორი ტიპი: პირველი: გიჟური აქტივობა აქტივობისთვის და - მეორე - ბრძენი - უხალისო, დასევდილი, დაშინებული და უქმი. რომელი სჯობია?“ (მ. ჯავახიშვილი უბის წიგნაკებიდან 1926წ. N6).

### 6. პატრონი

როგორც საყოველთაოდ ცნობილია ტ/კ „იმედის“ პატრონი, ამ სიტყვის კეთილშობილური და ფართო მნიშვნელობით, ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილია.

რა შემიძლია მის პიროვნების შესახებ ვთქვა...

არსებითად არაფერი, რადგან მისი პორტრეტის სრულმომცველობით წარმოჩენისათვის, საჭიროა საფუძვლიანად ვიცოდე მისი ცხოვრების შესახებ, ან ვიცნობდე პირადად. მისი ცხოვრება ბუნდოვანი წარსულითაა მოცული. ჩემთვის უცნობია როგორ მიაღწია მან მილიონერის კომფორტულ მდგომარეობამდე. დასაყრდნობად არ გამომადგება რუსული აზრი მასზე, რადგან იგი ტენდენციურია ორი მიზეზის გამო - ერთია შური, მეორე - შურისგან გამომდინარე მოძიებული კომპრომატები (თუ ცრუკომპრომატები, ამის სამტკიცებლად მე ხელი არ მიმიწვდება). ამბობენ, რომ იგი არის მაფიოზი, იმასაც ამბობენ, რომ რუსულ პოლიტიკას თავის გემოზე ატრიალებდაო. არც მისი ებრაული წარმომავლობა დავიწყნიათ რუს ანტისემიტებს. ის და მისი მეგობარი ბორის ბერეზოვსკი ტელემაგნატები არიან და წლების გამნავლობაში OPT-ს ფლობდნენო. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ უნიჭიერესი ჟურნალისტი ვლადისლავ ლისტეევი მათი ხელდასმით იქნა მოკლულიო. რუსეთში კარგი დღე არ დაუდგა არც პატარკაციშვილს და არც ბერეზოვსკის. იყო რუსული სასამართლოებიც, სადაც პირწმინდად გაიმარჯვა ტ/კ „იმედის“ პატრონმა. შემდეგ იყო რუსეთის გენერალური პროკურატურა დაინტერესდა OPT-ს საქმიანობით და... ბერეზოვსკიმ ინგლისს შეაფარა თავი, პატარკაციშვილი კი შევარდნაძემ მიიღო დიდი სიხარულით.

არავინ იცის სიმართლე, ვგონებ არც რუსეთის გენპროკურატურამ.

ამის შემდეგ უკვე პატარკაციშვილი იწყებს საქველმოქმედო საქმიანობასა და ქონების შესყიდვა-დაბანდებას. აქამდე მის სახელს ჩრდილი არ მისდგომია. იმასაც ამბობენ, რომ „ვარდების“ როქირება მისი დაფინანსებულია. იგი საქართველოში არასოდეს შეხვედრია საეჭვო რეპუტაციის ხალხს, სულ ინტელიგენციასთან და ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან ურთიერთობდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ რომელიღაც უმაღლესი საეკლესიო ჯილდოც კი გადასცა გაწეული მოღვაწეობის აღსანიშნავად. მან შეისყიდა თბილისის ცირკი, რიტუალების სასახლე, მისი თაოსნობით საფუძვლიანი რესტავრაცია ჩატარდა ფუნიკულიორზე (უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ხელისუფლებამ საშვიდნოემბრო „დემონსტრაციის“ მსვლელობისას ჩამოართვა და დაუწუნა სამუშაოები. ამას ჰქვია სწორედ - „დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო“), ეხმარებოდა სპორტსმენებს და აირჩიეს ამიტომ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად, საიდანაც სკანდალურად და საეჭვო ვითარებაში გადააყენეს ასევე საშვიდნოემბრო „დემონსტრაციამდე“ რამდენიმე კვირით თუ დღით ადრე (ესეც უმადურობა ქართველების). ერთის სიტყვით, ბადრი პატარკაციშვილს აქვს გაწეული ამაგი თავისი თანამემამულეებისათვის (მართალია, წარმოშობით ებრაელია, მაგრამ იგი თავს სრულუფლებიან ქართველად თვლის და მის მოვალეობაში შედის ზრუნვა საკუთარი ერისათვის, რასაც იგი პირნათლად ასრულებდა აქამომდე). მას ბევრი პროექტი დარჩა განუხორციელებელი, რაშიც საშვიდნოემბრო „დემონსტრაციებმა“ შეუშალეს ხელი. ამას ჰქვია მეორენაირად - „ბრძენისა ბეწვიც გეტკინოს, ვირისა წიხლიც არაო“.

კიდევ ვიმეორებ, ეს არ არის ბადრი პატარკაციშვილის სრულყოფილი პორტრეტი, ეს მხოლოდ შტრიხებია, რაზეც ჩემს ვარაუდს მოგაწვდით ფენომენზე, რასაც ჰქვია ბიზნესმენი და კომერსანტი. ეს ვარაუდი თავისუფლად მიუდგება ნებისმიერ ბიზნესმენსა და კომერსანტს, ნებისმიერ რანგისას. ერთსაც დავამატებდი და ვიტყოდი, რომ მას აწონილ-დაწონილი საუბრის მანერა აქვს. როგორც დავაკვირდი, მან იცის რა თქვას, სად თქვას, როგორ თქვას, რატომ თქვას და რას გამოელის თუნდაც საუბრიდან. იგი ან დახვეწილი არამზადაა, ან კიდევ შეუდარებელი დიპლომატი, რაღაც მომენტში რომ ერთსა და იგივეს ნიშნავს ეს სიტყვები, სხვაგრივ იგი ვერ ააშენებდა თავის ფინანსურ იმპერიას.

დღეს ბევრს საუბრობენ, ბიზნესმენები ნულიდან იწყებენ იმპერიის შენებასო. მართალია, ნულიდან იწყება საერთოდ ყველაფრის შენება, მათ შორის და მითუმეტეს ფინანსური იმპერიებისა. მაგრამ იწყება და არა იწყებენ, ანუ ვიღაც საფუძველს ჩაუყრის, ჩამოიცილებს კომპანიონს ან ჩამოაცილებენ. დროთა განმავლობაში იწყობა და იწყობა მაგიდა, მერე მაგიდები. თანდათანობით, როგორც ეს ცხოვრებაში ხდება, ამ მაგიდებს ცილდება (ან ნებით, ან ძალით) მისი პირველშემქმნელები. პირველშემქმნელებს, წესიერად რომ იწყებდნენ კომერციას, ადგილი არა აქვთ მათ მიერ შექმნილ სივრცეში. ვერც თვითონ უძლებენ ხანგრძლივ ბრძოლას.

აი, გამარჯვებული ყოველთვის ისაა, ვინც ჭკუით მოქმედებს და ყველაზე ბოლოს გაერევა მარაქაში, ან მაშინ, როცა გაყოფის ომში გამარჯვებულს იოლად დაამარცხებ, რათა არ იყოს გაყოფილი წილი და ყველაფრის ბატონ-პატრონი შენ იყო.

ამ ბრძოლების ნათელი მაგალითია მთლიანად ალ-კაპონეს ცხოვრება. გამარჯვებული ყველაფერში, ჩამოწერეს და სიკვდილს იმით გადაურჩა, რომ დააპატიმრეს. ვის დარჩა ალ-კაპონეს ავლა-დიდება, რისთვისაც იგი ესოდენ გაისარჯა და ათასეული სისხლის გუბე დააყენა ჩიკაგოსა და მთელს ამერიკაში? ევროპასაც გადაწვდა და თუ არ ვცდები აფრიკასაც.

ვის დარჩა მისი ქონება?

ვისაც დარჩა, დღეს იგი მილიარდერი იქნება და ამქვეყნიური ყველანაირი კომფორტით სარგებლობს, ჩვეულებრივ ადამიანს სიზმარშიც რომ არ დაესიზმრება. ასე ჩაიგდეს ხელში საბოლოო ჯამში ევროპის სიმდიდრე როკფელერებმა და როტშილდებმა.

იმისი მტკიცება, რომ წარმატებული ბიზნესმენი ყველაფერს თვითონ იწყებს, თვითონ ქმნის და მოგებასაც თვითონვე იღებს, თვალში ნაცრის შეყრაა იმათთვის, ვინც ახლა იწყებს თავის საქმიანობას.

ერთი ბიდონი ბენზინით ვერანაირად ვერ გამდიდრდებოდა და მილიონებს ვერ დააგროვებდა ბონდო შალიკიანი, მას აუცილებლად ჰყავდა თავდაპირველად პატრონი. უპატრონოდ იმ ერთი ბიდონი ბენზინის ფულსაც დაკარგავ. პატრონი გიყურებს, გითვალთვალებს. რაც უფრო ღრმად შედიხარ და თამაშის წესებს ხვეწავ, იმ პატრონისთვისაც საშიში ხდები. მაშინ გამოსვლა თამაშიდან არსებობს სიკვდილით, უკან სხვა გამოსავალი არ არსებობს. ასე რომ, ტყუილია ყველაფერი ის, რომ ამბობენ ყველაფერი ნულიდან დაიწყო ამა და ამ კაცმაო. ყველაფერი ნულიდან დაიწყო ზოგადად. იმპერია იმისთვის ჰქვია გავლენის სფეროებს, რომ მასში ერთ კაცს არ მიუღია მონაწილეობა. ის ადამიანთა გამრუდებულ სიცოცხლეებზეა აგებული.

ერთი მაგალითიც - ბიზნესმენი იყენებს სხვის შრომას, სხვისი შრომით შექმნილ პროდუქტს, ყიდულობს იაფად, საჭიროების შემთხვევაში ყიდის ძვირად. შედეგად გროვდება კაპიტალი. ვან გოგმა თავის სიცოცხლეში ერთი ნახატი გაყიდა გროშებად, ახლა მის ნამუშევრებზე რამდენიმე ასეული მილიონი კეთდება. აი, პროდუქტი ეპოქის და შენ ამბობ, რომ გაზეთებს არ ვკითხულობ. „არ ვკითხულობ“ კი არა, იმდენი უნდა იკითხო, რომ სხვა საქმე არ გქონდეს, რათა ეპოქის მაჯისცემას აჰყვე და თვალი გაუსწორო მის ინტეგრალურ სიჩქარეს.

სიტყვამ მოიტანა გაზეთების კითხვა - საქართველოს პატრონმა (ამ კონტესტში ირონიულ დამოკიდებულებას ვანიჭებ ამ სიტყვას) ერთ-ერთ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ იგი თურმე გაზეთებს არ კითხულობს. ნება მისია, ღმერთმა ხელი მოუმართოს. ერთ რამეში მართალია სააკაშვილი - ყველა გაზეთი მართლაც არ წაიკითხება, იმდენად მდორე და უშინაარსოა, რადგან არსებობენ ავტორები, რომელთა წაკითხვა შეუძლებელია. სამაგიეროდ, ჰემინგუეიც ჟურნალისტი იყო. აბა, ჰემინგუეის და მისი დონის ჟურნალისტს რომ არ წაიკითხავ, წიგნიერი კაცი გქვია შენ? რაც არ უნდა დაეწერა, როგორი მწვავე, თუნდაც ტენდენციური, ფრანსისკო ფრანკო ყოველთვის ყურადღებით კითხულობდა ჰემინგუეის.

გაზეთს თუ არ წაიკითხავ და წიგნს, წიგნიერი კაცი გქვია მაშინ შენ?

იგი მართლაც არ კითხულობს გაზეთებსა და წიგნებს, თორემ თავს არ გამოიჩენდა ასე უინტელექტოდ, იგი აწონ-დაწონიდა თავის განცხადებებს... და არ გვექნებოდა ქვეყანაში პრეცედენტი „ჩარეცხილობის“, „ქიბროწაშვილობისა“ და „მარკოზაშვილობის“.

ეს სრული უვიცობის ბრალია! უვიცობის და სიგიჟის...

თორემ მე გეტყვი შენ, სააკაშვილო, რა გზაც არსებობს და რა გზას დაადგა თავის დროზე ერეკლე და რა გზას დაადექი შენ. არსებობს გზა ტოტლებენისა და არსებობს გზა სოლომონ ლიონიძისა. ერეკლემაც და შენც ერის სამწუხაროდ ტოტლებენის გზა აირჩიეთ, ტოტლებენისა, ვისმა ჯარმაც ბაგრატის ტაძარი დაანგრია, შენ კიდევ ფერიის მთაზე აგებული ეკლესია.

უთუოდ უნდა ვთქვა, რომ შენ მართლაც არ კითხულობ გაზეთებს, აი, შენი ქვეშევრდომები კი კითხულობენ და ზედმიწევნითაც, და იციან რასაც წერენ შიგ და შენ მოკლე შინაარსს გიყვებიან. ამიტომ აცხადებენ ისინიც და შენც, რომ გაზეთებს არ კითხულობთ. ვითომ ამით ჟურნალისტები გამოაჯავრე? ისევ და ისევ შენ თავს მიაყენე ზიანი. მე არ გამოგეკიდები გაზეთებით ხელში და არ ჩაგჩრი იღლიაში, წაიკითხე ჩემი გაზეთიო. თუ არ წაიკითხავ, უწიგნური დარჩები, როგორიც ხარ. შენმა მინისტრებმა კი ზოგადი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად გაზეთებში დაბეჭდილი კროსვორდები და თავსატეხები ამოხსნან, უფრო კარგად რომ გაუტეხონ ხალხს თავი.

### 7. წვრილმანი დეტალები და პირველი სერიის დასასრული

ახლა მოკლედ იმ მოვლენათა შესახებ, რომლებმაც, ასე თუ ისე, ამა თუ იმ დოზით ზეგავლენა იქონიეს მოვლენათა ესკალაციაზე.

პირველი და მთავარი მოვლენა იყო ზუგდიდის ინციდენტი. ოპოზიციამ შეაფასა როგორც გენერალური რეპეტიცია ორი ნოემბრისათვის. მან არ იცოდა, რა ზუსტი და უტყუარი, შეუმცდარი და წინასწარმეტყველური შეფასება მისცა ამ ინციდენტს. გაიძახოდნენ ეს სცემეს, ის სცემეს, მერე დააყოლეს - პარლამენტარი სცემესო. მე თუ მკითხავთ, ყველა პარლამენტარი გასალახავი და საცემია ქართველი ერისაგან ბურჯანაძიდან დაწყებული ბოლო ხმოსანამდე. უკლებლივ ყველა, ისეთ დღეში ჩააყენეს საკუთარი ერი და თვითონ კი პოზიციან-ოპოზიციანად ყველას საუკეთესოდ აქვთ აწყობილი თავთავიანთი ცხოვრება.

ისე, სირცხვილი სამეგრელოს... მის ახალგაზრდობას...

ასე ხვდებიან სტუმარს საქართველოში??? თუნდაც თვალში რომ უსიამოდ გეჩრება, იმას?

ერთ-ერთ ქადაგებაში კათოლიკოს-პატრიარქმა წამოაყენა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ საქართველოში დამყარებულიყო კონსტიტუციური მონარქია, მან თქვა: „მეფე მეფობს და არ მართავსო“. ოპოზიციამ აიტაცა ეს იდეა და ამის შემდეგ გეზი უცვალეს თავიანთ იდეოლოგიურ მოთხოვნას - „საქართველო პრეზიდენტის გარეშეო“ (ამ საკითხებს შევეხები სტატიის ერთ-ერთ მომდევნო ნაწილში).

ისევ გამოჩნდა საორნოემბრო ბატალიებს იძულებით გარიდებული, ფაქტიურად ქვეყნიდან გაძევებული ბრალდებული ირაკლი ოქრუაშვილი, ისევ ბოდიშებით და ისევ ახალ-ახალი ბრალდებებით ხელისუფლების მიმართ. ეს მაგონებს ვიქტორ ცოის ექსპრესიული ჟინით ნამღერს - „მზევ ჩემო, დამიცავ, სხივები მაწოვე. ჩემი ხელისგული მუშტად გადაიქცა და დენთი თუკია, ცეცხლი მომაწოდეთ... აი, ასე!!!“ (Солнце мое, взгляни на меня, моя ладонь превратилась в кулак и если есть порох, дай и огня! Вот так!!!). მეორე დღეს საქართველოს ქარაფშუტა გენპროკურატურამ ისევ მოჩმახა და გამოაცხო საუცბათოდ ოქრუაშვილის სატელეფონო საუბრები. ეს დაწესებულება ისე შორს წავიდა თავის ფანტაზიებში, რომ ადამიანი მართლაც აღარ დაუჯერებს მას. ასეთივე მეთოდით იქნენ ბრალდებულად ცნობილნი საშვიდნოემბრო „პარად-დემონსტრაციის“ დღეს ცოტნე გამსახურდია და შალვა ნათელაშვილი. პროკურატურის უაზრობაში გაეხვიენ კონსტანტინე გამსახურდია, გოგა ხაინდრავა და ლევან ბერძენიშვილი. სამაგიეროდ ზვიად გამსახურდიას სამარცხვინო შვილმა გიორგი გამსახურდიამ გოგა ბოკერიას წინაშე დაგმო თავისი ძმების „საქმიანობა და საქციელი“.

იყო აგრეთვე გროტესკისა და ირონიის დუელი - გაბადრული ოპოზიციისა და კირკიტკატურების, რომელზეც ყურადღების გამახვილება არ ღირს, შეიძლება უბრალოდ მეც ვცადო სიურრეალიზმის ფუნჯით ავსახო ორთავენი ერთ სურათში - „გაბადრული მებადური ბადეს ისვრის ბადრ მთვარიდან (ან ბადრ მთვარისკენ)“. ეს ხუმრობით.

„გრძელი ხელკეტების ღამეს“ დაარბიეს ტ/კ „იმედი“ და შეწყვიტეს მისი და ტ/კ „კავკასიის“ მაუწყებლობანი. ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რასაც ბუკვალური მნიშვნელობით, შინაარსითა და პრაქტიკული განხორციელებით **განუკითხაობას** ნიშნავს, - აიკრძალა საინფორმაციო გადაცემები ყველა ქართულ არხზე გარდა „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“, გაზეთებს აეკრძალათ პოლიტიკური მასალების ბეჭდვა, აიკრძალა დემონსტრაციები და მანიფესტაციები მთელს ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, საშვიდნოემბრო „პარად-დემონსტრაციის“ მეორესავე დღეს ბათუმში (სადაც უმოწყალოდ დაარბიეს), ქუთაისსა და გორში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები. ნაშვიდნოემბრევს არავინ იცოდა კობა დავითაშვილის ბედი. მოკლული ეგონათ. დღის მეორე ნახევარში რუსეთის ტელეარხებმა მას გორის სამხედრო ჰოსპიტალში მიაგნეს.

ბრბო მსხვერპლს ეძებდა, წყუროდათ მსხვერპლი, რათა ახალი ძალით ექუხა რევოლუციურ ტალღას. სახელმწიფომ თავისი მთავრობის უსუსურობისა და უმწიფარობის შედეგად მიიღო მცოცავი რევოლუცია, რომლის მომდევნო განვითარება დროებით შეაჩერა სააკაშვილის უცნაურმა განცხადებამ - საპრეზიდენტო არჩევნების 2008 წლის 5 იანვარს გადმოტანით და საპარლამენტო არჩევნების შესახებ პლებისციტის ჩატარებით. ამ ფონზე 15 დღით გაგრძელდა საგანგებო მდგომარეობა. სააკაშვილს ყველა იდეოლოგიური ბერკეტი გააჩნია, რათა შეუფერხებლად აწარმოოს საარჩევნო კომპანია მაშინ, როცა ოპოზიცია ამ სიამოვნებას მოკლებულია. დახურულია ტ/კ „იმედი“ და „კავკასია“, ოპოზიციის მთავარი რუპორი. ზემოთ მქონდა მცირე იუმორესკა „კომბლეს“ ვარიაციებზე - „ბადრი ის კაცია, ფულებს თლის, ბანკში აწყობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხებსო“... ვამთავრებდი ამ იუმორესკას, ახლა გავაგრძელებ, -

მთავრობამ უთხრა - „არ მეშინია შენი ბადრისიო“, - და შეჭამა ტ/კ „იმედი“. ამის იქით რა მოხდება, არავინ იცის. ერთი კი ცხადია, ოპოზიცია დარჩა მკლავებმოჭრილი. როგორც მინიმუმ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში მათთვის არ გაიხსნება საინფორმაციო საშუალებები. საარჩევნო დრო ძალიან მცირეა და მთავრობა იმედოვნებს, რომ ოპოზიციაში შეიტანს განხეთქილებას ამით (პრეზიდენტს თხოვდნენ საპარლამენტო არჩევნების გადმოტანას და არა საპრეზიდენტოსას. ეს ვერაგი გეგმაა ხელისუფლებაში კვლავ დარჩენისა. ერთის მხრივ თავს გაიმართლებს, გინდოდათ და მიიღეთო, მაგრამ ისეთ დროს და იმისი, რაც თეორიულად დაუძლეველია უფხო ოპოზიციისთვის. ვინც აფინანსებს მათ, იმას გენპროკურატურა დასაჭერად დასდევს). ერთის მხრივ საგანგებო მდგომარეობა, მეორეს მხრივ თვით პრეზიდენტობის კანდიდატი, მესამეს მხრივ დროის კატასტროფული სიმცირე გამოუვალს ხდის ოპოზიციის გამარჯვებას. ეს იგივე ისაა, მიხეილ ჯავახიშვილი რომ წერდა თავის უბის წიგნაკში: „დეკადანსი იქ არის, სადაც მთელი ქუცმაცდება და ქუცმაცი - ნაწილი მთლიანობს. ასეა ლიტერატურაშიც, ისტორიაშიც. დამარცხებული, დავრდომილი ერი იშლება, იწყება პროვინციალიზმი და თვითმმართველობა. მწერლობაშიც იგივეა. ფრაზა, სიტყვა, სტრიქონი, ფიგურა, ერთი თავი მთლიანობის მაგივრობას ეწევა. ამ მოვლენას თანაბარი ძალა აქვს ბიოლოგიაშიც, შემოქმედებაშიც. ქართულ ლიტერატურაში ასეთი დეკადანსის ნიშნები ცხადად მოიპოვება. მთლიანობა - აი, პროგრამა“ (1927წ. N8).

ოპოზიცია გაჰყვირის ხალხმა გაიმარჯვაო. ხალხი ამჯერადაც დამარცხდა. გაიმარჯვა მთავრობისტებმაც და ოპოზიციამაც ერთობლივად, რადგან რევოლუციური აღტკინება ხალხისა კვლავ ჩაახშვეს, ჯერ-ჯერობით მაინც. რა მოხდება სახუთიანვროდ, ვნახოთ. ამით პირველი სერია დასრულდა...

„თქვენ იყუჩეთ, დარდებო, მკერდში დასწვით ღადარი, ეს ჯერ ზღაპრისთავია, ჯერ წინაა ზღაპარი“ (Ты уймись, уймись, тоска у меня в груди, ето только присказка, сказка - впереди)

**მანუჩარ კაჭახიძე,**
**2-7 ნოემბერი, 2007**

გაგრძელება შემდეგ ნომერში:

სონატური















კლასიკა

# მე რეზინის ხელკეტი!



**აზიზ ნესინი (ნამდვილი სახელი - მაჰმუდ ნუსრეთი)** - ცნობილი თურქი მწერალი, სატირიკოსი, იუმორისტი, დრამატურგი. თარგმანი შესრულებულია აზიზ ნესინის რჩეული ნაწარმოებებიდან, რომელიც გამოიცა საბჭოთა კავშირში 1974 წელს რუსულ ენაზე. ქართულად მისი დაბეჭდვა იმ რეჟიმის დროს შეუძლებელი იყო.

მე ვარ რეზინის ხელკეტი! წარმოშობით - ამერიკიდან. ამერიკიდან ჩემამდე ჩამობრძანდა დემოკრატია, შემდეგ - „ჯიპი“, შემდეგ ჩამოვედი მე - რეზინის ხელკეტი. ჩვენ, „ჯიპი“ და მე - ერთდროულად ვმოძრაობთ იმ გზით, რომელსაც გვიკვალავს შემოსული დემოკრატია.

მე - რეზინის ხელკეტმა, შემოვაღწიე თქვენთან ამერიკულ დახმარებასთან ერთად, ამერიკული გულუხვობის წიაღიდან. ახალ ადგილზე მე დიდხანს არ მივჩანჩალებ ბოლოში. მე მალე ვხდები სანდო ქვეშევრდომი და ვიწყებ მბრძანებლობას. შეფერხებები იყო ყველგან და ყოველთვის. შეფერხებები შეიძლება იყოს პურის, სურსათის, ბენზინის, საავტომობილო საბურავების, „ელექტრული დენის“ და სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაში. მე კი ყოველთვის ადგილზე ვარ. ჩემ გამო არ არის შეფერხებები, მე ყოველთვის საკმარისი სიჭარბით ვარ. ჩემს გამოჩენამდე შოლტავდნენ სპილოს ძარღვებით. შემდეგ კი სპილოს ძარღვების გამოყენება აიკრძალა.

მე - რეზინის ხელკეტი! შესახედავად შავი ვარ, ყარაჩასავით, თანაც - მოქნილი. გეშინოდეთ ჩემი მოქნილობის. ჩემამდე ხელისუფლება იყენებდა თხილის, იფნის, მუხის და შინდის სახრეებს. ისინიც კი იმსჭვალებოდნენ თავიანთ მსხვერპლთა მიმართ თანაგრძნობით: იმტვრეოდნენ. მე კი არასოდეს ვტყდები. გამოცდილი პოლიტიკოსის მსგავსად, მე ვარ შავი და რბილი. მე ვიღუნები, ვიგრიხები, მაგრამ არასოდეს ვტყდები.

მე - რეზინის ხელკეტი! მათ, ვინც არ იცნობს თავისთავს, მივანიჭებ სიამოვნებას, გავაცნო ჩემი და შევაცნობინო საკუთარი თავი. მე ვამშვენებ პოლიციელის ხელს. მე მის ქამარზე ვქანაობ. როცა საჩემო საქმე არ არის, შავი, ამაზრზენი გველივით ჩამოკიდებული ვარ კარსუკან მიკრულ ლურსმანზე.

მე - რეზინის ხელკეტი! ეს მე ვარ, მეოცე საუკუნის სასწაულებრივი აღმოჩენა. ლაპარაკობენ რაღაც ატომზე, წყალბადის ბომბზე, მაგრამ ჩემთან შედარებით ისინი არარაობას წარმოადგენენ. მე შემართული ვარ დამოკლეს მახვილივით. ჩემს ჩრდილში ძილ-ღვიძილში განისვენებს თავისუფლება.

მე - რეზინის ხელკეტი! როცა ვურტყამ, გაისმის ხმა, ხმა - განუმეორებელი. მე ვიწვევ აუწერელ მწუხარებას ყველა ადამიანში, ყველა ხალხში. ჩემ წინაშე მუნჯიც ალაპარაკდება, ყვავი თუთიყუშად გადაიქცევა, ენაბლუ ბულბულივით აჭიკჭიკდება. გამომძიებლამდე მე ვაწარმოებ დაკითხვას. ჩემ წინაშე თქვენც დაიგრიხებით, როგორც გაწვრთნილი მაიმუნი. მე გიბრძანებთ ალაპარაკებას და თქვენ ალაპარაკდებით, გიბრძანებთ გაჩუმებას - თქვენ ენას მუცელში ჩაიგდებთ, კბილებს დააჭერთ. თუ შესთხოვთ მუდარით ღმერთს, ალაჰს, მე ვერ გავიგონებ თქვენს მწუხარე კვნესას. მე მაქვს სხეული, მაგრამ არ მაქვს არც ყურები, არც - თვალები და არც - გული.

მე - რეზინის ხელკეტი! დავერევი მათ, ვისაც ერთად შეყრა სურს. ეს - მე ვაყენებ თავისუფლებას ყალყზე, ეს - მე ვიცავ დემოკრატიას და არა - პრეზიდენტი.

ეჰეი, ხალხო! მე ვარ რეზინის ხელკეტი. ეს არის ჩემი ბოლო სიტყვა... მტკიცედ იცოდეთ და გახსოვდეთ: თუ მე დღეს დავუშინე თქვენს მეზობელს ზურგში და თქვენ ვერ იგრძენით ტკივილი, ხვალ თქვენი რიგიც დადგება! როცა მე დღეს ვინმეს ვშოლტავ და თქვენ წამოიძახებთ, - „ის დაიღუპა!“ - იცოდეთ: ხვალ თქვენ შესახებაც იტყვიან: - „ისინი დაიხოცნენო!“ ისინი, ვინც დღეს უზრუნველად მხიარულობს, ხვალ მოიპოვებენ პრივილეგიას, იყვნენ ნაცემნი, გაშოლტილნი, ნაწამებნი ჩემ მიერ. მე შემიძლია ტვინის გასწორება. დაბადებიდან ასეთი ვარ მე - რეზინის ხელკეტი.







# უპასუხო კითხვებით სავსე ქვეყანა



### ეპოქის მოთხოვნები

უბე-ჯიბეში გიწყვია,
ევროპიული აზრები,
უმ-უმი, უცოხნ-უღეჭი,
მაღალი სორტის ფრაზები.

**ვაჟა-ფშაველა**

ეპოქამ რომ თანდათან შეცვალა სამყარო, მისი მსოფლმხედველობა და მენტალიტეტი და დაუმორჩილა იგი ახალი საუკუნის სიოს, უკვე მე-20 საუკუნეს პლიუს 6 წელი არავისთვის არ არის უცხო და გასაკვირი. იცვლება აუცილებელი თამაშის წესები, იცვლება დიპლომატიის კანონზომიერებები და სხვა მრავალი ატრიბუტიკა საერთო მსოფლიო ინტეგრაციის პროცესებთან მიმართებაში. იქამდე, ომებიც სრულიად განსხვავებული გახდა (მხედველობაში მაქვს ომთა წარმოების ტექნოლოგია).

მასების დარწმუნების ხელოვნება ახალ სიმაღლეზე ავიდა. აღარ არის საჭირო სოფლის საბჭოს შესასვლელ კარზე აბრის გაკვრა - „ვსე უშლი ნა ფრონტ!“ - იმ ქვეტექსტის აზრით, რომ ვინც ამას წაიკითხავს, რით არის ამ სოფლის საბჭოში მომუშავეზე რაიმეთი ნაკლები. ეს ერთგვარი პიარი, რომელიც სინდისის ქენჯნაზე თამაშობდა, დღეს აღარ ჭრის. და არ გაჭრის იმიტომ, რომ შეგონებებზე აღარაა დაყრდნობილი იგი, რომ შედეგი უმალვე მიიღოს. არა, მისი მიზანი სხვაა - იდიოტური აზრი წარმატებულად რომ მიაწოდო მასას, აუცილებელია მისი წარამარა, გამუდმებით, ამ კონტექსტით თუ იმ კონტექსტით, მაგრამ აუცილებლად მხოლოდ იდიოტური აზრის ჩატენვა ამ მასების თავში.

ვიღაც პირველად გაიცინებს,
მეორედ სიცილს მოუკლებს,
მესამედ აღარ გაიცინებს,
მეოთხედ გაბრაზდება (რა სისულელეებს ვისმენ),
მეხუთედ აფეთქდება და განზე გადგება,
მეექვსედ ალმაცერად შეხედავს,
მეშვიდედ აღარაფერს იტყვის,
მერვედ ფეხებზე დაიკიდებს და აი, აქ რეკლამა თავის საქმეს გააკეთებს.

და მერე უკვე ვიღაცამ რომ თქვას - „ვსე უშლი ნა ფრონტო!“ - ამისი ნათქვამი კი არა, ის პიარ-კამპანიის უაზროდ-შემეცნებული გაახსენდება (ყოველ საღამოს გამოტვინებული რომ ჰქონდა თავი), როგორც მშობლიური მოწოდება და იმათ გაასწრებს იდიოტობათა ქმედებაში, ვინც თქვა - „ვსე უშლი ნა ფრონტო!“... ამ საქმეში ჩართულია ტექნიკის უკანასკნელ გამოგონებათა მთელი არსენალი. შესაბამისად რეაგირებს საზოგადოებრივი აზრიც. სწორედ საზოგადოებრივი აზრი და არა ძალა - წარმოადგენს მსოფლიო პროგრესისა და დემოკრატიის ლოზუნგ-აღვირებს.

ეკონომიკაც თავისებურ ბალანსს ჰქმნის მსოფლიო კომფორტის შესაქმნელად. არავითარი აგრესია: არ გინდა?! - შიმშილით მოკვდები. გინდა?! - აქა ვარ და გაჭმევ, ყველაფერს მოგცემ ღიმილითა და კეთილი თოვლის ბაბუის იმიჯით. ეს ნებაყოფლობით იქნება და არა იძულებით მასების დათრგუნვა და შეგუება მსოფლიო ახალ წესრიგთან და ცივილიზებულ სამყაროსთან.

არის ურჩხული, მაგრამ არა მრავალთავიანი, როგორც ეს ხალხურ ზღაპრებშია დახატული, მაგრამ იგი უთავო ურჩხულია და მას [illegible] კი არა აქვს და პირიქით ცეცხლს კი არ აფრქვევს, იგი თვალებით და ყურებითაა სავსე და [illegible] კი არ არის და ადამიანებს კი არ ჭამს, პირიქით, იგი [illegible] და ადამიანებს [illegible] მას და იგი ადამიანებში [illegible] და თვით ადამიანები ხდებიან უთავო ურჩხულის უსაზრო მასა ყურებითა და თვალებით სავსე. მან იცის ყველაფერი და ამით აზროვნებს მისი მასა. ეს ურჩხული ადამიანთა [illegible], რომელიც საზოგადოებრივ აზრს [illegible]. [illegible]

სახელმწიფოთა მიერ [illegible] წონასწორობა ირღვევა და პიროვნული [illegible] ... [illegible]

ერთ-ერთი კერძო საუბრისას სტალინს უთქვამს: „მთავარი არაა ის, თუ ვინ აძლევს არჩევნებში ხმას, მთავარია ის, თუ ვინ დაითვლის ამ ხმას“... (ამ ნათქვამს უკომენტაროდ დავტოვებ, რადგან იგი შორს წაგვიყვანს). არჩევნებში რომ [illegible] ჩვენც ... [illegible] ბრძოლა არჩევნებმა დაამტკიცა. ამის მერე ადამიანთა ცნობიერებაში არაფერი შეცვლილა მნიშვნელოვნად.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, სარეკლამო მონოპოლია უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, ოპტიკური ცდომილებაა ეს ყველაფერი, რასაც მსოფლიო ინვესტორები ახორციელებენ კეთილდღეობის მედროშის ეგიდით - აი, როგორ ვაშენებთ (შეგიძლიათ ეს სიტყვა ქართულ სიტყვიერებაში არსებულ ორაზროვნებად ჩათვალოთ); აი, როგორ ვცხოვრობთ; აი, როგორ ვშრომობთ; აი, რა იყო ადრე; აი, რა არის ახლა; აი, რა იქნება მერე, - კომუნიზმია პირდაპირ. სიონურ კრებათა მე-8 ოქმში წერია - „ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ყველა იარაღს, რითაც მოწინააღმდეგეები დაგვიპირისპირდებიან. სამართლის ლექსიკონში უნდა მოვძებნოთ ყველაზე ფრთხილი გამოთქმები იმ შემთხვევებისათვის, როცა მოგვიწევს გამოვთქვათ ჩვენი თამამი და უსამართლო გადაწყვეტილება და წარმოვადგინოთ ისე, როგორც სამართლებრივი ხასიათის ზნეობრივი კანონი. ჩვენი მმართველობა დაფუძნებული უნდა იყოს ცივილიზებულ ძალებზე, უნდა შედგებოდეს პუბლიცისტებისაგან, იურისტ-პრაქტიკოსებისაგან, ადმინისტრატორებისაგან, დიპლომატებისაგან და ხალხისგან, რომელიც განსწავლული იქნება ჩვენს განსაკუთრებულ სკოლებში“. აი, ამას ჰქვია ძალაუფლების სპეკულიაცია.

### დამარცხებული ხალხის კომპლექსი

სხვისი ბრძანებით
ნამღერი ჰიმნით,
სხვისი კარნახით
წაკითხულ წიგნით,
დობერმანივით ერთნაირი
გარეთ თუ შიგნით,
მე მეცოდება კასტრირებული
ჩემი თაობა!..
რაც ჰქონდა წმინდა,
ყველაფერი ხელში დაობდა,
თან მეზიზღება, თან მეცოდება
ჩემი თავიც და ჩემი თაობაც.

**პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი**

და სწორედ ასეთ ვითარებაში და ასეთ გარემოში მოუწია ნაკომუნისტარ საქართველოს თავისი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა და გასვლა მსოფლიო ორბიტაზე, როგორც თავისუფალ სახელმწიფოს. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურად სუსტი, მაგრამ იდეოლოგიურად ძლიერი ხელისუფლებით [illegible]

ქვეყნის პირველი მტკიცე ნაბიჯები [illegible] ... [illegible]

მოიშალა ქართული ოჯახის სტრუქტურა. [illegible] ... [illegible]

ასე თუ ისე, მოსახლეობა [illegible] ... [illegible] ... ტომ. ტერაქტებით რომ არაფერი გამოუვიდათ და ამ გზით ვერ მოახერხეს ამ კაცის პოლიტიკური არენიდან ჩამოცილება, ზოგი დაელოდა მის ფიზიკურ დაუძლურებას და გაფაციცებით ადევნებდა თვალს მის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას, ზოგი კი დაელოდა არჩევნების გზით როდის ამოეწურებოდა მას პოლიტიკური სიცოცხლის ვადა. სწორედ რომ არჩევნებისას მოხდა მოსახდენი.

„ვინცა აღილოს მახვილი, მახვილითვე წარწყმიდოს“, - ქრისტეს ეს სიტყვები შევარდნაძეზე ახდა უყოყმანოდ. მთავარი ამ ბუნტში ის კი არაა ეს რევოლუცია იყო თუ რევოლუციის იმიტაცია, მთავარი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ შევარდნაძეს თან გაჰყვა ხალხის უდიდესი ზიზღი და სიძულვილი და ეს მან აშკარად დაიანახა. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ ძალადობრივი მშვიდობის ათწლიანი ეპოქა შევარდნაძესთან ერთად დასრულდა და ამასთან ერთად პრაქტიკულად დაიწყო სააკაშვილის ეპოქა.

ერთი უცნაური დამთხვევა: 1963 წლის 22 ნოემბერს ტეხასის შტატის ქალაქ დალასში ფიზიკური და ამასთანავე პოლიტიკური სიცოცხლე დაასრულებინეს შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონ ფიცჯერალდ კენედის. ზუსტად 40 წლის შემდეგ ასევე დაასრულებინეს, ოღონდ პოლიტიკური სიცოცხლე საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს. ეს ის დღეა, როცა პარლამენტში, იგივე კანონების კანტორაში შევარდნენ შევარდნაძესთან იავარდრევოლუციონერები. ზუსტად იმ წუთებში დამთავრდა შევარდნაძე, მეორე ღამე მხოლოდ ფორმალობა იყო მისთვის და ტრიუმფი სააკაშვილისათვის, რადგან ამით დაიწყო სააკაშვილი. ზოგიერთის მოსაზრებით, ერთმა დიდმა მაკე ღორმა იმშობიარა და დაბადა სამი გოჭიო. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიმეორებ - იმ პოლიტიკურ მოვლენაში მხოლოდ ისაა მთავარი, თუ რა სახელით დატოვა შევარდნაძემ პოლიტიკური სცენა, სხვა დანარჩენი ეპიზოდები და ფაქტები ნაკლებმნიშვნელოვანი და ნიშნის მოგების მოყვარულ ჭორიკნების საქმეა. აქედან გამომდინარე, რით დატოვებს ამქვეყნიურ ცხოვრებას შევარდნაძე, ძნელი გამოსათვლელი არაა.

2003 წლის 22-23 ნოემბერი სააკაშვილის დღე არასოდეს არ იქნება. ეს დღე მხოლოდ და მხოლოდ ზიზღისა და სიძულვილის გამარჯვების დღედ დარჩება ქართველი ერის ისტორიაში. სააკაშვილსა და მის ტრიუმვირატს რაც შეეხება, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ამ დღის მოახლოვებისა და ერში დაგროვილი წყრომის გამომჟღავნების მოთავეები იყვნენ, ან იყვნენ კი???

### ტუზ-კოზირის კომპლექსი

რაა მასზე გულსაკლავი,
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე,
ეს არ არის საქართველო!..
არის რკინიგზების ხლართი,
არის ავტო-მოტო-ველო,
არის ოჯახებიც, მაგრამ
ეს არ არის საქართველო!

**გალაკტიონი**

ამოისუნთქა თუ არა საქართველომ შევარდნაძის შემდეგ?

არის თუ არა დღევანდელი საქართველო შევარდნაძის საქართველოს ლოგიკური გაგრძელება?

ერთი უდიდესი გარდატეხა მოხდა ცხოვრებაში და ეს მხოლოდ სააკაშვილის ქარიზმატული პიროვნების წყალობით: ცხოვრება საინტერესო გახდა და წინასწარ გაუთვალისწინებელი მოვლენებით გადაიტვირთა. საქართველო გვიან, მაგრამ დაუბრუნდა აუცილებელი ომის მდგომარეობას. ქვეყნის გამყიდველური ხელისუფლების მეოხებით მოსახლეობას ხელი თუ ჰქონდა ჩაქნეული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების პერსპექტივაზე, დღეს ყველა ელის, თუ როდის გადაიდგმება ქვეყნის მესვეურთაგან გაბედული ნაბიჯები ამ მხრივ და ყველა მზადაა წვლილი შეიტანოს ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის საქმეში, შევარდნაძის ეპოქაში ეს სიტყვები ლიტონსიტყვაობად და მფრინავ ფრაზებად ქცეულიყო. ქვეყნის ტოტალური სიბერე (გონებრივი დაჩლუნგებიდან დაწყებული გარეგნული დაუძლურებით დამთავრებული) ტოტალურმა გაახალგაზრდავებამ შეცვალა. შეცდომებიც უმთავრესად ამით არის განპირობებული - გამოუცდელობითა და არაპროფესიონალიზმით. სახელმწიფო საკადრო პოლიტიკა 25-35 წლის ახალგაზრდების დასაქმებით ამოიწურება. ყველაფერი სიახლე და გართობა ახალგაზრდობას - პატრიოტთა ბანაკები, სტუდენტური შრომითი სმესტრები (ანაზღაურებადი) და საბანკო სესხები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ქირის დასაფარავად, კურორტების კეთილმოწყობა და სხვა მრავალი. არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო სასწავლებლად გზავნის ახალგაზრდებს ევროპაში.

ქვეყანაში აქტიური ბრძოლა დაიწყო კორუფციასთან. დაზღვეული არავინაა ციხის საკნებისაგან, თვით სააკაშვილის გარემოცვის ყველაზე ახლოს მდგომნიც კი, აღარაფერს ვამბობ პოლიტიკურ ოპონენტებზე. განსაკუთრებული სიმძაფრით შეუტიენ კანონშემოქმედებიდან დაწყებული ძალოვანი სტრუქტურებისა და აგენტურით დამთავრებული კანონიერი ქურდობის ინსტიტუტს, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას მოსახლეობაში ამ სიმახინჯისადმი მხარდაჭერა, ლტოლვა და თაყვანისცემა, რათა უპირველეს ყოვლისა მომავალი თაობები გათავისუფლდეს ქურდული მენტალიტეტისადმი მიბაძვისა და მისი გაფეტიშებისაგან. დამოკლეს მახვილი ტრიალებს საქართველოში და იგი თავად სააკაშვილია და არავინ იცის როდის დაატყდება იგი რისხვად საჯარო მოხელესა თუ პოლიტიკოსს, ბიზნესმენსა თუ თვით პოლიციას.

ბევრი გადაიმტერა, ბევრი დაიმოყვრა, მაგრამ სააკაშვილი შევარდნაძისნაირი უპრინციპო პოლიტიკოსი ნამდვილად არ არის. მისი ძალისხმევით ჯარი ჯარს დაემსგავსა და ჯამაათი ჯამაათს. უკვე ადვილად ხელწამოსაკარავი ხალხი აღარა ვართ, ხმამაღლა და პრეტენზიებით ველაპარაკებით რუსეთს. განსაკუთრებულად განსხვავებული მნიშვნელობა მიენიჭა დამარცხებული კაცის კომპლექსს - დღეს დარწმუნებული ვართ, რომ დღემდის დამარცხებულნი ვართ, მაგრამ გვაღიზიანებს ჩვენი ასეთი სამარცხვინო მდგომარეობა. წინა პლანზე წამოიწია ეროვნული სიამაყის გრძნობამ და ამიერიდან აღარ ვამბობთ - „რაც ცუდები ვართ, ქართველები ვართო“. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა ვის წისქვილზე ასხამს წყალს ხელისუფლება, მთავარია მე გავძლიერდე სულიერად, რათა საკუთარი თავი ვიპოვო საკუთარსავე თავში... და როგორი საკუთარი თავი მსურს ვიპოვო იცი?! - მამა-პაპათა მოსაწონარი და შვილ-მომავლის საამაყებელი.

ქვეყანაში ტოტალური მშენებლობებია გამართული. შევარდნაძის და მისი უნიათო მთავრობის მიერ უყურადღებოდ მიტოვებული ყოფითი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი თუ უმნიშვნელო დეტალები ახლანდელი მთავრობის ყურადღებიოს ცენტრში მოექცა. კეთდება ბაღები და სკვერები, შენდება სპორტული მეოდნები, იგება ახალი გზები, მტკიცდება და მყარდება ეროვნული ვალუტა, განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ კონტროლზეა აყვანილი სოფლის მეურნეობა, სხვებთან შედარებით მეღვინეობა - უფრო სიღმისეულად, რათა ამ კულტურის წარმოება პირველყოვლისა ქართველი კაცის ღირსების საკითხია და შემდეგ კიდევ იმიტომ, რომ ქართულმა ღვინომ თავისი ღირსეული და დამსახურებული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოში.

გაუმჯობესდა საარსებო პირობები ქართულ არმიაში, წვრთნები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს. საქართველოდან საბოლოოდ და საშვილიშვილოდ ამოიკვეთავს ფეხს რუსეთის საოკუპაციო ჯარი. ეს ქართველი ერის უპირობო მოთხოვნაა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა თავის სპექტრში ბრუნდება, თავადვე განაგებს ორინეტაციას, მტერსაც თავადვე პასუხობს და მოყვარესაც.

ქართული სკოლა დაადგა აუცილებელ და საჭირო რევოლიციური რეფორმების გზას. აღარაა სამარცხვინო სკოლაში მუშაობა. უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოიხშირა ე.წ. წითელი პროფესურა და მას ჩაუნაცვლენ ამ პროფესურის მიერ გზაგადაღობილი ახალგაზრდა მეცნიერები. ახლებური თვალთახედვა მკვიდრდება ქვეყნის რეპუტაციის მიმართ. შეცდომები ამ გზაზე ბევრია, ბევრი აღმოფხვრება უახლოეს ან შორეულ მომავალში, ბევრიც - არა. ბევრს სააკაშვილის შემცვლელები გაასწორებენ, ბევრსაც იმ შემცვლელთა შემცვლელნი. თვალნათლივ ვხედავთ, რომ ჩვენ ჭაობში არ ვცხოვრობთ, ჩვენ წყალსწრაფი მდინარის ჩქერებს მივყვებით, სხვა საკითხია - დინების მიმართულებით თუ დინების აღმა.

ყველაფერს ამას სააკაშვილის უზღვავი ენერგია წარმართავს და განაგებს. იგი აშკარად გამარჯვებაში თვითდაჯერებულია. მისი სახე ლაღია, რასაც ფიქრობს და ამბობს, თვალნათლივ იკითხება მის სახისმეტყველებაზე, - დაფარული, იდუმალი და საიდუმლო მისთვის არაფერია, რასაკვირველია, მხედველობაში არა მაქვს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია. იგი პრაგმატიკოსია, მისი პიროვნებიდან განდევნილია რომანტიკა, რადგან პროფესიით იგი იურიტია. გამორიცხულია პირველკაცობისა და ისევ და ისევ პროფესიის გამო სულში ლირიული ჩაღრმავებები, ან მელანქოლიური ამოვარდნები. ხოლო თუ მისთვის არ არსებობს პოეტური მელანქოლია, არსებობს აღტკინება და ჟინი, მამაკაცობას რომ ადასტურებს ძირით ძირამდე. ჩემთვის ადამიანურობის ასეთი თვისება უფრო მისაღებია, ვიდრე ლექსებითა და სასიყვარულო ბარათებით თავგაბრუებულთა ვნებაში გადავარდნა. სააკაშვილში ამაშიც თვითდაჯერების ძალა ვლინდება, საკუთარი ძალებისა, ქვეყნის პირველკაცობაც რომ ჰმატებს ლომის წილ ენერგიას ერის პოტენციალის ულევი წყაროთსათავიდან. იგი ნასაზრდოებია ევროპითა და ამერიკით. დასვეს? - ეს ნაკლებად მაინტერესებს. ჩემი ინტერესი ჩემი სამშობლოა და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ მის საჭეთმპყრობელს.

და მაინც, ეს ყველაფერი ზედაპირულად აშკარად ჩანს, რომ არ დაგჭირდება გონების დაძაბვა, ისე...

ქვენა დინებებს სხვა კონტექსტები სჭირდება...

კენედის სიცოცხლე დაასრულებინეს 22 ნოემბერს, სააკაშვილს კი სიცოცხლე დააწყებინეს 23 ნოემბერს... თითქოს ორმოცწლიანი პაუზა ერთი ტყვიითა და ხატოვნად რომ ვთქვათ თითქოსდა ბურჯანაძის ნათაღლითარი ორმოცდღიანი ნისლ-ღრუბლებით ამოიწურება და სხვა რამით არაფრით. გასაოცარი დამთხვევაა.

და მაინც, მიუხედავად ყველა სიკეთისა, საქართველომ მაინც ვერ ამოისუნთქა შევარდნაძის შემდეგ...

### უპასუხო კითხვებით სავსე ქვეყანა

დამწვა საკუთარ ალმა,
ვატყობ თანდათან ვქრები,
სადღაც ხარობენ ალბათ
ჩემი პატარა მტრები.

**ტერენტი გრანელი.**

ერთი დიდი უბედურება დაატყდა თავს საქართველოს სააკაშვილით, შევარდნაძის შემდეგ და არა შევარდნაძისეული მემკვიდრეობით. ერი კი ელოდა ამ ტირანის დასასრულს ყველა ხერხით და ამით ელოდნენ ქვეყნის უკუღმა ტრიალის წაღმა სვლით შეცვლას. ეს ლოდინი თვითმიზანი არ იყო, იგი თვითგადარჩენის ინსტიქტიდან მომდინარეობდა. ვინც საქართველოში დარჩა, მისთვის ეს ლოდინი, ეს სანუკვარი ლოდინი, უმოქმედობითა და მდგომარეობის თვითდინებაზე მიშვებით რომ განისაზღვრა, იყო ერთადერთით სულდგმული - ახალი ძალის მოსვლით დაედგომებოდა თუ არა მოსახლეობას საკუთარ სამშობლოში. ამ ლოდინმა რომ არ გაამართლა, ქვეყანამ სტრესი მიიღო, რაც გარეგნულად არ ჩანს, ეს შინაგანი განცდაა თვითდანაშაულისა. პასუხი ამ უთავჟამო მშვიდობასა და დაულეველ ლოდინს ერთბაშად და უცერემონიოდ გაეცა. მოთმინების ფიალამაც არ დააყოვნა, აივსო პირთამდე იგი და გადმოიღვარა. გადმოიღვარა და ამ იმედგაცრუებამ ერს ცენტრალური ნერვული სისტემა მოუშალა. შეგრძნება აღარაა, როცა გვიჭერენ უმიზეზოდ, როცა კანონების კანტორა დანაშაულებრივ კანონებს იღებს, და ცინიკურად გაიძახის - ეს ასეა საჭიროო. როცა გვკლავენ და დამნაშავეებს ჩინ-მედლებს ურიგებენ, როცა ცოდნის ტაძარი ცოდვის ტაძრად აქციეს, როცა მართლმადიდებლურ ეკლესიას შეურაცხყოფენ და აღარაა შეზღუდვები ძალმომრევთათვის ჩხრეკების ჩასატარებლად, როცა ერთგან ქურდების სასახლეებში მიდიან, მეორეგან კი მონასტრებს არბევენ... ასეთი „როცა“ ბევრია, გარეგნულად კი ჩანს - გაღებილი ფასადები და აშენებული სკვერ-ბაღები, გალამაზებული კურორტები და არდგენილი გზები.... ყველაფერი ესეცაა, პოტიომკინის სოფელს რომ დაემსგავსა სრულიად საქართველო.

მასიურ ტერორშია მოსახლეობა, სიკვდილის ბრიგადები არავის ზოგავს და ამას დემოკრატიის სახელი ჰქვია. ავტორიტეტი შეებღალა თვით ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების რეპუტაციას მოსახლეობაში, რადგან იგი ფიქრობს, თუ ეს ქვეყანა ასეთი მთავრობის სტრატეგიული პარტნიორია, მაშინ იგი ამ მთავრობაზე უარესი ყოფილაო. „ობივატელმა“ კი არ იცის რა სახელმწიფოა შეერთებული შტატები. იგი რომ თავისფლების მებაირახტეა მთელს მსოფლიოში, არავისთვის არ არის უცხო, მხოლოდ ისეთი ხელისუფლების მხარდაჭერა, როგორიცაა საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლება, აშკარაა, დადებით პოზიციაზე ვერ დააყენებს თომას ჯეფერსონის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე წარმოქმნილ ქვეყანას.

ერთხელ ლუდოვიკო მეთექვსმეტემ თავის ემისრებს უბრძანა ფასი გაეძვირებინათ მარილზე და დაავალა, თვალყური ედევნებინათ მოსახლეობის რეაგირებაზე. რამდენი ხნის შემდეგ მივიდნენ ეს ემისრები მეფესთან და მოახსენეს დაკვირვების შედეგები - „ხალხი გაბრაზდაო“. „ისევ გააძვირეთო!“, უბრძანა მეფემ და ისევ დაავალა მათ თვალყური ედევნებინათ ხალხის განწყობილებაზე. ისევ დაბრუნდნენ მეფესთან და მოახსენეს - „ხალხი განრისხდაო“. „ისევ გააძვირეთო“, ბრძანა მეფემ. ისევ გააძვირეს და... გაოგნებულები დაბრუნდნენ მეფესთან და მოახსენეს - „ხალხი იცინისო“. დაფიქრდა ლუი და თქვა - „ეს უკვე საშიშიაო“. ლუდოვიკო გონიერი მეფე ყოფილა, რომ გათვალა საშიშროების საფუძველი. ამ საშიშროების შედეგი საკუთარი თავის ფასად იწვნია მოქალაქე კაპეტად გადაქცეულმა საფრანგეთის ხელმწიფემ.

საქართველოში მოშლილია სახელმწიფო ბოროტებით მოყენებული რეაგირების უნარი: აღარც ვიცინით, აღარც ვტირით. კეთილდღეობის ეიფორია როდემდე გასტანს, არავინ იცის.

კი, ყველაფერი კარგი, კარგია, მაგრამ მე ვიცი, რომ იგი ჩემთვის არ კეთდება. მე ისიც ვიცი, რომ თუ ფული არ მექნა, ვერ ვისწავლი იმ რეფორმირებულ სკოლაში, ვერ დავფარავ სესხების ვალს, ვერ წავალ დასასვენებლად ბათუმსა და გუდაურში, აფხაზეთი თუ დაუბრუნდება დედასამშობლოს, მთელ სანაპირო ზოლს ფულიანი ძიები იყიდიან, და ჩემთვის - უფულოსთვის, ადგილი არ დარჩება გაგრასა და პიცუნდაში, როგორც ეს ურეკსა და ბათუმშია ახლა. უცხოეთში სასწავლებლად სააკაშვილისნაირი დედიკოს და მამიკოს შვილები თუ დისშვილები წავლენ, მე თუ გადავრჩი, ხომ კარგი, შენ, კიდევ, მოხვალ ნაევროპალ-ნაამერიკები (იქ ნასწავლი) ჩემს ნაოფლარზე და მთელი შენი ცინიზმით შემომცინებ სახეში და მეტყვი - „აი, ასეთი ატრაქციონები პეტერბურგშიც არ არისო!“. მე რა... მაგით მერე??? მერე შენ მომიყვები ყურითმოთრეულ ზღაპრებს, უნიჭო და ბოროტი მეზღაპრესავით, ასლანზე და ცირკზე. მე კიდე რა ძალა მაქვს, რომ არ მოგისმინო, დაჯერებაზე რომ არაფერი ვთქვათ. აი, ახლა ასეთ ცირკებს აშენებენ, სადაც ნეონისა არ იყოს, კლოუნები თავად „მშენებლები“ არიან, მშენებლები იმისა, რაც ოდესმე უკვე აშენებულა. ცირკია მართლა ეს მთავრობა, სამაგიეროდ ქვეყანაა თავად დიდი ციხის პატარა ნავსაყუდარი.

ჯარიც უმთავრესად ჩემს დასაცავად კი არ გაიწვრთნა, პირიქით, შიში რომ დათესოს ხალხში ხელისუფლებისადმი, იმისთვის; საკუთარი ტახტი რომ დაიცვას, იმისთვის. კითხვებით გაივსო ქვეყანა, რომელიც აუცილებელ პასუხებს საჭიროებს. დღეს მოდაშია პატიმრებისა და მსჯავრდებულების უფლებების დაცვა, ახალ-ახალ კომფორტულ ციხეებს აშენებენ, მთელი არასამთავრობო ინსტიტუტებია ამ საქმეში ჩართული. სამაგიეროდ, პატიოსანი კაცის ინტერესებს არავინ იცავს, ვისაც ზიანი მიადგა იმ დამნაშავისაგან, ასე კბილებით რომ იცავს სახელმწიფო მახინა - პროკურატურა. მხოლოდ იმისთვის არაა სამართალი, ვისაც ფული არ გააჩნია, სწორედ ისაა დაჩაგრული კანონის მეშვეობით. ვალუტაც იმიტომაა მყარი, რომ მეტად და მეტად ძარცვონ ხალხი, ის ხალხი, რომლის ოჯახის წევრებიც საზღვარგარეთ არიან გადახვეწილნი და თავიანთ ნაოფლარ ჯამაგირებს აგზავნიან.

ყველა კეთილდღეობა გააუფერულა სახელმწიფომ, უკვე მაღიზიანებს რაიმე რომ კეთდება ქვეყანაში, რადგან ვიცი, ესეც ჩემი ჩაგვრის ფასად კეთდება, ჩემმა უსუსურმა ჯიბემ უნდა ზღოს სააკაშვილის მოუპირავი განცხრომა. მე კიდევ საშუალება არ მეძლევა საარსებო წყარო გავიჩინო.

სათქმელი ბევრია, რომელიც ერთი წერილით არ ამოიწურება, ეს მხოლოდ მშრალი კონსტატაციაა ფაქტების. ამას დაფიქრება, დაღვინება და შეფასება უნდა მოჰყვეს, რათა ჩემი მომავალი სწორად წარვმართო. ამდენად ჩემთვის სულერთი გახდა, მგელი შემჭამს თუ მგლისფერი ძაღლი, მე იმდენად მაინტერესებს სააკაშვილის მამაკაცური პოტენციალი თუ შიზოფრენული აღვირახსნილობა, რამდენადაც ამით მაინც მსურს დავრთგუნო ჩემში მოზღვავებული, დაუხარჯავი ენერგია და ყურადღება გადამაქვს სხვა აქცენტებზე, რადგან ჩემში ველარ ვპოულობ გამარჯვებულ მოქალაქეს.

ჰოდა, რით და როდის დასრულდება ეს პარანოია, არავინ იცის!

**მ. ბეჟანიშვილი, 2005**

> „ბრმებმა თავიანთ ქალაქში ცალთვალა გაამეფეს, ხოლო თვალხილულს უარი უთხრეს მეფობაზე: „ცალთვალა ცალი თვალით მაინც გვგავს ჩვენ, შენ კი ორთავ თვალით უცხო ხარო“.“
>
> ზვიად გამსახურდია

# სიყვარულის და ძმობის მასტერ-კლასები
## ანუ
# ხარაბაძე, გახსოვს ქუთაისი?





დაბადების დღის მილოცვა - მეობას, ილო ფოტოგრაფის, მარკოზიჩის, ბაშმაკას, ბაყუჩიას, მამფორიას, ოთარ ქანდარიას, რეზო ნაჭყებიას, დურმიშხან წითურის და ძმათა მათთა ბებერი ქალაქიდან.

შეიძლება, ახლა ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო:

დილაუთენია დაიწკრიალებდა ტელეფონი და რომელიღაც ძალიან ახლობელი, ნაბახუსევი ხმა ტკბილმშობლიურად შემობურდღუნდებოდა ყურმილში:

- ხარაბაძე, ბუჯო, რამდენი წელი შეგისრულდა - ა?

ხარაბაძე ადრე გაღვიძებისთვის ჯერ ჩუმად შეუკურთხებდა, მერე ჩაიცინებდა, ბოლოს კი ორივე ხმა (დუეტში) ერთ დადებით აზრზე შეთანხმდებოდა:

- ხო, კაი, იქ...

,,იქ'' ან დოდელიას რესტორანი იქნებოდა, ან ერთ-ერთი ახალმოდური, კაი ღვინით განთქმული ადგილი, ან ქუთაისის გარეთ - ,,რომელიცხა მაგარი დუქანი''.

შეიძლება, სულაც, გელათში, ან მოწამეთაზე ასულიყვნენ?

ისე, ხარაბაძის ამქვეყნად მოვლინების დღე - 27 ოქტომბერი მხოლოდ თავშეყრის მიზეზი თუ იქნებოდა, თორემ პურობის მთავარ თემად ხომ ძმობა, მეგობრობა, ავთანდილ-ფრიდონობა, ერთმანეთის სიყვარული და გატანა იქცეოდა.

გაიშლებოდა ძალიან, ძალიან ლამაზი სუფრა და, როცა ჯერი სავარდო და სამაისო ქალაქის დღეგრძელობაზე მივიდოდა, ხარაბაძე დამუნჯებული საძმოს თვალწინ სიტყვისა და გრძნობის ნამდვილ ფეიერვერკს დაანთებდა, ბოლოს კი ცრემლმორეული დაუჩოქებდა დედა ქუთაისს. ბახუსითა და ხარაბაძის ორატორული ნიჭით ფრთებშესხმული ,,ბიჭები'' (ჭაღარიანებიც, კულულიანებიც, კეფაშეშიშვლებულებიც, ქოჩრიანებიც და უქოჩროებიც) ერთად ავიდოდნენ ბაგრატზე, ვარსკვლავებით მოჭედილ ცარგვალქვეშ, და შუაღამის ქუთაისს იქიდან გადმოხედავდნენ გრძნობებით ამღვრეული თვალებით.

მაგრამ ხარაბაძე ახლა ამერიკაშია და 27 ოქტომბერს ქუთაისი ვაშინგტონს ტელეფონებით აქედან ,,აფეთქებს'':

- თამაზ, ალო! გილოცავ დაბადების დღეს!

- ხარაბაძე, რავა ხარ, თუ იცი?

- ნინოიასაც მიულოცე, ჩვენ ლამაზ გოგოს. მაგეც შენი დაბადების დღეზე არ გყავს გაჩენილი?

- თამაზია ხარაბაძე, შენ გაგიმარჯოს ღმერთმა! კაცური კაცი!

უფრო ,,თანამედროვენი'' კი, ალბათ, იმეილით მიულოცავენ და კომპიუტერის ღილაკების რამდენიმეწამიანი დაწკაპუნებით, სულითა და გულით შეუგზავნიან ამერიკაში ქუთაისური შემოდგომის მადლსა და სურნელს.

ნეტა, ერთი ჩუმად მაჩვენა, რა სახე ექნება ამ გზავნილების კითხვისას ხარაბაძეს...

თამაზ ხარაბაძეს.

* * *

კაცი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს და რომელიც დღესაც უყვარს ქუთაისს, ჩვენებური, ქუთაისური საზომით - ძმაა ჩემი.

ეს ძმა კი მე დიდი ხნის წინათ, 70-იანი წლების ბოლოს შევიძინე, თუმცა მანამდე მას ჩვენი ქალაქის ერთადერთი ქართულენოვანი, ყოველდღიური, 40 ათას ტირაჟიანი გაზეთის - ,,ქუთაისის'' ფურცლებიდანაც ვიცნობდი ცინცხალი, ძალიან საინტერესო რეპორტაჟებით.

მაგალითად, ჩემი სტუდენტობის წლებში წავიკითხე მისი არაჩვეულებრივი წერილები დაღესტანზე. მასპინძლად თავად რასულ გამზათოვი ჰყავდა, დაღესტნის სახალხო პოეტი. ეს ჭაღარა, საქვეყნოდ გათქმული მგოსანი და ჯიგიტი სულ ახალგაზრდა ქუთაისელ ბიჭს აულიდან აულში თანატოლივით დაატარებდა, თავისი ხალხის ადათებს აცნობდა, შამილის სულში ახედებდა, ნამდვილ ეთნოგრაფიულ სასწაულებს აჩვენებდა...

ამ რეპორტაჟებს რომ ვკითხულობდი, თამაზ ხარაბაძე ვინმე სოლიდური, ბრძენი ბიძია მეგონა. წლების მერე, მეც რომ დავიწყე ,,ქუთაისის'' რედაქციაში მუშაობა, შევიტყვე, რომ თურმე გაზეთის რედაქტორს, ცხონებულ გივი მეფისაშვილს, მოგზაურობასა და ხეტიალზე შეყვარებული ახალგაზრდა ჟურნალისტი ორიოდე დღით გაუშვია დაღესტანში, იქ კი გამზათოვს ისე მოსწონებია მივლინებული კორესპონდენტი, რომ მთელი ორი კვირა დაუტოვებია თავისთან სტუმრად. მობილური მაშინ არ იყო, საბჭოთა ტელეფონი ცუდად (ან - სულ ვერ) მუშაობდა და... გვარიანად შეშფოთებული ბატონი გივი თურმე მოთქვამდა: ორი დღით გავუშვი, კაცო, ეს კი მთლად დაიკარგა, ცოცხალი მაინც ჩამოვიდოდეს, სხვას არაფერს დავეძებო (,,მამულის'' რედაქციამ გაზეთ ,,ქუთაისის'' არქივის მტვერდადებული თაროებიდან უამრავ გაყვითლებულ გაზეთთა შორის მიაკვლია ზუსტად 34 წლის წინანდელ, 1973 წლის 9 ოქტომბრის ნომერს, რომელშიც ამ სერიის პირველი წერილი დაიბეჭდა, რასაც ჩვენს მკითხველს ქვემოთ გთავაზობთ, **რედ.**).

თავისი ,,დანაშაული'' ახალგაზრდა ჟურნალისტმა ბრწყინვალე რეპორტაჟებით გამოისყიდა. ვისაც წაკითხული აქვს, არა მგონია, დაავიწყდეს.

ამავე პერიოდიდან იბეჭდებოდა თამაზის კიდევ სხვა, არანაკლებ საინტერესო სერიებიც შორეულ ნაოსნობაზე. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან (როცა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობაზე სწავლობდა) დააჭაშნიკა მდინარეებზე ნიჩბებიანი ნავითა თუ ტივით მგზავრობის საშიში რომანტიკა, განსაცდელსა და ხათაბალაში შეძენილი მეგობრების სიყვარული, ექსტრემალურ შემთხვევებში გამომუშავებული ადრენალინის მძაფრი შეგრძნება. სტუდენტობის მეგობრებს, მოგვიანებით, მშობლიურ ქალაქში ნაპოვნ ,,მისნაირთა'' ჯგუფიც შეემატა და...

საზოგადოებისთვის სახელი და გვარი თამაზ ხარაბაძე წლების მანძილზე ასოცირდებოდა რიონის სათავეებიდან ფოთამდე დაშვებულ ,,თავზეხელაღებულთა'' საძმოს კოლორიტულ წევრად, ყვირილის, მტკვრის, ვოლგა-დონისა და სხვა მდინარეების ,,მარად მგზავრად''. კატამარანი, ტივი, ნიჩბებიანი ნავი - ხარაბაძის საყვარელი ტრანსპორტი და ,,სახლი'' გახლდათ. მოსკოვის ოლიმპიადას მიუძღვნეს მან და მისმა მეგობრებმა შორეული მოგზაურობის მარშრუტი, რომელიც ფოთიდან დაიწყო, ზღვა-ზღვა თუ მდინარეთა მონაცვლეობით გრძელდებოდა და, საბოლოოდ, მოსკოვში დასრულდა.

წლების მანძილზე ოჯახიც შეჩვეული იყო ხიფათიანი მოგზაურობების ჟინით შეპყრობილი ყმაწვილკაცის გატაცებებს და არც რედაქცია უჭერდა მეტისმეტად მძიმედ მარყუჟებს - ყველამ კარგად იცოდა, რომ ,,მოთვინიერებული ხარაბაძე'' ბუნებაში არ არსებობდა.

ამასწინათ თამაზის უფროსი ძმა, ალეკო, ღიმილით იგონებდა:

- შოვიდან რომ დაეშვნენ ერთხელ, გახსოვს? მე და დედაჩემი წითელ ხიდთან ვიცდიდით, როდის ჩამოყვებოდა თამაზი რიონს. ამ დროს ხიდის ქვეშ რაღაც შეჯიბრი იყო, გასაბერი ნავებით. ქალები ლაპარაკობდნენ ჩვენს გვერდით: - კაცო, ამათ პატრონი არა ჰყავთო? - ერთმა იკითხა. პატრონი ამათ კი არა, შოვიდან რომ მდინარით მოდიან, იმათ არ ჰყავთო, - მეორემ დაარწმუნა. ჩვენ, ,,პატრონებმა'' გავისუსეთ...

რეპორტაჟები, რომელთაც თამაზ ხარაბაძე სხვადასხვა მოგზაურობის დროს წერდა, საბჭოური იდეოლოგიით გაჟღენთილი და ,,სკკპ ყრილობების შუქზე'' ორიენტირებული იმ ფსევდოპუბლიცისტიკის ფონზე (გაზეთის წინა გვერდები რომ ეჭირა) გასაოცარი უბრალოებით ბრწყინავდა: მკითხველთან დაუშრეტად მიჰქონდა ახალი თემები, ადამიანური გრძნობები, რეალური ფაქტები, საინტერესო პიროვნებათა მთელი გალერეა... ხარაბაძეს ჰქონდა ახალგაზრდული, ენერგიული, საქმიანი სტილი, რითაც მისი წერილები ყოველთვის გამოირჩეოდა. მკითხველს უყვარდა იგი, მკითხველი მუდამ ეძებდა მის ხელმოწერილ სტატიებს.

მოკლედ, ,,კორესპოდენტმა ხარაბაძემ'' საკუთარი სიტყვა თქვა იმ პერიოდის საქალაქო, რესპუბლიკის სპორტულ მედიაში.

1979 წლის ოქტომბრის ბოლოს გივი მეფისაშვილმა თამაზი, ფოტოჟურნალისტი ბონდო მაღლაფერიძე და მე აფხაზეთში მიგვავლინა გაზეთის სპეციალური ნომრის მოსამზადებლად. თან გვახლდა შესანიშნავი ქუთაისელი კაცი - ანზორ ჯაოშვილიც, რომელიც რეპრესირებული მამის - გაზეთ ,,აფხაზეთის ხმის'' პირველი რედაქტორის - ნაკვალევს იძიებდა.

ხარაბაძე თავის სტიქიაში იყო: დადიოდა რაიონებში, იძენდა ახალ მეგობრებს, პოულობდა თემებს. მე, როგორც გოგოს, რაინდულად შემომთავაზა სოხუმში მუშაობა, ძალიან რომ არ გავწვალებულიყავი სოფლიდან სოფელში და შორეულ კუთხეებში მგზავრობით, თავად კი უთენია გადიოდა სასტუმროდან და... გვიან ღამით, როცა ის და ბატონი ბონდო ,,შინ'' ბრუნდებოდნენ ხოლმე, შთაბეჭდილებების მთელი გირლიანდები მოჰქონდათ, რომელთაც მერე თამაზი ინტერვიუების, კორესპონდენციების, ნარკვევების, რეპორტაჟების ჟანრულ ფორმებად გარდასახავდა.

სწორედ იმ დღეებში ჩამიტარა ,,ჩემმა ძმამ'' ჟურნალისტიკაში ნამდვილი მასტერ-კლასი, პროფესიონალიზმის იშვიათი მაგალითი მაჩვენა. და, თუ ამას დავუმატებთ უმცროსი კოლეგისადმი მის უაღრესად ყურადღებიან და გულწრფელ და-ძმურ დამოკიდებულებასაც, შემიძლია ვთქვა, რომ თამაზ ხარაბაძე მაშინ კიდევ ერთხელ აღმოვაჩინე.

მოგვიანებით, როცა გაზეთ ,,ქუთაისის'' რედაქტორი გახდა, აქტიური ჟურნალისტიკისათვის იმდენად აღარ ეცალა, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი შემოქმედებითი ცხოვრების სრულიად სხვა ეტაპი დაიწყო. მან გაზეთი თვისებრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა, თავი მოუყარა ახალგაზრდულ შემოქმედებით ძალებს და მკითხველს აჩვენა, თუ რას ნიშნავს პროფესიონალიზმი. ამ პერიოდში რედაქციაში რამდენიმე ჟურნალისტური ჯგუფი ჩამოყალიბდა - თანამოაზრეთა გაერთიანებები, რომლებიც რიგრიგობით ამზადებდნენ გაზეთის ნომრებს. წერის მანერით, თემებით, აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები, მიზანმიმართული სარედაქციო სტრატეგიის პირობებში, მკითხველს მრავალფეროვან მასალას აწოდებდნენ ქალაქზე, მის პრობლემებზე, საზოგადოებაზე. ცოცხლდებოდა იდეოლოგიის მარყუჟებიდან გათავისუფლებული თემები,იმსხვრეოდა სტერეოტიპები,პირველ ნაბიჯს დგამდა ადგილობრივ მედიაში თავისუფალი სიტყვა...

მახსოვს, როგორ ვათენებდით ღამეებს, როგორ გვიხაროდა, რომ მეორე დღეს მკითხველისათვის მორიგი სიახლე უნდა შეგვეთავაზებინა. იმ პერიოდის მამაპაპური სტამბის პირობებში ძნელი იყო დიზაინზე მუშაობა, მაგრამ ჩვენი რედაქტორი საათობით იჯდა თავის ვეებერთელა, წიგნებით, გაზეთებით, ფოტოსურათებითა და მაკეტის ფურცლებით გადაჭედილ (მეტწილ - არეულ-დარეულ) მაგიდასთან და გულდასმით ჩაჰკირკიტებდა მაკეტს, რომ საგაზეთო გვერდებისათვის მეტი გამომსახველობა მიეცა.

ის მართლაც იყო უდიდესი პროფესიონალი, გაზეთის სიყვარულით ერთიანად ,,დაავადებული'', და ამ ,,სენს'' ჩვენც ყოველდღიურად გადმოგვდებდა ხოლმე. არ ელეოდა იდეები, თემები, სარედაქტორო დავალებები. ის მეთაური იყო, ჩვენ მისი რაზმი (ჩვენ: თენგიზ წოწონავა, ნინო ცირამუა, დარეჯან გაბუნია, ეთერ ნაცვლიშვილი, ლალი ლიპარტელიანი, ნუნუ ჯავახიშვილი, შორენა ფირცხალავა, ნესტან ნებულიშვილი, ელისო კილაძე, მამუკა ჭონიშვილი, ნანული ცხვედიანი და სხვები - საუკეთესო შტატგარეშე ავტორები).

გაზეთ ,,ქუთაისის'' პარალელურად რამდენიმე საინტერესო გამოცემაც განხორციელდა. სწორედ თამაზ ხარაბაძის იდეით და ხელმძღვანელობით დაიბეჭდა გაზეთ ,,იმერეთის'' საუცხოო ნომრები, გაზეთი ,,არაჩვეულებრივი გამოფენა'', ქართულ-ებრაული ურთიერთობების ამსახველი ,,შალომ'', გამოიცა წიგნები...

კარგი გემოვნება, პროფესიული ინტუიცია ყოველთვის ეხმარებოდა ჩვენს რედაქტორს, რომ მეტი და მეტი სიახლე დაენერგა, ჩვენც მივჩვეოდით თამამ აზროვნებას, შინაგან სილაღეს და გულწრფელობას. დღეს ამაზე ლაპარაკი ადვილია, მაგრამ მაშინ, როცა ის-ის იყო, დამოუკიდებელი, თავისუფალი პრესა პირველ ნაბიჯებს დგამდა და შინაგან ცენზურას ვებრძოდით, ამის გაკეთება, პრაქტიკულად ძალზე ძნელი იყო.

მე მგონი, თამაზ ხარაბაძის რედაქტორობით გამოსული გაზეთებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1990-იანი წლების დასაწყისში, სამოქალაქო ომის პერიოდში დაბეჭდილი გაზეთები. ის პოლიტიკური კატაკლიზმები, ,,ზვიადისტურ-შევარდნაძისტური'' შეტაკებები, სიცივე, შიმშილი, პურის რიგებში დატანჯული ხალხი, გაურკვევლობა, შიში, დეპრესია - ერთი სიტყვით, ყველაფერი, რითაც იმჟამად აღსავსე იყო ჩვენი ქალაქის ყოველდღიურობა, გაზეთმა ,,ქუთაისმაც'' მთლიანად გამოხატა. რედაქტორის სტრატეგია ასეთი იყო - გაზეთში დაფიქსირდეს ყველა განსხვავებული აზრი, აისახოს ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი! ამიტომაც, ამ პატარა გაზეთში, რომელიც საველე გაზეთს ჰგავდა თავისი ფორმატითაც კი, არც ,,ზვიადისტი'' ავტორი დაჩაგრულა, არც ,,შევარდნაძისტი'' და არც სხვა პოლიტიკური ორიენტაციისა. თუ დღეს ვინმე იმ პერიოდის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სურათით დაინტერესდება, წაიკითხოს ის გაყვითლებული, უილუსტრაციო, თოვლსა და წვიმაში, შიმშილსა და სიცივეში დაბადებული პატარა გაზეთები და მიხვდება, რას ნიშნავს პროფესიონალი ჟურნალისტისათვის თავისუფალი სიტყვის მსახურება.

მაგრამ ძვირი დაუჯდა რედაქტორ თამაზ ხარაბაძეს ჟურნალისტური ოსტატობა და მოქალაქეობრიობა - ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერის მსურველებმა არაერთხელ ატკინეს გული.

ხარაბაძე წავიდა...

მისი კარგატეხილი კაბინეტიდან ულვთოდ გამოყრილ და მოსაცდელში გორად დახვავებული ნივთებიდან ნაწილ-ნაწილ ამომქონდა: ამურ ფხაკაძის ჩანაწერების ბლოკნოტი, მურად ჭიჭინაძის მთასვლელური გამარჯვებების დამადასტურებელი სიგელები, ცნობილი მწერლების ხელნაწერები, იშვიათი ფოტოსურათები, სარედაქციო მასალები... ვაგროვებდი კარდონის ყუთებში (მაშინ თვითონაც არ ვიცოდი, ვისთვის და რისთვის) და თავი მესაფლავე მეგონა... ჩვენი თაობის ფიქრებსა და ოცნებებს ვმარხავდი იმ ყუთებში, სხვებისთვის რომ ხელი არ შეგვეშალა...

მაშინ ნამდვილად ეძინა ჩვენს ქუთაისს, ნამდვილ ქუთაისს, კარგ ქუთაისს, თამაზის ქუთაისს...

და რომ გამოიღვიძა, მიიკითხ-მოიკითხა და საუკეთესო შვილების გვერდით ყოფნა ისურვა, ხარაბაძე უკვე შორს იყო, შორს, ამერიკაში.

ეეჰ, ხარაბაძე! ამერიკიდან გამოგზავნილ შენს წერილებში მე დიდი ჟურნალისტის ჩამქრალ სულსაც ვგრძნობ და ქუთაისის მარადიულ სიყვარულსაც.
ერთხელ, თურმე, შენთვის უკითხავთ, დედა არ გენატრებაო? არ გინდა, ნახოო?
- მინდა, დედაჩემი ყოველთვის ისეთი ლამაზი და ახალგაზრდა მახსოვდეს, როგორიც დავტოვეო, - დაახლოებით ასე გიპასუხია.
- ქუთაისი? შენი ლამაზი დედა ქუთაისი?
პასუხი ახლა არ მინდა, მერე იყოს.

**შენი ნანული ცხვედიანი,**
**27 ოქტომბერი, 2007, ქუთაისი**



### 1. თქვეს!..

ერთმა პოეტმა თქვა: რომ თუ კი მას მოსთხოვდნენ დაესახელებინა ჩვენი ქვეყნის ხუთი საუკეთესო პოეტი, მათ შორის იქნებოდა რასულ გამზათოვი. თუ კი საჭირო გახდებოდა სამის დასახელება, მათ შორის ასევე იქნებოდა გამზათოვი და ბოლოს, თუ საუბარი იქნებოდა მხოლოდ ერთ საუკეთესო პოეტზე, ის უყოყმანოდ უპასუხებდა... და ისევ რასულ გამზათოვი!

ასე გამოხატა პოეტმა სერგეი ნაროვჩატოვმა აღმოსავლურ, რამდენადმე ჰიპერბოლურ სტილში თავისი აღტაცება ავარელი პოეტის ტალანტით და თაყვანისცემა დაღესტნის სახალხო პოეტის რასულ გამზათოვის შემოქმედებისადმი.

ესეც მეგობარმა პოეტმა თქვა, რა შეჰქმენ შენ რასულ?

თითქოს და განსაკუთრებული არაფერი, თუმცა შენი შემწეობით დაღესტანის ზვიადი მთები კიდევ უფრო ამაღლდნენ. მთელმა მსოფლიომ დაინახა მათი სიდიადე და გაიგო შენი გასაოცარი სიმღერა, ახლა შენი აბუთალიბი დადის საფრანგეთში ტარასკონელ ტარტანენთან ერთად და საღამოს, ვახშმობისას კატალონიის ვარსკვლავების ქვეშ ემასლაათება დონ კიხოტს.

შენ თითქოს-და არაფერი განსაკუთრებული არ გაგიკეთებია! ამ ხნის განმავლობაში კი თვალით დაუნახავი ძაფებით დაუკავშირდი მშობლიური დაღესტნიდან მთელი მსოფლიოს ხალხების გულს და, როგორც ჯიგიტს შეჰფერის, უძღვენი მათ შენი გასაოცარი სიმღერა. შენ მხოლოდ ერთი კონა შეუკეთე ხალხთა მეგობრობის საერთო კოცონს და კიდევ უფრო გაანათე ღამე! მიხვდი, რომ ამ კოცონის გარეშე, ამ ცხოვრების გარეშე შეუძლებელია არსებობა. შენ თითქოსდა არაფერი განსაკუთრებული არ გაგიკეთებია და... ამიტომ შენ ბოლომდე უნდა თქვა შენი დიდი სათქმელი. ამიტომ შენ უნდა იცოცხლო, იცოცხლე რასულ! (დუდინი).

თვითონ რასულმა თქვა: მე ახალგაზრდა ვიქნები მანამ, სანამ ჩემს სულში ლექსი ღვივის, სანამ შევძლებ ხარკი ვუხადო პოეზიის დიად მუზას, სანამ შევძლებ ვემსახურო ჩემს სამშობლოს, ჩემს ხალხს, წლოვანებას კი დავივიწყებ ერთხელ და სამუდამოდ, რადგან დაუწერელი ლექსი არ მამშვიდებს, რადგან ყველაზე სანუკვარი წინ არის... ძალიან წინ!

ხდება ხოლმე ასე: პოეტმა სახალხო აღიარებას მიაღწია, მისი წიგნები გამოდის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში (180 წიგნის საერთო ტირაჟი 18,5 მილიონს აღემატება, რაც ათჯერ აჭარბებს იმ ხალხის რაოდენობას, რომელმაც შობა „საუკუნის პოეტი“). უყვართ და აფასებენ, მაგრამ ის, შემოქმედი, კვლავ უკმაყოფილების გრძნობას მოუცავს და გაორკეცებული ენერგიით ილვწის თავისი პოეზიის კალოზე.

მიუხედავად ამისა: მისთვის საყვარელია ყოველი ლექსი თუ სტრიქონი, რომელიც მის სულს ამოუთქვია და რომელიც მსოფლიოს კეთილ მაცნესავით მოვლენია, ის უკმაყოფილების გრძნობა კი უხილავი ძალაა, რომელიც აიძულებს პოეტს კვლავ მუხლმოდრეკილი ეამბორებოდეს პოეზიის შვიდფერი მუზის კალთას და არა, რომ მის ზემოთ ქროლვა მოინდომოს.

ამბობენ:

- არწივო, სად იშვი?
- ვიწრო ხეობაში,
- არწივო საით მიფრინავ?
- უკიდეგანო ცისკენ!

### 2. ცადა

მოგზაურს უთქვამს: მთელი დაღესტანი აულებით მოქარგული სალი კლდეებიაო. დაღესტანი მართლაც მთების ქვეყანაა და თითქოს ვიღაცის უხილავ ზეციურ ხელს ზვიადი მთების სამკაულებად გულმოდგინედ გამოუძერწია თეთრი ქვებიდან მთელი აულები, მათი მცხოვრებნი კი სინდისითა და ვაჟკაცობით ფასდება.

წარწერა ხმალზე: ცხენის სიკვდილის შემდეგ რჩება მინდორი, გმირის სიკვდილის შემდეგ კი - სახელი!

ნათქვამია: როგორც კაცნი განსხვავდებიან ერთიმეორესაგან, ისე აულები ერთმანეთისგანო. ყოველი აული რაღაცით არის განთქმული; აული ბალხარი - მეთუნეობითა და კერამიკით, უნცუკული - ხუროებითა და ხის მომჩუქურთმებლებით, ცუმადა - ლეკური ნაბდებით, კუბაჩი - ოქრომჭედლობითა და ჭედურობით, ტოვრაკი - მუშაითებით, აული ცადა კი - პოეტებით.

ამბობენ: ცადა პოეტების ბუდეაო და ყველაზე ფრთიანი გამოთქმები, ანდაზები და ბრძნული თქმები ამ პატარა აულიდან მოედო მთელს დაღესტანსო.

ცადა! სამოცდაათი თბილი კერა, მაღალი მთების კრიალა ცისკენ აბოლქვილი სამოცდაათი ცისფერი ბოლი, თეთრი ქოხები შავ მიწაზე! აულის წინ გადაჭიმული მწვანე მინდვრები. უკან ქარაფები ამართულა, რუხი ფრიალოები, თითქოს ბავშვებს მოუყრიათ თავი ბაქანზე მეორე ეზოში გაჩაღებული ქორწილის საყურებლად.

ასე აღწერს რ. გამზათოვი თავის მშობლიურ აულს და ასეთივე დაგვხვდა ჩვენც კედელზე მიკრული სამოცდაათი კომლი... და ათი ათასზე მეტი დაღესტნელი, ორმოცდაათი წლის პოეტს მშობლიურ მიწაზე იუბილეს დღეს ხვდებოდა, ბედნიერნი და ამაყნი მისით.

დაღესტნელები ამბობენ: მადლობა შენ პატარა აულო, რომელმაც ჩვენ გვაჩუქე ორი დიდი პოეტი, ორი დიდი მამულიშვილი - ჰამზათ ცადა და შვილი მისი რასული, რომლებმაც კიდევ უფრო მაღლა ასწიეს ჩვენი ლურჯი ზეცა და მეტი სიამაყე შთაგვბერეს, მადლობა ცადა!

ამასაც ამბობენ: არც თუ ისე დიდი ხნის წინათ თვით დაღესტანში ბევრმა არ იცოდა აულ ცადას არსებობა, ახლა კი მთელმა მსოფლიომ გაიგო პატარა აულის ლამაზი სახელი - ცადა ანუ ცეცხლში ნაწრთობი და ამ ცეცხლში ნაწრთობმა ნიჭმა მსოფლიოს ყველა კუთხეში შეაღწია და აგრძნობინა პატარა ერის ძალა.

### 3. ჩემი დაღესტანი

რ. გამზათოვი იგონებს: ხშირად ვფიქრობ, როდის დავიბადე? 1923 წელს, როცა თოფის ქუხილმა მხოლოდ აულს ამცნო ჩემი გაჩენა. ეგების მაშინ, როდესაც მე თერთმეტი წლის ბიჭუნამ სახლის სახურავზე ხარის ტყავზე წამოწოლილმა პირველად ლექსი რომ დავწერე, ან უფრო გვიან 43-ში, როცა თვალებგაფართოებული დავყურებდი გულში ჩაკრულ ჩემი ლექსების პირველ წიგნს, ეგება ახლა დავიბადე, როდესაც ჩემს მშობლიურ დაღესტანში ათასობით თანამემამულე მეგებება, ან ხვალ უნდა მოვევლინო ქვეყანას, როდესაც კიდევ ერთ ლექსს დავწერ, ან მაშინ, როცა მოხუცი შემხვდება და მეტყვის...

### 4. ბარკალა, რასულ

ბარკალა, რასულ! ეს სიტყვები მესმოდა მთელი თვის განმავლობაში, ეუბნებოდნენ მოხუცები - სოფლის თავკაცები, ქუჩებში, ბილიკებზე შემხვედრნი, თანატოლები, ბავშვები, მთელი დაღესტანი. და ამ ორ სიტყვაში - „მადლობა რასულ!“ ჩანდა სიყვარული და ის უკვე დაძლეული მიზანი, რაც პოეტს ოდითგანვე აღელვებდა.

ის წერდა: პოეტი ჯერ კიდევ არაა პოეტი, თუ ის აღიარეს და პატივს სცემენ სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ არ გცნობს მშობლიური პატარა აულის ასამდე ადამიანი, შენი სამშობლო!

ეგ ორი სიტყვა ყველაფერზე თვალნათლივ მეტყველებს. რასულ გამზათოვს აღიარებს მშობლიური აული, მას აღიარებს მთელი ჩვენი ქვეყანა და აღიარებენ პლანეტის ყველა კუთხეში, ამისათვის მას მხოლოდ ერთი რამ დასჭირდა – იყო ჭეშმარიტი პოეტი და მგზნებარე მამულიშვილი.

### 5. „ჩვენი საქართველო“

მითხრა: დაბადებამ, მიწამ და ერმა დიდი ფიქრის შემდეგ უფლება მომცა, მეთქვა და დამეწერა „ჩემი დაღესტანი„. აი, საქართველო კი „ჩვენი საქართველოა„, ერთადერთი და განუმეორებელი - ნაზი და ვაჟკაცური, ლამაზი და მრისხანე, დინჯი და ტემპერამენტიანი.

დიახ, სიყვარული უფლებას მაძლევს ვთქვა „ჩვენი საქართველო„.

რასულმა მიამბო: ერთ ლეკ (როგორც ქართველები ამბობენ) ნაიბს თუ მთავარსარდალს მავანმა და მავანმა ჰკითხა: დიდებულო, გურჯისტანის მეზობლად უამრავი სახელმწიფოებია, რატომ მათ არ ესხმით თავს და სულ იქითკენ რად ილაშქრებთო. მთავარსარდალი არც დაფიქრებულა და უპასუხა: თუ სხვა სახელმწიფოზე გავილაშქრე და გავიმარჯვე, მხოლოდ ქონებას მოვიხვეჭ, ჩემს სახელსა და დიდებას არაფერი შეემატება, ხოლო თუ დავმარცხდი, ჩემი შთამომავლობაც კი ვერ ჩამოირეცხს ლაფს, აი, თუ გურჯებთან დავმარცხდი, ხალხის თვალში მაინც გმირი ვარ, რადგან ვიმამაცე და გავილაშქრე, მაგრამ დიდება ალაჰს, თუ გავიმარჯვე, აი, დიდება, სახელი და შთამომავლობას გადაეცემა ჩემი გმირობის ამბავით.

მანვე მიამბო: მთებში ხეტიალისას კარგახნის უკან ერთმა ჩაბანმა მომითხრო ეს ამბავი და დღესაც გულით ვატარებ, ეგებ დავწერო ან დავწეროთ ეგ ძველთაძველი ამბავი, ჰიმნი მეგობრობისა და სიყვარულისა.

ეს მომხდარა დიდი ხნის წინათ, ალბათ სარწმუნოების გაჩენამდეც კი, კავკასიონის მაღალ მთებში დამეგობრებულან ერთი ქართველი და ერთიც ავარელი მწყემსი, პური გაუტეხავთ, ძმობა შეუფიციათ და ქართველის პატარა ბიჭი აულში სტუმრად წაუყვანია. ფუი, ყველა ცუდ კაცსა და უბედურება მომხდარა, ჩვენებურ ბანებს მიუჩვეველი ბავშვი მომწყდარა საყრდენს და უფსკრულში გადაჩეხილა... დამწუხრებულ მასპინძელს მეგობრისათვის ეს ამბავი შეუთვლია. მოსულა ქართველი მწყემსი და შვილი უგლოვია, საფლავიც კლდეში ამოუჭრია და კვლავ გლოვად დამჯდარა. გამწარებულ ავარელს ესეც ლა მოუხერხებია - ჩემი ბიჭი შენი შვილის სანაცვლოდაო და მასაც წაუყვანია ბარში პატარა მთიელი, იქედან კი მგზავრს სისხლით შეღებილი ხალათი და დანაბარები ამოუტანია - სისხლი სისხლის წილო, და ასე ცრემლებით გააცილა ოთხი პატარა შვილი მთიელმა მწყემსმა ბარში და უცრემლოდ დასტიროდა ოთხ სისხლშემხმარ პატარა სამოსს.

გასულა ხანი. თვალებს ზეცა მონატრებოდათ და სულ შავ მიწას ჩაჰყურებდნენ შიშით (რას იზამ, სიბერის ნიშანია), მერე ბარიდან მაცნეს ამბავი ამოუტანია, შენი ქართველი მეგობარი გითვლის, ძალიან დავბერდით და უკანასკნელად კიდევ ვნახოთ ერთმანეთიო, მასაც ფიცი ვერ გაუტეხია და სტუმრობის მოლოდინში მომზადებულა.

მოსულა ჭაღარა ქართველი მწყემსი და სტუმრები, გადახვევია მეგობარს, მხრებზე ამბორით ოთხი წარმოსადეგი ვაჟკაცი წინ უხმია და უთქვამს: ჰა, ჩემო მეგობარო, შენი შვილები, საღსალამათები და ბედნიერები, ჰა, ეს ოთხი ტურფა ქალი, შენი რძლები და უთვალავი ბალღი, შენი ბადიშიო. მოუწყვეტია დანისლული თვალები შავი მიწისათვის. ოთხი შემართული ლომგულა ვაჟკაცი, ოთხი მომცინარე, მთის წყაროსავით ანკარა ტურფა ქალი და უთვალავი თვალებმოციმციმე ბადიში ისწრაფვოდა მისკენ. თვალებს ჯერ სიხარულის ცრემლი მორევია, მერე შიგ ცისკარი ჩადგომია, დიდი ხნის შემდეგ კვლავ ზეცას მიმშვილდია მზერა, გაოგნებული და უცოდველივით ბედნიერი მათ მკლავებში ჩაკარგულა. ერთი თვე და ერთი დღე ლხინს შესჭიდებიან. მერე უთქვამს, მეგობარო და აწ ძმაო, ესენი ჩემი შვილები არ არიან, ესენი ჩვენი შვილები, რძლები და ბადიშნი არიანო. შენ მე ისინი ხელახლა მაჩუქე და ჩვენია ორთავესიო. სიბერეც დავიწყებიათ, ჯეელურად დაუვლიათ და მთა დაუპატარავებიათ დაღესტანიდან საქართველოში, საქართველოდან დაღესტანში სიარულით.

მერე კიდევ დაუმატა: მეც იმ ავარელი მწყემსის შთამომავალი ვარ და უფლება მაქვს ვთქვა „ჩვენი“ საქართველო.

შემდეგ ქართველთა ნაჩუქარი მოვარაყებული წყვილი ყანწი ჩამოხსნა, დაღესტანში დაწურული რქაწითელით შეავსო და ამ ამბების მსმენელთ მხოლოდ სამსიტყვიანი სადღეგრძელო უბოძა:

- ჩვენს საქართველოს გაუმარჯოს!

ყმაწვილმა, როგორც კი ფეხი შედგა ფერდობზე, სახეში მაშინვე ეცა მაღალი მთების საამო სიგრილე. წამით შეჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა, თვალი მოავლო ხშირი ტყეების უკიდეგანო სივრცეს და ისევ შეუყვა უზარმაზარი ხეების ჩრდილში შემავალ ვიწრო ბილიკს. [illegible] მის მტევნამდე მიიყვანა, ხელისგულით დაფარა გორელიეფური ჭრილი მტევნისა. აღტაცებისაგან ცრემლი დასდინდა თვალთაგან. ჭრილის თითოეულ წვრილმანს ყურადღებით დააკვირდა, თითქოს უნდოდა ისეთი რაღაც აღმოეჩინა, რაც მშენებლებს გამორჩათ, მაგრამ ასეთი ვერაფერი შეამჩნია. წუთით ჩაფიქრდა და საჩვენებელი თითი ტუჩთან ახლოს მიიტანა, რამდენიმე წუთს ასე იდგა. მას ოდნავ განიერ ტილოს შარვალზე ზემოდან გადმოშვებული ასევე განიერი ნაცრისფერი პერანგი ეცვა. უკან მოიხედა და ეკლესიის სამრეკლოს მოავლო თვალი. მას თაფლისფერი თვალები და წაბლისფერი თმები ჰქონდა. ბავშვურად მიამიტად და დაკვირვებულად იხედებოდა, გულწრფელობა რომ ეხატა მთელს მის ნატურას.

გრილმა ნიავმა გადმოჰკრა ტყის გრძელი მასივი და საამოდ დაუბერა. მთებს იქით გადაიქნია მზემ თავისი ოქროსფერი ნაწნავები და მთის აქედან ეკლესიის გუმბათს მთვარემ იდუმალი ნათელი მოჰფინა. ყმაწვილი ტაძარში შევიდა, სანთლები დაანთო, ერთხანს ილოცა და ხარაჩოზე ავიდა ბოლოს. კედლების ნახევარზე მეტი უკვე მოხატული იყო. გვიან ღამემდე თავისუფლად მუშაობდა. შემდეგ რაღაც უცნაურმა ტკივილმა აიტანა, თანდათან აღტაცებაში მოსული სახე ფიქრების მტანჯველ მარწუხებში გაეხვია, გაცისკროვნებული თვალები აუმღვრია და ბაგეებზე ათამაშებული კმაყოფილების ღიმილი გაიყინა; და ეს მაშინ, როცა ღვთისმშობლის სახის მოხატვის ჯერი დადგა. ხატმწერს უხილავმა ძალამ გონება დაუბინდა, ხელი ერთიანად აუკანკალდა, ფუნჯი ვეღარ დაიმორჩილა, კონტურიც კი ვერ მოხაზა. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარში საკმაოდ გრილოდა, ოფლმა დაასხა მხატვარს. სამარისებურ სიჩუმეში მისი გახშირებული სუნთქვა გარკვევით ისმოდა. მომეტებული ღელვისაგან პირი გაუშრა, ჰაერიც რაღაცნაირად დაიხუთა მისთვის. სხეულმა აუტანელი ტკივილი იგრძნო. ყმაწვილმა თვალები დახუჭა, თითქოს საკუთარი თავისგან გაქცევას ლამობდა. დახუჭა თუ არა თვალები, მას ჩაესმა იდუმალი ხმა - „ბავშვი ასე მშვიდად დაიძინებს დღეს და ტკივილი აღარ შეაწუხებს, არ შეაწუხებს არც ხვალ. მერე ცხოვრება მიხედავს ბავშვს“.

ახლა კი ბავშვი ტკბილ სიზმრებს ხედავს, ტკბილს კი არა მხოლოდ, ოქროსფერ სიზმრებს ხედავს, ოქროსფერს კი არა მხოლოდ, სასწაულებრივ სიზმრებს ხედავს და სიზმრებს კი არა - ხილვას ეზიარა სასწაულებრივს. მას საერთოდ გადაავიწყდა ტკივილი. მთვარის სხივები ანათებს სარკმლიდან ბავშვის მომღიმარ სახეს და ტკივილის მალამოდ მომადლებულ იმ სასწაულებრივ ხილვას. დილით ბავშვს აღარ შეეშინდება ტკივილის. ახლა კი ის სასწაულებრივი ხილვის ღირსი გახდა -

იგი ბავშვია და ბავშვს ეშინია ტკივილის, რადგან ბავშვი ბავშვია და მეტი მან არ იცის. იგი შეშფოთებულია მოსალოდნელი ტკივილის წინაშე. დიდი დედა ამშვიდებს, რომ ყველაფერი კარგად იქნებაო. ბავშვიც მიმნდობი და გულწრფელი თვალებით უყურებს დიდ დედას, ისეთი თვალებით, სადაც შიში ჯაბნის ეჭვს და ეჭვს აქარვებს დიდი დედის ალერსი.

„ხომ არაფერი გტკივაო“, - კითხავს დიდი დედა.

„ხომ არაფერი გტკივაო“, - კითხავს ღვთაებრივი კრავი.

ამ მოკითხვაში დიდი სითბოა და სიყვარული. [illegible]



ჩემი მოკრძალებული მიძღვნა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს

ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ „ᲬᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“



# ᲮᲕᲐᲚ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ!

## ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲖᲔ

ხვდარიყო რა მოხდა. ტკივილიც გამქრალიყო უგზოუკვლოდ. დიდი დედისა და ღვთაებრივი კრავის სიყვარულმა დაძლია შიში და ეჭვები. სასწაულებრივი კონტური ფერებით შეავსო მხოლოდ.

* * *

მძღოლმა გზატკეცილზე შეაჩერა მანქანა და მთის წვერისკენ მიმავალ დაკლაკნილ სამანქანო, თუმცა ვიწრო ხრეშიან გზას გამჭოლი მზერა მიაპყრო.

- ამ მთაზე უნდა ავიდეთო? - იკითხა გაკვირვებულმა და უკან მჯდომ მგზავრებს მიუბრუნდა.

- დიახ, სწორედ ამ მთის წვერზეა, არც ისე შორსაა, - დააიმედა მასპინძელმა.

მძღოლი პასუხის დამთავრებას არ დაელოდა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

მაღალი მთების მსუბუქი და სუფთა ჰაერი მტვერის კორიანტელმა შთანთქა. სივრცეში გაშლილი დილის ნისლი თანთადან მაღლა აიწია და მთებმა სიზმარეული საბანი მზის სხივების გამონათებით მოიშორა. ლაჟვარდოვანი ცის ფონზე ნათლად გამოჩნდა თეთრ ღრუბლებად გარდასახული ღამის ზმანებათა მოგონებანი. ტყის სიჩუმე მანქანის ხმამ დროებით დაარღვია... და მძღოლმა მანქანა ზედ ტაძრის ნანგრევებთან მიაყენა. ირგვლივ ფიჭვნარის სასიამოვნო დამათრობელი სურნელი ტრიალებდა. ეკლესიის ნანგრევებში ფართოფოთლიანი ცაცხვი ამოსულიყო, რომელსაც შემოდგომის დადგომა უკვე დატყობოდა. ზაფხულის ხვატისგან დაღლილი ფოთლები შემოყვითლებოდა ხეებს, ზოგიც ჩამოცვენილიყო და ქარს იქვე ნანგრევების ერთ კუთხეში მოეყარა მათთვის თავი. ცაცხვთან შორი-ახლოს პატარა ეკალ-ბარდებს ამოეყოთ თავი. ცაცხვსა და ეკლებს შორის შავ ობობას გაემართა დახლართული ქსელი, რომელიც მზის სხივებზე ოქროს სირმებივით ლაპლაპებდა. ამ ბადეში ჭრელი პეპელა გაბმულიყო და არაქათგამოცლილი ცდილობდა თავი დაეხსნა მოსალოდნელი თავდასხმისაგან. დროდადრო შეიბრძოლებდა, მაგრამ ვერას ხდებოდა. ნანგრევებს ხავსი მოსდებოდა. იქვე ხავსისფერმა ხვლიკმა გადაირბინა ქვებზე, წამით შეჩერდა, შეათვალიერა თავის ხედვის არეალში ყველაფერი და ისევ ნანგრევებში გაუჩინარდა.

მიუხედავად ყველაფრისა, რაც ადამიანის ხელმა გაანადგურა, ბუნებამ სწორედ აქ უღმერთოების ნახელავზე ადიდა დამბადებელი - ცხოვრება წარმართა ბუნებისმიერი. არ გაუდაბნოებულა იქაურობა ადამიანური უდაბურობის მიუხედავად.

- ახლა ვხვდები, ადამიანს რამდენი სისაძაგლის ჩადენა შეძლებიაო, - თქვა მანქანიდან გადმოსულმა შავგვრემანმა საშუალო ასაკის მამაკაცმა, რომელსაც შავი თმა ოდნავ შევერცხლოდა. თვალზე სათვალე შეისწორა და განაგრძო, - როგორ შეეძლოთ ტაძრის ასეთ დღეში მოქცევა?

- უნდოდათ უღმერთოებს და გააკეთეს კიდეც... - დაეთანხმა მეორე მასზე ასაკით უფროსი მამაკაცი, რომელსაც ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, სამღვდელო პირი რომ იყო. გრძელი, ერთად შეკრული თმა და მოშვებული წვერი ჰქონდა, გულზე ფერადი თვლე-

ხევრად დანგრეული ეკლესიისთვის შეუფარებიათ თავი. რამდენიმე წამში ეკლესიის კედლები ზრიალით წამოშლილა და ამ გლეხების სიცოცხლეც აქვე დამარხულა სამუდამოდ. ამის შემდეგ შიშით ვერავინ ეკარებოდა ამ ადგილებს. ხოლო როცა ქვებისგან გაასუფთავეს ნატაძრალი, ვერც ერთი გლეხის ნაწილი ვერ იპოვეს. ცამ ჩაყლაპა ისინი, თუ მიწამ, ვერავინ გაიგო. ნიშნად იმისა, რომ ყველაფერი ეს ასე მოხდა, სისხლიანი ქვები მოწმობს ამას. იმდენი ხნის შემდეგ სისხლი ჯერაც არ შემშრალა იმ ქვებისგან.

- სწორედ ის სასწაულთმოქმედი ქვები უნდა იყოს საძირკველი განახლებული ტაძრისა, - დაუმატა ნათქვამს მოძღვარმა.

- ეს ამბავი მეც მიამბო ერთ-ერთმა მოხუცმა, - თქვა მძღოლმა.

- იცით, ვინ არის ის მოხუციო?! - შეეკითხა თანამოსაუბრეებს მღვდელმა.

- არაო, - ყველამ ერთხმად უპასუხა.

- ამ ტაძრის მომხატველი. წარსულში ხატმწერი ყოფილა თურმე. ბოლშევიკებს დაუშინებიათ თურმე. ფუნჯისთვის ხელი რომ აღარ მოეკიდებინა, ორთავე ხელის მტევანი გადაიმტვრია. ამ ტაძრის მოხატვის შემდეგ სიტყვა რაა, ისიც კი აღარ დაუწერია, არათუ დაუხატავს რაიმე.

სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე მოძღვარმა ლოცვა აღავლინა და დალოცა მომავალი სამუშაოები. აკურთხა ახალი ტაძრის ადგილი და ბოლოს სახელდახელო სუფრა გაშალეს.

- ახლა ვხვდები ძველი ბერძენი ფილოსოფოს ტიმონის საქციელს, - სადღეგრძელოში თქვა მოძღვარმა, - თურმე, თანამედროვეთა სიმდაბლისა და გადაგვარების შემყურე, განმარტოვებულა და ხმის გაცემის ღირსად აღარავის თვლიდა. ამიტომაც შეარქვეს მეტსახელად მიზანთროპი. ვხვდები, მაგრამ არ მესმის, რადგან მას ქრისტიანული მორალი აკლდა; კაცი არ უნდა შეეძულებინა, თორემ ამ ხატმწერის მსგავსად საკუთარ თავს დააზიანებდა. აი, სიყვარული ესაა და არა წარმართი ფილოსოფოსის ამპარტავნული განმარტოვება. განდეგილობა „კაცთა შორის სათნოების“ დასამყარებლად უნდა განხორციელდეს.

* * *

ზუსტად ორი წლის თავზე ძველი ტაძრის ნანგრევების გვერდით მთელი თავისი დიდებულებით ახლადაშენებული ეკლესია იდგა და ამაყად გადაჰყურებდა მისგან ოდნავ მოშორებით მდგარ ნანგრევებიდან აღმდგარ პატარა სამრეკლოს. ტყის ფერდობზე ენძელებს ამოეყოთ თავი და მთიდან წამოსული ცივი ქარი ტალღის წყებათა რიგებივით აქანავებდა აქეთ-იქით. კიდევ უფრო გამეჩხერებულიყო ოდესღაც დაბურული ტყე. ხეებს კვირტები დასახეთქად დაებერა, მაგრამ ჯერ კიდევ ახლადამოყრილთ ვერ გაებედათ გარეთ გამოსვლა, ვაითუ გიჟი მარტის სუსხმა წაყინოსო.

შვინდისფერ ანაფორაში ჩაცმული მოძღვარი წინ მიუძღოდა საგანგებოდ მოწვეულ ახალგაზრდა ხატმწერს. იგი მთელი გატაცებით უყვებოდა ჩამოსულ სტუმარს ტაძრის ისტორიას, დროდადრო კი მომავალში შესასრულებელ სამუშაოზე ჩამოუგდებდა საუბარს. იდუმალების წინათგრძნობით შეპყრობილი ხატმწერი დაუოკებელ სიხარულს გრძნობდა, თუმცა მისი გამომეტყველება ამას ნაკლებად ამჟღავნებდა. წყნარმა გარემომ მარტოობის სიყვარული გაუღვიძა ყმაწვილს. ხანდახან ისე დიდხანს ჯდებოდა იმ სრულ იდილიაში, რომ თვალს რული მოადგებოდა ხოლმე.

ერთხელ, როცა მაღალ ხარაჩოზე მდგარს ორთავე ხელი საღებავებში ჰქონდა ამოსვრილი და თითქმის დაესრულებინა ტაძრის მოხატვა და მხოლოდ დედა-ღვთისმშობლის ხატი უნდა დაეწერა, არაფერი გამოუვიდა, რამდენჯერაც არ დახატა. რაც უფრო წინააღმდეგობას აწყდებოდა, მით უფრო ჯიუტად განაგრძობდა ღვთისმშობლის სახის კონტურის შექმნას. ბოლოს ერთიანად დაიღალა და ხელებიც არ დაემორჩილა. პირჯვარი გადაისახა, ლოცვები წარმოსთქვა, მაინც ვერ აიყვანა საკუთარი თავი ხელში. თითქოს სიჩუმემაც შეაშინა. საკმაოდ ჩამობნელებულიყო, ტაძარს კი სანთლები და სპეციალური პროჟექტორი ანათებდა სინათლის წყაროს მომეტებულად მოწოდებისათვის, რათა ფერთა გამმა ჰაეროვნად შერწყმულიყო თვით სინათლის ბუნებრივ წყაროსთან და გარემო ფონთან.

გონებას ბინდი გადაეკრა და მან იფიქრა, რომ დავიღალეო, მაგრამ ძლიერმა ჭექა-ქუხილმა მალევე ერთბაშად გამოაფხიზლა. სარკმელში გაიხედა და კოკისპირულად წვიმდა, თითქოს ცას ნიაღვარი მოჰქონდა და როგორც ტალღები დაუნდობლად მიასკდება სანაპირო ჯებირებს, ასევე ეხეთქებოდა წვიმა ტაძრის კედლებს. მოულოდნელად კარი გაიღო და ეკლესიაში ვიღაც შემოვიდა, ამ დროს მეხი გავარდა და ხატმწერი ენით უთქმელმა შიშმა აიტანა. მერე მიხვდა, რომ ყოველგვარი განსაცდელისაგან უფალი დაიცავდა და შიშიც გაქრა თანდისთანობით.

„რომელი ხარო“ - თამამად შეეკითხა ხატმწერი ტაძრადმოსულს.

„ბავშვიო...“ - მრავალმნიშვნელოვნად მიუგო მან.

- არადა ბავშვს არ ჰგავსო, - გაიფიქრა ყმაწვილმა. კარგად დააკვირდა და ბავშვის ნაცვლად ღრმად მოხუცებული კაცი შერჩა თვალსაწიერში. ორთავე ხელი დაზიანებული ჰქონდა და პირჯვარი მუჭით გადაისახა.

„ვინა ხარო“, - გაუმეორა კითხვა ხატმწერმა.

„ბავშვიო, - გაუმეორა პასუხი მოხუცმა, - ბნელში გზა ამებნა და აქეთ მომასწავლა გზა დიდმა დედამო, თან ესეც დასძინა, ტაძარი სისხლისაგან უნდა განვბანოო. მე ჩემთვის ვილოცებ და შენ ხელს არაფერში შეგიშლიო“.

„რატომ ხარ ბავშვიო?“ - გაუკვირდა ხატმწერს.

„ამას ვერ გაიგებო, იმიტომ კი არა, რომ ვერ დაძლევ ამის გაგებას, უბრალოდ აღქმაა ამისი სრულფასოვნად საჭიროო“.

„ვინაა დიდი დედაო?“

„ვის ხატსაც შენ წერ ახლაო“.

„შენ რა იცი, მოხუცო, ვის ხატს ვწერ მე?“

„სწორედ ამისი აღქმა გაგიჭირდება-თქო, გითხარი, და ისიც გითხარი, რომ მე ბავშვი ვარ და არა მოხუციო“.

„მაპატიე ეს უნებლიე შეცდომაო“, - მიაგება ტანში ჟრუანტელდავლილმა ყმაწვილმა.

„უფალმა შეგინდოსო“.

„რა სისხლისგან უნდა განიბანოს ეს ტაძარიო“, - იკითხა ხატმწერმა.

„სისხლზე დგას ეს ტაძარი, ცოდვის შვილთა სისხლზეო“ - უპასუხა ბავშვმა.

ყმაწვილისათვის ცნობილი იყო სისხლიანი ქვების ლეგენდა, მაგრამ ბოლომდე არ სჯეროდა, სანამ მართლაც არ გადაირეცხა ტაძარი სისხლისგან. შემდეგ გულმოდგინედ აკვირდებოდა სტუმარს და იგი მიხვდა, რომ მოხუცი, რომელიც მის წინაშე იდგა, ბავშვი იყო, -

... და ბავშვს ეშინოდა ტკივილის, რადგან ბავშვი ბავშვია და მეტი მან არ იცის. იგი შეშფოთებულიყო მოსალოდნელი ტკივილის წინაშე. დიდი დედა ამშვიდებდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ბავშვიც მიმნდობი და გულწრფელი თვალებით უყურებდა დიდ დედას, ისეთი თვალებით, სადაც შიში დაეჯაბნა ეჭვს და ეჭვი გაექარვებინა დიდი დედის ალერს.

„ხომ არაფერი გტკივაო“, - ეკითხებოდა დიდი დედა.

„ხომ არაფერი გტკივაო“, - კითხავდა ღვთაებრივი კრავი.

ამ მოკითხვაში იყო დიდი სითბო და სიყვარული. ეს სითბო იყო მალამო მისი ტკივილის, ეს სიყვარული სიჯანსაღე იყო მისი წარსულის. ბავშვი ბავშვია და მაინც იცოდა, რომ მას ხელები ტკიოდა, ტკიოდა და ისევ შესაბრალისად მოელრუბლა თვალები, რადგან ბავშვს ეშინოდა ტკივილის. ბავშვს დიდი დედა უყვარდა და ბავშვს ღვთაებრივი კრავი უყვარდა. იგი ყველა ტკივილს ამ სიყვარულით ძლევდა. ხვალ აღარ იქნება ტკივილი. ხვალ არაფერი აღარ იქნება და ხვალ ყველაფერი იქნება. სასწაულებრივი ხილვის განმეორებამ დაუამა ტკივილი და დააამა თავადაც.

ხატმწერი გამოერკვა და იგი სასწაულის განმეორების მოწმე გახდა - წვიმას ეკლესიის კედლებში გამოეჟღწია და მისი ნაჟურიდან დასველებულ კედელზე ზუსტად იგივე ღვთისმშობლის სახების სრული კონტური გამოისახა, ზუსტად იქ, სადაც მოუხატავი დარჩენოდა კედლის სიცარიელე. და სველი იყო კედელი მხოლოდ იქ, სადაც ოდესღაც იყო და განმეორდა დიდი დედის ხატება.

ხატმწერმა სასწაულებრივი კონტური ფერებით შეავსო მხოლოდ.

ჩვენს ავბედით დროში, როდესაც ყოველივე ქართველური დევნისა და შევიწროების მსხვერპლი ხდება, დღის სინათლე იხილა უდიდესი ქართველი პატრიოტების **მამანტი ბესარიონის ძე ძაძამიას, ცირა მამანტის ასულ ძაძამიასა და ვლადიმერ ბესარიონის ძე ვახანიას** ფუნდამენტურმა შვიდტომეულმა „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათაწარმომავლობა“ (გამომცემელი ზაურ ნაჭყებიას საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“). უკვე ის ფაქტი, რომ ავტორები წიგნში დასტამბულ ბიოგრაფიებში მამის სახელითურთ არიან წარმოდგენილი, ნიშნავს იმას, რომ მათთვის ქართული სულის უკვდავების უპირველესი ქვაკუთხედი სწორედ წინაპრის პატივისცემა და ზნეობა გახლავთ. **ავტორები სიამაყით შენიშნავენ, რომ ერგოთ პატივი, მკითხველს წარუდგინონ უძველესი ენა, რომელიც ლამის 10 მილიონამდე სიტყვას შეიცავს, ხოლო მეგრული ენის სრული ლექსიკონის შესადგენად სულ მცირე, 2000 მსხვილტანიანი ტომია საჭირო.** ეს სრულიად უპრეცედენტო შემთხვევაა დედამიწაზე არსებულ 3000-მდე ენას შორის და თვალნათლივ ასაბუთებს, რომ **ეს უნიკალური შვიდტომეული იმ ღირებულ ძეგლად დაშთება, რომელმაც უნდა გაამთლიანოს ქართული სახელმწიფო და ქართული ცნობიერება!**



# ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲗ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲡ 10 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ?

ხელთა მაქვს მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიასა და ვლადიმერ ვახანიას უზარმაზარი (როგორც მოცულობის, ასევე მნიშვნელობის თვალსაზრისით) ნაშრომი: **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**. ნურავის შეაკრთობს სიტყვა - უზარმაზარი. დიდი ფორმატის შვიდტომეული (შვიდასამდე გვერდი თითოეული) უზარმაზარი რომ არის, ამაზე კამათს არავინ დაგვიწყებს. რაც შეეხება მნიშვნელობით უზარმაზარს, ამაში რაც ვიგულისხმე, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

**ქართველური ენები (მეგრული, სვანური, ჭანური)** ენათმეცნიერებაში გამოცხადებულია დიალექტებად და არა - ენებად. ენათმეცნიერებაში სრულიად ჩაუხედავი ადამიანისთვისაც ნათელია, რომ მეგრულისა და სვანურის დიალექტებად გამოცხადება და მათთვის ენის სტატუსის ჩამორთმევა ხელოვნურად ხდება, ვინაიდან ამ ენების **(როგორც ენების)** აღიარება, **ზოგიერთების აზრით,** ეჭვქვეშ დააყენებს ქართველი ერის ისტორიული ერთიანობის საკითხს და ბიძგს მისცემს მეგრული და სვანური სეპარატიზმის გამოვლენის რეციდივებს. **ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲦᲘᲐᲠᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲕᲐᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ** (ამ შემთხვევაში სიტყვა ქართველურს, სიტყვა ქართულს ვამჯობინებ) **ᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲩᲥᲛᲐᲚᲕᲐ-ᲘᲒᲜᲝᲠᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ.**

**არავითარი მეგრული და სვანური სეპარატიზმი ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ ვინმეს თუ მაინც ელანდება იგი, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამას მეგრული და სვანური ენების შესწავლაზე მეტად ამ ენების იგნორირება უწყობს ხელს.**

მეგრული და სვანური ენები საქართველოს ენით აუწერელი სიმდიდრეა, მაგრამ, სამწუხაროდ, **ეს სიმდიდრე პრაქტიკულად დაკარგულია ქართველი ერისთვის, ვინაიდან სალიტერატურო ქართული და მეგრულ-სვანური დღემდე ჩინური კედლითაა ერთმანეთისგან გაყოფილი და გათიშული.** ამგვარი პარადოქსული ვითარების გამო, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს ენები დაკარგულია არა მთლიანად საქართველოსთვის, არამედ თვით მეგრელებისა და სვანებისთვისაც კი, ვინაიდან ამ ენათა სალიტერატურო ენაში შერწყმის პროცესის ხელოვნური **(ხაზს ვუსვამ - ხელოვნური)** დამუხრუჭების გამო ისინი მხოლოდ კუთხურ, საოჯახო, ანუ დაკნინებულ მდგომარეობას უნდა დასჯერდნენ...

ქართველური (ქართული) ენები - **მეგრული და სვანური უნდა ისწავლებოდეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რათა ისინი არ დარჩნენ მხოლოდ ამა თუ იმ კუთხის** (ამ შემთხვევაში, სამეგრელოსა და სვანეთის) **კუთვნილებად, არამედ იქცნენ სრულიად საქართველოს კუთვნილებად.** ამ ენებმა თავიანთი კუთვნილი ადგილი უნდა ჰპოვონ უმდიდრესი და უდიდესი ქართული ენის **არა გვერდით და პარალელურად, არამედ შიგნით, მის წიაღში.** სალიტერატურო და სხვა ქართველურ ენათა ურთიერთგამიჯვნის ნაცვლად, უნდა მიმდინარეობდეს ენათა შერწყმის თანმიმდევრული, ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება.

მოსაზრება, რომელიც ეს-ესაა მოგახსენეთ, ადრეც გამომითქვამს პრესაში. ანალოგიური მოსაზრება სხვებსაც გამოუთქვამთ, შეიძლება უფრო ვრცლად და უფრო დასაბუთებულადაც, მაგრამ ის, რის გამოც ამჯერად კალამს მოვკიდე ხელი, არის ის უნიკალური შვიდტომეული, რაც იმდენად გასაოცარი მოვლენაა, რომლის მსგავსის წარმოდგენასაც ვერ შევძლებდი.

**პირველ რიგში უნდა აღვნიშნო,** რომ ავტორებს დაუძლევიათ არსებული სტერეოტიპის წინაშე შიში და მოუციათ იმ დონის მეცნიერული ანალიზი მეგრული ენისა, რა დონეზეც შესაძლებელია, ზევრი სრულუფლებიანი ენა არ იყოს შესწავლილი და გაანალიზებული; **მეორე გახლავთ ის გასაოცარი მოცულობა ნაშრომისა,** რომლის დაძლევასაც სპეციალიზებული ინსტიტუტიც კი ათეულობით წლებს მოანდომებდა; **მესამე, რაც აუცილებლად უნდა ვთქვა,** ესაა ნაშრომის სიღრმე და ხარისხი, რის შესახებაც სიტყვას არ გავაგრძელებ, ვინაიდან მეცნიერული რეცენზირება ამ ნაშრომისა დარგის სპეციალისტების საქმე გახლავთ და მე ამგვარ მიზანს ვერ დავისახავ; **მეოთხე და, ალბათ, უმთავრესი კი ისაა,** რომ ნაშრომი, თუმცა, მეგრული ენის შესახებ დაწერილი მონოგრაფიაა, უნივერსალური და უნიკალური მოვლენაა იმდენად, რამდენადაც მასში მოცემულია სრულიად ახალი, ორიგინალური მეთოდი და მეთოდოლოგია ენათა წარმოშობის საიდუმლოების კვლევისა. **ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲘᲥᲪᲔᲡ ᲘᲛ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ ᲓᲐᲣᲓᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲡᲐ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲣᲚ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲮᲓᲘᲡ ᲤᲐᲠᲓᲐᲡ.** თუმცა, ჯობს, არ გავუსწროთ მოვლენებს და მივუბრუნდეთ იმას, რაც გვაქვს. ამ გასაოცარი ნაშრომის კითხვისას, **ᲒᲐᲛᲘᲩᲜᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲡ ᲔᲜᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲛ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲐᲛᲝᲣᲬᲣᲠᲐᲕᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲣᲠ ᲔᲜᲐᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 10 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲐᲛᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ!**




გიორგი მამაცაშვილის მიერ გადაღებულ ამ ფოტოზე გოდერძი ჩოხელი ჯერ კიდევ ამა სოფლის მკვიდრია...

თხოვნა

გოდერძი ჩოხელი

ამ დღემდე ისე ჩაიარა
უხმოდ, უჩქაროდ,
სულში დატოვა ღრმა იარა
ქარის უკვალოდ.
ვერ შევძელი საწუთროში
ღიმილ-ღიმილ ჩავლის,
წლებმა [illegible]
ეშმაკმა [illegible]
გულში ჩამქრალ სიხარული
ქარის [illegible] სხივით,
სულის სიღრმეში
[illegible] ყორანი ყივის.
უფალო, მიხსენ,
კვლავ აანთე გულში სანთელი
და
სულს მოჰფინე
შორეული სივრცის ნათელი.

# რატომ ტირის ადამიანი

- რა გატირებს?
- რაღაც გამახსენდა.
- მაინც?
- აი, ახლა ორმა კაცმა ჩამოიარა და რატომღაც გამახსენდა, რომ ამ კაცებმა ოდესღაც ზუსტად ასე ჩამოიარეს.
- მერე რა გატირებს?
- ხშირად მემართება ასეთი რაღაცები. ხშირად ვაკეთებ რაღაცას და რატომღაც მგონია, რომ როდესღაც ეს უკვე იყო.
- ეგ მეც მემართება, რა არის მანდ სატირალი.
- რა და, მეშინია, როდესმე კიდევ ასე რომ განმეორდეს ჩემი ცხოვრება.
- გინდა შენზე მოთხრობა დავწერო?
- არ მინდა.
- რატომ?
- შენს მოთხრობებში ყოველთვის კვდებიან.
- მერე შენ ამისა გეშინია?!
- შენ არ გეშინია?!
- რისი უნდა მეშინოდეს?
- დასასრულის.
- დასასრული არ არსებობს.
- როგორ თუ არ არსებობს?!
- ისე, რაიმეს დასასრულში ყოველთვის დასაწყისი დგას.
- მაშ, რატომ ხარ ნაღვლიანი, როცა შენი მოთხრობის გმირები კვდებიან?
- რა ვიცი, მაინც მეცოდებიან.
- თუ გეცოდებიან, რატომღა ჰკლავ?
- კვდებიან და რა ვქნა. წესით, არ უნდა ვნაღვლობდე.
- რატომ?
- იმიტომ, რომ **ყოველი არსი თვითონ ეძებს თავის დასასრულს,** ესაა მიზანი, მაგრამ ხო გითხარ, დასასრული არ არსებობს-მეთქი.
- მაშ, რატომ ტირიან ადამიანები?
- ეშინიათ და იმიტომ.
- რისი ეშინიათ?
- დასაწყისის. **ვისაც არ ეშინია, ის არც ტირის.**
- მაგრამ სხვა როცა ტირის სხვის სიკვდილს?
- თავის თავი ჰყავს მის ადგილას წარმოდგენილი. **მკვდარი არ ტირის, იმიტომ, რომ სიკვდილი უკვე დასაწყისია.**
- იქნებ მაგიტომ არ ტირიან?
- მაშ, რატომ?
- შეიძლება სხვა მხრიდან ვართ მოსული და რაკი ველარ წავედით, აქ უნდა დავიმარხოთ, იმიტომ ვტირით.
- მოსული?
- ჰო, შეიძლება ციდან მოვფრინდით, აქ რაკეტა მოგვეშალა და ველარ წავედით. ტირილითაც იმიტომ ვტირით, აქ რომ ვრჩებით.
- ეგ რამ გაფიქრებინა?
- ეკლესიებმა. ხედავ, როგორ არის ზოგი აშენებული, ცაში გასაფრენად გამზადებულ რაკეტას ჰგავს, ჩვენ შიგნით შევდივართ და ვლოცულობთ. რატომ? **იქნებ ისევ ცაში ამაღლება გვინდა და, რომ არაფერი გამოდის და მიწას ვაბარებთ ერთიმეორეს, ვტირით.**
- მაგრამ რატომ არ განმეორდა?
- რა?
- შენ ხომ თქვი, შენში რაღაცები მეორდება, რატომ არ განმეორდა ციდან აქ მოსვლა?
- შეიძლება ოდესმე ისიც განმეორდეს.
- და თუ განმეორდა, მაინც იტირებ?
- **არ ვიცი, მე საერთოდ არ ვიცი, რატომ ტირის ადამიანი.**
- იმიტომ, რომ თავისუფლება უნდა.
- მერე აღარ იტირებს?
- არა. **თავისუფალ კაცს დასაწყისისა არ ეშინია.**
- დაწერე რა!
- რა.
- მოთხრობა დაწერე ჩემზე.
- შენც რომ შემომაკვდე ბოლოს?
- არა, იცი, როგორ დაწერე?
- როგორ?
- ვიცხოვრე დედამიწაზე, დიდხანს ვიცხოვრე, დაახლოვებით ას წელს.
- მერე?
- ამ ასი წლის მანძილზე ხშირად ისეთ რაღაცებს ვაკეთებდი, რაც ოდესღაც გაკეთებული მქონდა.
- მერე?
- **ერთ დღეს ციდან ოქროსფერი ხომალდი მოფრინდა, მე გამახსენდა, რომ ამ ხომალდს უნდა წავყვე, ჩავჯდეი და წავედი ცაში. დაწერ?**

. . . . . . . . . . .

დავწერე.

**გოდერძი ჩოხელი**



# წავიდა! ამაღლდა!

მეც **დავწერ.**

თქვენზე.

**ერთ დღეს ციდან ოქროსფერი ხომალდი მოფრინდა. თქვენ გაგახსენდათ, რომ ამ ხომალდს უნდა წაჰყოლოდით, ჩაჯექით და წახვედით ცაში...**

მე **დავწერ...**

**დავწერ,** როგორი **დიდი კაცი** იყო **გოდერძი ჩოხელი.**

**დავწერ,** რომ ბოლოს მას ძალიან უჭირდა... ცუდად იყო...

**დავწერ,** რომ ცოცხალი **გოდერძი ჩოხელი** კულტურის სამინისტრომ მიატოვა!

დიახ!

იმასაც **დავწერ,** რომ ერთ-ერთ ცნობილ ბიზნესმენს მასთან დახმარებისთვის მისული **გოდერძი ჩოხელისთვის** „ლეიბორისტული წარსული" „შეუხსენებია" და...

დაკრძალვაზე, ალბათ, ის ბიზნესმენიც მიბრძანდება...

დიახ!

დაკრძალვაზე მთელი საქართველო მივა...

კულტურის სამინისტროდანაც მივლენ და დაიტირებენ...

ბევრი უნამუსოც მივა იქ.

იმათაც მოუკვდათ **გოდერძი ჩოხელი** და იმიტომ!

მე **დავწერ.**

**დავწერ, რომ გოდერძი ჩოხელმა ადამიანთა სევდა სულში დაიტია და ასე შეიქმნა „ადამიანთა სევდა..."**

**დავწერ...**

**დავწერ,** რომ... კითხვაზე **„რატომ ტირის ადამიანი"** — დღეს ყველა ერთ პასუხს სცემს...

**დავწერ,** რომ ადამიანებს დღეს **გოდერძი ჩოხელი** ეტირებათ...

**ეტირებათ და ტირიან!**

**დავწერ...**

**დავწერ,** რომ **საქართველოს გოდერძი ჩოხელი მოუკვდა!**

**დავწერ,** რომ **ის ცაში წავიდა...**

**ამაღლდა!**

**დავწერ,** რომ **ჩვენ ყველანი ის პატარა მწყემსი ბიჭები ვართ, ირმები რომ მოუკლეს მონადირეებმა...**

**დავწერ...**

და ხმამაღლა ვიყვირებ მეც: **„დამიბრუნეთ ჩემი ირმები!"**

**დავწერ...**

**დავწერ,** რომ „სამოთხის გვრიტები" გაფრინდნენ უკვე...

**დავწერ,** რომ **დღეს მთელი საქართველო გლოვობს!!!**

**დავწერ,** რომ...

●

**დავწერ,** რომ **ბედნიერი** ვარ...

**მე გოდერძი ჩოხელთან ვმეგობრობდი! და ამიტომ!**

**დავწერ,** რომ...

**ერთ დღეს ციდან ოქროსფერი ხომალდი მოფრინდა. მას გაახსენდა, რომ ამ ხომალდს უნდა წაჰყოლოდა, ჩაჯდა და წავიდა ცაში...**

**დავწერ, რომ ის ცაში წავიდა... ამაღლდა!**

**გიორგი მამაცაშვილი**

# ვიცოდი, აუცილებლად იქნება აღდგომა

აი, ახლა ამ მოთხრობის წერასაც ძია საშა მაბედვინებს, იგი სულეთის ქვეყნიდან გამომყურებს და თითქოს მაქეზებს:

- დაწერე! დაწერე!

მანამდე კი, სანამ ძია საშა გახდებოდა ჩემთვის, ბატონი საშა იყო, ყველასათვის მკაცრი და წესრიგის მოყვარე ბატონი საშა, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე, რომელმაც სულ ზეპირად იცოდა, რომელ ჯგუფში რამდენი სტუდენტი ვიყავით და ვინ როდის, რამდენი წუთით დავაგვიანეთ ამა თუ იმ ლექციაზე. დაირეკებოდა თუ არა ლექციის დაწყების ზარი, ბატონი საშა შემოივლიდა ინსტიტუტს, ყველა აუდიტორიის კარს შეაღებდა, კარში გაჩერდებოდა და დაითვლიდა: ერთი, ორი, სამი... სად არის მეშვიდე? სად არის მერვე? და ა.შ., იმის მიხედვით, რამდენი სტუდენტი ვაკლდით ლექციას. მე რაკი მთიდან ვიყავი ჩამოსული, მეცხვარეს მეძახდა. ხშირად მაგვიანდებოდა, განსაკუთრებით პირველ ლექციაზე და ბევრჯერ მიმისწრია იმ დროს, როცა ჩემი მისამართით ხმამაღლა ყვიროდა ბატონი საშა:

- სად არის მერვე? მე თქვენ გეკითხებით, სად არის მეცხვარე?

- მოვა პატივცემულო, ხომ იცით, შორს ცხოვრობს, - იმხანად ნათესავთან ვცხოვრობდი ლოტკინის გორაზე.

- აგე, აგე მოვიდა, - ეუბნებოდნენ ჩემი თანაკურსელები და მეც დანაშაულში დაჭერილი, თავჩაღუნული ვჩერდებოდი კართან.

- რატომ აგვიანებ, ჰა! - მერამდენედ მიყვიროდა ბატონი საშა.

- ავტობუსს დააგვიანდა, ბატონო საშა და მეც ველარ მოვედი დროზე.

- ავტობუსი არ ვიცი მე, ავტობუსი არ სწავლობს ამ ინსტიტუტში და რა ჩემი საქმეა, სად დააგვიანდა, შენ რატომ აგვიანებ, შენ, შე მეცხვარე შენა, რას მოეთრეოდი მთიდან, თუ ინსტიტუტში დროზე მოსვლა არ შეგიძლია, ყოფილიყავი ცხვარში.

- მაპატიეთ, პატივცემულო, მეტს აღარ დავაგვიანებ.

- დააგვიანებ და დაემშვიდობე, მოგიხსნი სტიპენდიას! - მემუქრებოდა ბატონი საშა. მაშინ სტუდენტისათვის სტიპენდია, განსაკუთრებით რაიონებიდან ჩამოსულთათვის, ყოფნა-არყოფნის ტოლფასი იყო და ყველა ვცდილობდით, როგორმე არ დაგვეგვიანა, რომ ბატონ საშას თავისი მუქარა მართლა არ შეესრულებინა. მახსოვს, ერთხელ ერთ ქუთაისელს როგორ დაემუქრა:

- ქუთეისი,მოგიხსნი სტიპენდიას!

- არ მაქვს, პატივცემულო! - ნიშნისმოგებით და ღიმილით შეეპასუხა ქუთაისელი.

- დაგინიშნავ და მოგიხსნი! - თავისი პრინციპიდან არ გადაუხვია ბატონმა საშამ და რაც შეჰპირდა, მართლა შეასრულა.

ქუთაისელმა ბატონი საშასათვის სამაგიეროს გადახდა მოინდომა და თავისი თანაკურსელი აიყოლია. ბუტაფორიული საამქროდან თავისი სპექტაკლისათვის გამზადებული კუბო, სასახლეს რომ ეძახიან (ზოგისთვის მართლა რომ სასახლეა და ზოგისთვის მართლა კუბო) თავიანთ აუდიტორიაში შეიტანეს, შიგ ქუთაისელი სტუდენტი ჩაწვა, გულზე ხელები დაიკრიფა და ასე დაელოდნენ ლექციის დაწყებას. დაირეკა ზარი, იმათ აუდიტორიის კარი ჩვეულებისამებრ შეაღო ბატონმა საშამ, დაითვალა სტუდენტები და იკითხა:

- სადაა, ქუთეისი?

- მოკვდა, პატივცემულო! - ტირილი მორთეს ქუთეისის თანაკურსელებმა.

ბატონი საშა შეცბა:

- როდის?! როგორ?! რა დემართა?! - კითხულობდა შეშფოთებული.

- ლაღიძის წყლის დასალევად იყო შესვენებაზე გადასული, რუსთაველის პროსპექტი გადმოირბინა და მანქანამ დაარტყა. იქვე დალია სული და ეს-ესაა ჩავასვენეთ - ფარდის უკან სასახლეში ჩასვენებული ქუთეისი აჩვენეს სტუდენტებმა და ერთხანს ტირილი შეწყვიტეს; ყველას აინტერესებდა შემდეგი სცენა. ბატონი საშა თავზე დაადგა ქუთეისს და ეჭვით მიმოიხედა. მერე დაბალ ხმაზე წამოიწყო:

- ქუთეისი!

ქუთეისი წევს, არ ინძრევა, არც სუნთქავს, გულზე ხელები აქვს დაკრეფილი.

- ქუთეისი, ადექი ზეზე! - ცოტა ხმას აუწია ბატონმა საშამ. ქუთეისმა უფრო შეიკრა სუნთქვა.

- ქუთეისი ადექი ზეზე! - ქუთეისი არ ინძრევა.

- ქუთესი, ადექი თორემ ისევ დაგინიშნავ და ისევ მოგიხსნი სტიპენდიას.

ქუთეისი არ ჩუჩუნებს.

ბატონმა საშამ ჩაიმუხლა, სასახლეში მწოლიარეს გულზე ყური დაადო, ჯერ თავზეწამომდგარ სტუდენტებს ახედა, მერე ქუთეისს ყურში უჩურჩულა:

- ადექი, შე ღვთის უბედურო, თორემ ემანდ მართლა არ გაიგუდო და მერე მე კი არა,ღმერთიც ველარ დაგინიშნავს სტიპენდიას.

„მკვდარი" სასწრაფოდ წამოხტა ფეხზე.

ბატონი საშა მშვიდად გავიდა აუდიტორიიდან. იგი ჩია ტანის კაცი იყო, ასაკი არ ეტყობოდა, მე მგონი, თეატრალური ინსტიტუტის დაარსების დღიდან აქ იყო და მთელი ამ ხნის მანძილზე რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე ხალხი ხშირად გაკვირვებულნი უყურებდნენ, სასტუმრო „თბილისის" ქვეშ მდებარე სახინკლედან როგორ ფაცხაფუცხით მიჰყავდა ქუჩაზე გოლიათები: ხან ბატონი დოდო აბაშიძე, ხან ზურა ქაფიანიძე და რა ვიცი, სავსე იყო გოლიათებით ინსტიტუტი. ვინც არ იცოდა, ვინ იყო ბატონი საშა, გაკვირვებული იყო ამ სანახაობით, ვერაფერი გაეგოთ, რატომ ეშინოდათ ამ გოლიათებს ასეთი ჩია ტანის კაცისა, მაგრამ ათეული წლების მანძილზე მეორდებოდა ასეთი სცენები და ბევრმა უკვე იცოდა, რაც ხდებოდა.

ერთხელ, ის-ის იყო გავცდი ოპერის შენობას, რომ ჩემი თანაკურსელი, კარგად მოსული, თეძოებიანი გოგო წამომეწია, შეშინებულმა ხელკავი გამომდო და წამჩურჩულა: ჩქარა, ზარი უკვე დაირეკა, საშა მოგვდევს უკან.

ფეხს ავუჩქარეთ.

უკნიდან გვესმის ბატონი საშას კომენტარები:

- მეცხვარე, ისევ დააგვიანე, არა?

- არ მიიხედო, ვითომ ვერ ვხედავთ, - წამჩურჩულა გოგომ.

- ვითომ არ ესმით. ეს კიდე, ნახე, ნახე, როგორ მიაქანავებს! - გვეწევა ბატონი საშა. ჩემი თანაკურსელი აღშფოთებული სახით მიუბრუნდა და წინ გაუჩერდა.

- ჩანთას, გოგო, ჩანთას, - დაუყვავა ბატონმა საშამ და მერე სამივემ ერთად ავუჩქარეთ ნაბიჯს.

იმ დღეს გადავრჩი,რომ სტიპენდია არ მომიხსნა, მაგრამ ერთი კვირის მერე, ისევ ოპერის თეატრთან მომესმა ჩვენი ინსტიტუტიდან ზარის ხმა.

- მეცხვარე ისევ არ იშლი დაგვიანებას, არა?! - უკნიდან ბატონი საშას ხმა გავიგონე.

მივიხედე. მართლა ისაა. რა ვიცი, ამ ბოლო დროს თვითონ რატომ აგვიანებს. ეტყობა ავადაა და მაინც დადის სამსახურში, თავს არ უტყდება. ელდანაცემი გავიქეცი ინსტიტუტისაკენ. ძირს არ ვიხედები, მეშინია, არ დამეწიოს და აუდიტორიაში მინდა დავხვდე შემოწმების დროს. ის-ის იყო, მივაღწიე ინსტიტუტის შესასვლელს, რომ უცებ ასფალტი ჩაინგრა და მიწაში ჩავვარდი. ეტყობა, ამ ადგილას გამდინარე წყლებია და რუსთაველის თეატრის შენობაც, რომელიც ჩვენს ინსტიტუტს ეკვრის, იმან დააზიანა. ცოტა ხნით გონება დავკარგე, მერე ბატონი საშას ხმა შემომესმა:

- მეცხვარეე!

ავიხედე: ქვევრის პირივით პირმორღვეულ ასფალტს ზემოთ ბატონი საშა ჩამომჩერებია:

- რა გინდა მანდ?! მიწის ზემოთ არ გეყო გაცდენები და ახლა მიწაშიც მემალები, არა?! ამოდი ზემოთ! ამოდი ჩქარა!

მე წამოვიწიე, მაგრამ ღონე არ მყოფნის, ისე ვარ გაოგნებული.

- არ ამოდიხარ, ხომ? დამაცა, მოგიხსნი სტიპენდიას და იჯექი მანდ მეორედ მოსვლამდე, აღდგომას დაელოდე. მე შენ გიჩვენებ,როგორ უნდა სტიპენდიის მოხსნა! - ორმოში მესმოდა ბატონი საშას მუქარა, რომელიც უკვე ინსტიტუტში შევიდა.

ვიჯექი ბნელ ორმოში და ვფიქრობდი, ეს რა იყო?!

რა დამემართა?!

ან ეს ორმო საიდან გაჩნდა, მაინცდამაინც ახლა... ბედი არა მაქვს და ეგ არის... ახლა კი მართლა მომიხსნის სტიპენდიას და რა მეშველება. სახლიდან ვინ რას გამომიგზავნის, თვითონაც უჭირთ. რას ავიტეხე ეს კინო და თეატრალური ინსტიტუტი, ვყოფილიყავი მართლა მეცხვარე. ყველაფერი იმის ბრალია, ვინც პირველად კინო მოიტანა გუდამაყარში. მაშინ მესამე კლასში ვიყავი, მთელ ხეობაში გავარდა ხმა, კინო მოიტანეს, ამ საღამოს უჩვენებენო, აუარება ხალხი შეგროვდა სკოლის შენობასთან, რომლის ერთ კედელზეც თეთრ ზეწრებს კიდებდნენ ეკრანის სანაცვლოდ. დაღამებას ელოდებოდნენ, სიბნელეში უფრო კარგად გამოჩნდებაო. ერთმა ჩვენებურმა კაცმა შეგვაშინა, კინოს კი ნახავთ, მაგრამ თავიდან ფრთხილად თუ არ იყავით, კინოს ისეთი მჭახე ხმა აქვს, შეიძლება ყურის ბარაბნები დაგიხეთქოთ და დაყრუვდეთ.

ჩვენ შევშინდით.

- ნუ გეშინიათ, მე წინ დავდგები, ყურებში თითებს გავიკეთებ და თქვენც გაიკეთეთ, მერე მომენტს შევურჩევ, როცა დაბალ ხმაზე ილაპარაკებენ, ნელ-ნელა გამოვწევ თითებს და თქვენც ასე ქენით, ნელ-ნელა შეეჩვიეთ.

ყველამ თითები გავიკეთეთ ყურებში.

ჩამობნელდა.

დაიწყო კინო.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, კინაღამ გადავირიე ამ არაჩვეულებრივი სანახაობით. ვხედავ, ჩვეულებრივად დადიან იმ უჩვეულო მეორე სამყაროში ადამიანები, ლაპარაკობენ... მივიხედ-მოვიხედე, ყველას გამოღებული აქვს ყურებიდან თითები და გულიანად იცინიან. მეც მინდა მოვისმინო, რას ლაპარაკობენ კინოში, მაგრამ დაყრუებისა მეშინია. მერე ჩემთვის გადავწყვიტე, მოდი, რაც იქნება, იქნება, ჯანდაბას, ერთი ყურით დავყრუვდები, ოღონდ მოვისმინო, რას ლაპარაკობენ, რაზე იცინის ეს ხალხი, მაგრამ კარგა ხანს იმაზე ვიჭოჭმანე, რომელი ყური გამეწირა, მარჯვენა თუ მარცხენა. ბებიაჩემის ნათქვამი გამახსენდა: კაცს რასაც მარცხენა ყურში ეშმაკი ჩასძახებს, მიდი, ასე-ასე გააკეთე, ასე-ასე ქნიო, მარჯვენაში კეთილი ანგელოზი ელაპარაკება და ჭკვაზე არიგებს. რაკი ასეა, მარცხენა ყურიდან გამოვწიე თითი და ეკრანიდან ძახილი გავიგონე: გოდერძი! გოდერძი, შვილო!

ვაი! მიცნო!

მე მეძახის! - გამიკვირდა მე, რა ვიცოდი, რომ ჯარისკაცის მამა თავის შვილს ეძახოდა. იმ დღიდან მოვიწამლე კინოთი და სხვა საქმეა, რა გადამხდა და როგორ ჩავაბარე ინსტიტუტში, როგორ დავწერე კინოს გარჩევის ნაცვლად ლექსი, რაკი რუსული არ ვიცოდი და გამოცდაზე რუსული ფილმი გვაჩვენეს. ვერაფერი ვერ გავიგე და შემრცხვა, ცარიელ ფურცლებს ხომ არ ჩავაბარებდი, ლექსი დავწერე: ირემზე, რომელიც ბარად ჩამოვიდა და დაჭრეს, არწივზე და მგონი კიდევ შვლის ნუკრიც შევურიე შიგ - ყველა ამათგანში კი ჩემს თავს ვგულისხმობდი.

სწორედ ამ ლექსმა გადაწყვიტა ჩემი ბედი.

გამიყვანეს მეორე გამოცდაზე. მოდიოდნენ ჩემს სანახავად: მთიდან ვიღაც პატარა ვაჟა-ფშაველა ჩამოსულა და კინოფილმების გარჩევას გამოცდაზე ლექსადა სწერსო. ერთი დარბაისელი კაცი შემოვიდა, გამომკითხა, ვინა ვარ და საიდანა ვარ. მოვუყევი, რატომ მიყვარს კინო. მერე იმ კაცმა მხარზე ხელი დამადო და მითხრა: შვილო, მიგიღებთ, ოღონდ ჩემი თხოვნა იქნება, თბილისმა არ გაგაფუჭოს!

წავიდა ის კაცი. მერეღა გავიგე, რომ ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი იყო. აი ახლა, ინსტიტუტის წინ ფეხქვეშ ასფალტი ჩამენგრა, ვზივარ იმ ორმოში და თან იმ კაცის ხმა მესმის, თან საშას მუქარა,რომ მომიხსნის სტიპენდიას.

რა ვქნა, ჰა?

ამოვფოფხდი მაღლა და დარდიანი შევედი ინსტიტუტში.

მერეც დარდიანი დავდიოდი, ვიცოდი, შემისრულებდა ბატონი საშა დანაპირებს.

დადგა სტიპენდიების გაცემის დღე.

მე, რა თქმა უნდა, სალაროსთან არ მივსულვარ, მაგრამ ჩემმა თანაკურსელმა მითხრა, მოლარე გეძახისო. გულში იმედი ჩამესახა. ორმოცი მანეთი მქონდა, რაკი ოთხები მეწერა საგამოცდო მატრიკულში. ხუთოსნებს ორმოცდაათ მანეთს აძლევდნენ. ახმეტელის სახელობის სტიპენდიანტებს - სამოცს, მარჯანიშვილისას - ოთხმოცს, ხოლო ლენინურ სტიპენდიანტებს - ას მანეთს.

- ჩოხელო,რატომ არ იღებს სტიპენდიას, ჰა? - გამიღიმა მოლარემ.

- აღარა მაქვს, მომიხსნა ბატონმა საშამ.

- მოგიხსნა კი არა, მოგიმატა, აჰა - მომაწოდა ფული მოლარემ.

დავითვალე და ასი მანეთია. სამოცს უკან ვუბრუნებ, შეგეშალათ-მეთქი.

- არაფერიც არ შემეშალა, ბატონმა საშამ ლენინური სტიპენდია დაგინიშნაო - ისევ გამიღიმა მოლარემ.

წამოვედი გახარებული. რესტორან „თბილისში" მაშინ კაცი ათი მანეთი ჯდებოდა.

მერე გავიგე, როცა ბატონმა საშამ ჩემზე ითხოვა ლენინური სტიპენდია დავუნიშნოთო, პროფესორ-მასწავლებლებს გაკვირვებით უკითხავთ, კი მაგრამ რა დამსახურებისთვისო?!

- ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ არ მინახავს, რომ ამოდენა თბილისში, ამდენი ხალხი რომ მიდი-მოდის, ვინმეს ფეხქვეშ მიწა ჩანგრეოდეს და მიწაშე ჩავარდნილიყოს. მაინცდამაინც მაგ საწყალ მთის ბიჭს ჩაენგრა ფეხქვეშ მიწა და ვინ იცის, რა შიში ჭამა. ეს ჩემი პირადი თხოვნაა თქვენდამი, რომ დავუნიშნოთ ლენინური სტიპენდია,- ასე უთხოვია მათთვის ბატონ საშას, ახლა უკვე ჩემს ძია საშას. კომკავშირის „ცეკელებისაგანაც" ძია საშამ დამიხსნა. რაკი ლენინური სტიპენდიანტი ვიყავი,უნდოდათ დავალებები მოეცათ და ინსტიტუტში მომადგნენ წასაყვანად.

- ვერ გამოვუშვებ! - მკაცრად განუცხადა ძია საშამ.

- რატომ?! - გაუკვირდათ იმათ.

- რეპეტიციები აქვს, როლს თამაშობს.

- რა როლს? - დაინტერესდნენ.

- მეცხვარის როლს! - არ დაიბნა.

- რა პიესაა?

- აღდგომა! - ეს სიტყვა რატომღაც დამარცვლით უთხრა ძია საშამ.

ისინი ნაწყენი სახეებით წავიდნენ.

ძია საშაც წავიდა ამ ქვეყნიდან - და ახლა, როცა ძალიან მომენატრება, სულეთის ქვეყნისაკენ მივაპყრობ ხოლმე გულისყურს და მაშინ, თითქოს ცხადში, ისე ვხედავ ძია საშას: თან მიღიმის, თან თითს მიქნევს და რაღაცას მეძახის მკაცრი ტონით იქიდან. ალბათ მაიმედებს - ყოჩაღად იყავი, ჩემო მეცხვარე ბიჭო, არ ჩაუმუხლო წუთისოფელს!

- და მისი შემხედვარე, მეც იმწუთას ვმხნევდები, აღარ მეშინია, რომ კიდევ ჩამენგრევა ფეხქვეშ მიწა; ვიცი, თუ ასე მოხდა, ჩემი ძია საშა იმდენს შესძლებს, იქიდანაც მოახერხებს და მისი სულის ნათელი დამეხმარება აქ, თანაც მჯერა მთელი სულით და გულით, მთელი ჩემი არსებით მჯერა იქნება, იქნება, აუცილებლად კიდევ იქნება აღდგომა.




## საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარებასთან

# დაკავშირებული ინფორმაცია

1. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება 2007 წლის 5 იანვარს, შაბათს.

**2.** ამერიკის შეერთებულ შტატებში საარჩევნო უბნების გახსნის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება დამატებით, აშშ-ში კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოსა და ქ. ნიუ იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოს ვებგვერდებზე: www.embassy.mfa.gov.ge, www.ny.georgianconsulate.us

**3.** ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არ დგანან საკონსუ-ლო აღრიცხვაზე, კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად ვალდებულნი არიან 2007 წლის 15 დეკემრამდე დადგნენ საკონსულო აღრიცხვაზე თავიანთი საკონსულო ოლქის შესაბამისად, კერძოდ:

**ა.** აშშ-ში (მხოლოდ ქ. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი), კანადასა და მექსიკაში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა, აღრიცხვაზე დასადგომად უნდა მიმართონ საქართველოს საელჩოს აშშ-ში კანადასა და მექსიკაში.

**ბ.** აშშ-ში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა გარდა ქ. ვაშინგტონისა (კოლუმბიის ოლქი), აღრიცხვაზე დასადგომად უნდა მიმართონ ქ. ნიუ იორკში საქართველოს გენერალურ საკონსულოს.

**იმ შემთხვევაში, თუ არ გაქვთ საკონსულოში პირადად გამოცხადების შესაძლებლობა, შეგიძლიათ ანკეტები და შესაბამისი ინფორმაცია ჩამოტვირთოთ გენსაკონსულოს ვებვერდიდან და გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართებზე. გამოგზავნილ საბუთებს თან უნდა დაურთოთ საფოსტო კონვერტი, 1-ლი კლასის საფოსტო მარკით, და თქვენი მისამართის მითითებით, რათა დაგიბრუნოთ თქვენთვის კუთვნილი საკონსულო აღრიცხვის მოწმობა:**



**ვაშინგტონში:**

საქართველოს საელჩოს აშშ-სი კანადასა და მექსიკაში აღრიცხვაზე დასადგომად უნდა მიმართონ საქართვლოს მოქალაქეებმა, რომლებიც იმყოფებიან: ქ. ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი), კანადაში და მექსიკაში.

აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოს მისამართია:

**Embassy of Georgia in the USA, Canada and Mexico**
**2209 Massachusetts Ave. NW, Washington DC 20008;**
**Tel: 202 387 9153**
**Web: http://embassy.mfa.gov.ge**

**ნიუ იორკში:**

ქ. ნიუ იორკში საქართველოს გენერალურ საკონსულოს საკონსულო აღრიცხვაზე დასადგომად უნდა მიმართონ საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც იმყოფებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში გარდა ქ.ვაშინგტონისა (კოლუმბიის ოლქი),

ქ. ნიუ იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოს მისამართია:

**144 East 44th St., 5th Floor, New York, NY, 10017**
**ფაქსი: (212) 867-3654, ტელეფონი: (212) 867-3617**
**ელ.ფოსტა: georgianconsulate1@verizon.net**
**www.ny.georgianconsulate.us**





## სოფო ჰოლენაკის

დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს პატარა თვალებბრიალა დისშვილს . ვუსურვებ ულევ სიხარულს, ბედნიერებას, სასახელოო ქართველ ქალად გაზრდას.

**ნუკრი კოჭლამაზაშვილი**

ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. სურვილის მიხედვით პრაქტიკის გაკვეთილები ჩატარდება ტელეფონის საშუალებით.
718-784-1337
ლელა

DISCOUNT STORE PLUS




T-Mobile cingular WESTERN UNION GIROSOL La Nacional

ტურისტული სააგენტო
Georgia-USA Travel
ავიაბილეთები
საქართველოდან და
საქართველომდე და
მსოფლიოს ნებისმიერი
ქვეყნის მიმართულებით
დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
ფაქსი: 718-621-6846
ელ.ფოსტა: mnc7@earthlink.net
1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214







**MAMULI**
**P.O. Box 13121,**
**Jersey City, NJ 07303**

**შემოწირულობა „მამულის" არსებობისთვის**

☐ სურვილი მაქვს გაზეთ ,,მამულის‘‘ არსებობისათვის გავიღო ——— დოლარი.

(თქვენი სახელი და გვარი)

(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

### მილოცვები

დაბადების დღეს ვულოცავთ **ედიშერ გაგოშვილს.** სიხარულს, ბედნიერებას და ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

**მეგობრები ნიუ-ჯერსიდან**

* * *

ჩვენს ძვირფასს **თინიკო ყენიას,** ვულოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

**მეგობრების სახელით:**
**მანუჩარ კაჭახიძე**

* * *

ჩვენს **ფიქრი ზარგინავას**

ვულოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობას, მხეგრძელობას, ბედნიერებასა და ულევ სიხარულს, ვუსურვებთ.

**მეგობრები**

* * *

**აკადემიკოს მიხეილ როკეტლიშვილს,**

ვულოცავთ დაბადების დღეს, შემოქმედებით წარმატებებს, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას ვისურვებთ.

**„მამულის" რედაქცია**

* * *

ნიუ-იორკის ქართველი ემიგრაციის კოლორიტს **დავით ამბროსიძეს** დაბადების დღეს ვულოცავთ მეგობრები. იხარე, ჩვენო დათო შენს ლამაზ ოჯახთან და მეგობრებთან ერთად.

* * *

დაბადების დღეს ვულოცავთ ქალბატონ **ლალი ჯანიკაშვილს.** სიხარულს, ბედნიერებას და ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

**მეგობრები ნიუ-ჯერსიდან**

### განცხადებები

**იყიდება**

კერძო 3-სართულიანი სახლი მანსარდით - სანზონაში. უმაღლესი ევრო რემონტით. დაგვიკავშირდით: 347-489-7770

გაზეთ ,,მამულის‘‘ რედაქცია სამუშაოდ იწვევს მბეჭდავ-მემანქანის საქმის მცოდნე პიროვნებას (სასურველია ადვილად ერკვეოდეს მძიმე კალიგრაფიის მასალების გარჩევაში).

გთხოვთ დაგვიკავშირდით.

**რედაქცია**

### სამძიმარი

ნანა ანთიძე, მანუჩარ კაჭახიძე, ნინო ხარაბაძე, ეკა მაისურაძე, ნანა ამირანაშვილი თანაუგრძნობს ჟანა ეფრემიძეს შვილის, **დიანას** გარდაცვალების გამო

უახლოესი მეგობრები თანაუგრძნობენ ჟანა ეფრემიძეს უდიდეს მწუხარებაში ქალიშვილის **დიანას** ტრაგიკულად დაღუპვის გამო

გაზეთ ,,მამულის‘‘ რედაქცია თანაუგრძნობს დამწუხრებულ ოჯახს **გოდერძი ჩოხელის** გარდაცვალების გამო




ახალ-დასავალის პარტნიორობით

მამული

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს
საგამომცემლო სახლი „ახალ-დასავალი“
ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

ჩვენი გაზეთის შემდეგი
ნომერი გამოვა 27 იანვარს